CYAN BLACK

# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი, 2004 წელი. №232 (4961) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი

**დედაქალაქი**

## არქიტექტორთა და დამფინანსებელთა ტანდემი მეიდანში...

**შარშანდელი თბილისობის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მოულოდნელობა იყო დედაქალაქის ძველ უბანში შარდენის ქუჩის რეკონსტრუქცია და პირველი რიგის სამუშაოების დასრულება.**

**შარდენზე უკვე გახსნილია კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტები, საგამოფენო დარბაზები და, რაღა თქმა უნდა, რესტორნები (ჩინური სამზარეულოთი), მინიმარკეტები და სხვ.**

გონიერი და ალღოიანი ინვესტორების წყალობით, თბილისის ამ ინტერნაცონალურ უბანში წლეულსაც სრული სვლით გაგრძელდა რეკონსტრუქცია-რეგენერაციის პროცესი. და ეს მასშტაბური პროექტიც ამ დღეებში დასრულდება. თუმცაღა, ვიდრე შიდა ინტერიერი ტრადიციული ქართული არქიტექტურული დეტალებით დამშვენდებოდეს, გარეთ თვალს ახარებს რკინის რიგისა და ბამბის (დიახ, ასე ჰქვია) განახლებული ქუჩები. სამი და ოთხსართულიანი სახლები აქ დახურული გადასასვლელი აივნებით უკავშირდება ერთმანეთს და საოცარ ჰარმონიას ქმნის.

არის კიდევ ერთი სიახლე: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეიდან-პალასმა“ ახალი სიცოცხლე შესძინა ამ უძველეს უბანს – ააშენა, უფრო ზუსტად, ძველ ფუძე-ბალავარზე ამოაგვირისტა, შესანიშნავი გასართობი, საქმიანი და სავაჭრო ცენტრი „მეიდანი“. რეკონსტრუქციის პროექტის ავტორები არიან ლევან მუშკუდიანი, გაგა კიკნაძე, თემურ ჭელიძე. შარშან ვწერდით, მაგრამ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ შარდენის ქუჩის და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სულის ჩამდგმელები არიან არქიტექტორები გიგა ბათიაშვილი, ანრი ყრუაშვილი, ვაჟა ფსუტური, ალექსანდრე აბაშიძე, თეიმურაზ მაკასარაშვილი, კოტე ტაბიძე.

იხ. მე-4 გვ.



## ნომერში წაიკითხავთ:

### ვის ესიზმრება ორი ათასი ევრო?



როგორ მოგზაურობენ გარდაცვლილები და როგორ მშობიარობენ დედაბრები, – გაეცნობით ჩვენი კორესპონდენტის ლია ჭიღლაძის ინტერვიუში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან ეთერ ასტემიროვასთან.

მე-3 გვ.

### რაზე იყო გულდაწყვეტილი ხალხის საყვარელი მსახიობი გრიგოლ ტყაბლაძე...



წაიკითხეთ ვილენ მარდალეიშვილის მოგონება რუბრიკით – „სახელოვანი მშობლები“

მე-4 გვ.

### ჯემალ ინჯიას პოეტური გმირობა



ანუ პორტუგალიელი კამოენსი რუსთაველს ქართულად ამოუდგა გვერდით...

იხილეთ გურამ გოგიაშვილის წერილი.

მე-5 გვ.

**პარლამენტის თავმჯდომარე**

## დებატები ეუთოში პრინციპული იქნება

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ხუთშაბათს სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე დაგეგმილ დებატებში საქართველო კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის პოზიციას რეგიონში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.**

– კერძოდ, საქართველო კიდევ ერთხელ გაამახვილებს ყურადღებას ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოწესრიგებაში რუსეთის როლზე და მიანიშნებს იმ ტენდენციებზე, რაც არსებული კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში ვითარდება, – აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ბურჯანაძის განცხადებით, ქართული მხარე ღიად აპირებს საუბარს ყველა იმ საკითხზე, რაც საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის წლების განმავლობაში დაგროვდა.

ამავდროულად, საქართველოს პრეზიდენტთან გამართული გუშინდელი შეხვედრის შემდეგ ბურჯანაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „დემოკრატებს“ შორის არსებული „სრული ურთიერთგაგება“ და განაცხადა, რომ გავრცელებული ხმები ამ ორგანიზაციებში არსებული დაპირისპირების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს მხარე ეუთოსგან კიდევ ერთხელ მოითხოვს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ეუთოს მონიტორინგის ჯგუფის გაფართოებას და არა შემცირებას, როგორც ამას რუსული მხარე მოითხოვს.



ნინო ბურჯანაძე სტრასბურგში დღეს გაემგზავრება.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება, ისევე როგორც მთელი ცივილიზებული სამყარო, აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებს არ ცნობს.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

– გარდა ამისა, ნებისმიერი არჩევნების ლეგიტიმურობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როცა არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთში დაბრუნებული ის 300 ათასი დევნილი, რომლებიც მხოლოდ იმის გამო გამოდევნეს იქიდან, რომ ქართველები იყვნენ, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

– საქართველოს ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო არჩევნებში გაიმარჯვოს იმ ადამიანმა, რომელიც აფხაზეთის სახელით საუბრობს და მის ინტერესებს გამოხატავს და არა რუსული იმპერიული ძალების წარმომადგენელმა, – აღნიშნა ბურჯანაძემ, – თუ დეფაქტო არჩევნებში აფხაზი ხალხის ინტერესების გამომხატველი პიროვნება გაიმარჯვებს, ის აუცილებლად დაფიქრდება იმაზე, რომ აფხაზეთს საქართველოსთან ურთიერთობის გარეშე ცივილიზებულ სამყაროში არსებობა გაუძნელდება.

**ინტერ-პრესი.**

**სხვა გაზეთიდან**

## სალომე ზურაბიშვილი: საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში დათბობა ჯერ არ დაწყებულა

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

ირინე ბარამიძე, თბილისი. „ნოვიე იზვესტია“,

**მოსკოვში 3 ოქტომბერს დასრულდა რუსეთისა და საქართველოს უშიშროების საბჭოების მეთაურთა კონსულტაციები – დასრულდა სწორედ იმ დღეს, როცა თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკაში ირჩევდნენ პრეზიდენტს. მართალია, მოლაპარაკების შედეგები ჯერჯერობით საჯაროდ არ გამოუქვეყნებიათ, მაგრამ აშკარაა, რომ რუსებით დასახლებული საქართველოს ავტონომიის პრობლემა იქნებოდა ერთი იმათგანი, რომელიც ამ შეხვედრაზე განიხილეს. თუმცა, მხარეები ასევე დიდ ყურადღებას დაუთმობდნენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთობლივი მოქმედების საკითხებს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი „ნოვიე იზვესტიას“ კორესპონდენტს მოლაპარაკების დაწყების წინ ესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს მოსკოვისა და თბილისის დიალოგი უახლოესი პერსპექტივისათვის.**

**– თუ შეიძლება ჩაითვალოს მოსკოვის კონსულტაციები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ახალი ეტაპის დასაწყისად?**

– ჩვენს ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყო მიმდინარე წლის სექტემბერში, ვლადიმერ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის ასტანაში გამართული შეხვედრის დროს. უშიშროების საბჭოების მეთაურებს შორის კონსულტაციის შესახებ კი პრეზიდენტებმა მიაღწიეს მორიგებას ტელეფონით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ლიდერების სამიტიდან დაბრუნების შემდეგ. თითოეულ მხარეს აქვს პრინციპული პოზიცია აქტუალური საკითხების შესახებ და კონსულტაციები საჭიროა იმისთვის, რომ გავარკვიოთ, თუ სად გადის ის შუალედური ხაზი, რომელთანაც ჩვენ შეიძლება მივიდეთ კომპრომისების შედეგად.

**– თუ შეიძლება ლაპარაკი ორი ქვეყნის ურთიერთობის დათბობის შესახებ?**

– ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. მაისში, მოსკოვში ჩემი ვიზიტის დროს ამბობდნენ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ტემპერატურა 18 გრადუსს უტოლდებოდა, შემდეგ კი ეს ნიშნული მნიშვნელოვნად შემცირდა, დათბობა არც სადღეისოდ შეიმჩნევა, მაგრამ, ჩემი აზრით, ორივე მხარე მზად არის პრობლემათა რეალური განხილვისათვის, რადგან მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ ამჟამად არსებული სიტუაცია დიდხანს ვერ გაგრძელდება. მე ვგულისხმობ ანტიქართულ ისტერიას რუსეთში და ანტირუსულ გამოსვლებს საქართველოში. ეს ის გზაა, რომელიც არსად არ მიგვიყვანს.



**– ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის ბოლო სხდომაზე თქვენ შეხვდით თქვენს რუს კოლეგას მიხეილ ლავროვს. როგორია ამ შეხვედრის შედეგი?**

– ეს იყო მაისში მოსკოვში ჩემი ვიზიტის შემდეგ გამართული პირველი შეხვედრა. მას შემდეგ არ გამართულა ჩვენს მხარეებს შორის არც ერთი კონსულტაცია, თუ არ ჩავთვლით მიმდინარე წლის ზაფხულში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტს მოსკოვში. ჩემს რუს კოლეგას შევთავაზე ურთიერთობის ახალი სტილი. რადგან მთელი გასული პერიოდი აღინიშნა მხოლოდ საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებებით, რომელთა ტონიც რუსეთის მხრიდან საკმაოდ მკვახე იყო, მე ვუთხარი მინისტრს, რომ თანამედროვე პირობებში ურთიერთობის ასეთი ფორმა, შესაძლოა, ჯერჯერობით არამეგობარ, მაგრამ მაინც მეზობელ სახელმწიფოებს შორის, არ არის საუკეთესო. მე მას შევთავაზე გარკვეული პრობლემების გადაჭრა საელჩოების, მინისტრთა მოადგილეების დონეზე, საგარეო საქმეთა მინისტრებს კი შეეძლებათ ზოგიერთი პრობლემის მოგვარება ტელეფონით. მსოფლიოში ასეთი პრაქტიკა სადღეისოდ ფართოდ გამოიყენება.

იხ. მე-2 გვ.

**ცხელი თემა**

## რატომ გააქტიურდა რუსეთი?

### გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე

**საქართველოსა და რუსეთის გამწვავებული ურთიერთობა ის თემაა, რომლის ირგვლივაც საუბარი არ ნელდება. პროგნოზები ორ ჯგუფად იყოფა, იმის მიხედვით, ოპტიმისტი გამოთქვამს თუ პესიმისტი, ანუ ხელისუფლების მომხრე თუ მოწინააღმდეგე. ჩვენი გოლიათი მეზობელი, რომელსაც მთელი მსოფლიო უწევს ანგარიშს, კეთილი ზრახვებით მაინცდამაინც არ გამოირჩევა. ამ ბოლო დროს მას ჩვენთვის სარკეში დაყენებული ის ღიმილიც კი არ ემეტება, რომელსაც ხშირად მოითხოვს პოლიტიკა.**

**ხვალ ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ევროსაბჭოში დებატები გაიმართება. საინტერესოა, თუ შეცვლის ვითარებას ევროპის ტრიბუნა და რას შეიძლება ველოდოთ რუსეთ-საქართველოს მომავალ ურთიერთობაში? ჩვენ კი ვუწვდით მეზობელს სამეგობრო ხელს, მაგრამ, როგორც ჩანს, საპასუხოდ მარჯვენას კარგა ხანს არ შემოგვაგებებენ. კიდევ ერთხელ მიმოვიხილოთ ეს თემა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან დავით ბაქრაძესთან ერთად.**

იხ. მე-3 გვ.

**ინფორმაცია**

### უმრავლესობა არ დაიშლება...

**საპარლამენტო უმრავლესობას დაშლის საფრთხე არ ემუქრება – ამის შესახებ ჟურნალისტებს დეპუტატმა ხათუნა გოგორიშვილმა განუცხადა. მან „დემოკრატებისა“ და „ნაციონალების“ გათიშვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ჟურნალისტური ფანტაზია უწოდა.**

**გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან მიმდინარეობდა შეხვედრა, რომელსაც პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და ხათუნა გოგორიშვილი ესწრებოდნენ.**

**როგორც შეხვედრიდან გამოსულმა ხათუნა გოგორიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, პრეზიდენტთან სამუშაო შეხვედრა შედგა, სადაც იმ კანონპროექტებსა და საკითხებზე მსჯელობდნენ, რომლებსაც უახლოეს დღეებში პარლამენტი განიხილავს.**

### ხსოვნის მუზეუმს „მოლოდინი“ ჰქვია

**გაგრის დაცემის მე-12 წლისთავზე, აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახელმწიფო კომისიის ინიციატივით, გუშინ დიღმის პლატოზე მოქმედ წმინდა ნინოს ეკლესიის ტერიტორიაზე, აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და დაღუპულთა ხსოვნის მუზეუმი „მოლოდინი“ გაიხსნა.**

**ცერემონიალში მონაწილეობა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ახლად დანიშნულმა თავმჯდომარემ ირაკლი ალასანიამ და აფხაზეთში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მშობლებმა და ოჯახის წევრებმა მიიღეს.**

**უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმერ დობორჯგინიძის განცხადებით, ხსოვნის მუზეუმ „მოლოდინის“ შექმნისთვის კომისიას ფინანსურად საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო დაეხმარნენ.**

### კიდევ ერთი სახლი დაინგრა

**გუშინ შალვა დადიანის ქუჩის №22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ჩამოინგრა.**

**სახლი 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზიანდა და იგი ავარიულობის ხარისხის მიხედვით მე-2 კატეგორიას განეკუთვნებოდა.**

**შენობის ნგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. მცხოვრებლები მერიისგან ყურადღებას მოითხოვენ.**

**როგორც ისინი აცხადებენ, სახლის ჩამონგრევის შემდეგ მათი ბედით არც რაიონის გამგეობა დაინტერესებულა და არც მერია.**

**ინტერ-პრესი.**

**აქტუალური საკითხი**

## ველოდოთ თუ არა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში სასიკეთო ცვლილებას?

**არავის აქვს იმის ილუზია, რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული, ვინც არ უნდა იყოს იგი, დაიწყებს ფიქრს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნებაზე. ამის მიუხედავად, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი ხაჯიმბას მაინც ბაღაფშს ამჯობინებს. ბაღაფში რომ პრეზიდენტი გახდეს, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებს რაღაც შედეგი ალბათ ექნება, თუნდაც იმიტომ, რომ ბაღაფში ხაჯიმბას მსგავსად მთლიანად რუსეთზე არ იქნება დამოკიდებული. ამასთან, იგი არძინბას ოპოზიციაა. ხაჯიმბა კი არძინბას რჩეულია. რუსეთმა არჩევანი უშიშროების ოფიცერზე რაულ ხაჯიმბაზე შეაჩერა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი რუსეთის დავალების უპირობო შემსრულებელი იქნება.**

იხ. მე-2 გვ.



**ინტერპანორამა**



**ამერიკის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატების დიკ ჩეინისა და ჯონ ედვარდსის სატელევიზიო დებატები წლის საუკეთესო შოუ იქნებაო, – გვარწმუნებენ ჟურნალისტები და პოლიტოლოგები. მოიგებს ედვარდსი – გაძლიერდებიან დემოკრატები, მოიგებს ჩეინი – იზეიმებენ რესპუბლიკელები...**



**უკრაინელთა 36 პროცენტი თანახმაა ოფიციალური ენის სტატუსი მიეცეს რუსულ ენას იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას რუსები შეადგენენ. ამასთანავე, 17 პროცენტი მოითხოვს, რომ რუსული ენა საერთოდ ამოიღონ ხმარებიდან...**



**ისრაელის ავიაციამ გუშინ საღამოს, ღაზის სექტორში, სარაკეტო დარტყმა მიაყენა იმ ავტომობილს, რომელშიც „ისლამური ჯიჰადის“ 38 წლის ლიდერი ად-დაბაში იჯდა. ის ადგილზევე გარდაიცვალა, მისი თანაშემწე კი მძიმედ დაიჭრა.**

CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა

№ 232, ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი, 2004 წელი.

**პროკურატურა**

# ქადაგიშვილების მთელი ოჯახი ციხეში მიდის

**„გამაბანკის“ ფინანსურ მაქინაციებზე საქართველოს გენერალური პროკურატურა ხმამაღლა 20 ივლისს ალაპარაკდა, როცა იქ 15 იურიდიულ, არარეზიდენტ პირზე მოკლევადიანი სესხების გაცემის საეჭვო კომბინაციები გაშიფრა. მაშინ ლაპარაკი იყო 2.394.000 ლარის ამერიკასა და ევროპაში საეჭვო გადაგზავნაზე, აგრეთვე 5 მილიარდი რუბლის კონვერტაციაზე. აშკარად იკვეთებოდა ფულის გათეთრების კლასიკური ოპერაციები, რის გამოც „გამაბანკის“ საკორესპონდენტო ანგარიშები დააყადაღეს და „მაყურებლად“ დროებითი ადმინისტრაციაც დანიშნეს, რათა ვერავის გაებედა დოკუმენტების შეცვლა, გატანა, განადგურება...**



პროკურატურამ მაშინვე გამოკვეთა ის პირები, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ საეჭვო, მაგრამ უნიკალურ ოპერაციებზე. ესენი იყვნენ „გამაბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ქადაგიშვილი, გენერალური დირექტორი გიორგი ქადაგიშვილი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ზაზა გომელაური და სხვები. ეს სხვები კი იმდენია, რომ კარგ ბუღალტერსაც თვლა აერევა. ის, რაც გუშინ გენერალურ პროკურატურაში სპეციალურ პრესკონფერენციაზე ითქვა, არც ყურს სიამოვნებს და არც გულს: უკვე დაპატიმრებულია ქმარი – ამირან ქადაგიშვილი, ცოლი – ნანა ქადაგიშვილი, შვილი – არჩილ ქადაგიშვილი და იძებნება მეორე შვილი – გიორგი ქადაგიშვილი.

რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ ოჯახმა განუკითხაობის, მექრთამეობის, უზნეობის მარწუხებში მოაქცია არა მარტო „გამაბანკის“ თანამშრომლები, არამედ მაკონტროლებელი და სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაკებიც. გენერალური პროკურორის კახა კობერიძის განცხადებით, „გამაბანკიდან“ ფული მისდიოდათ პოლიციელებსაც, პროკურორებსაც, რევიზორებსაც, მოსამართლეებსაც, ბანკირებსაც... გამოძიებამ ქადაგიშვილების პერსონალურ კომპიუტერებში მიაგნო „შავი ბუღალტერიის“ ჩანაწერებს, სადაც მითითებულია კონრეტული უწყებები, კონკრეტული გვარები და კონკრეტული ციფრები (მაგალითად, პროკურორები – 5.000 დოლარი, რევიზორები – 4.000 დოლარი, „შავები“ – 500 დოლარი, „ძაღლები“ – 200 დოლარი). გამოძიება მიმდინარეობს ინტენსიურად და, როგორც ჩანს, კიდევ მრავალი გამაოგნებელი ფაქტი ამოტივტივდება.

„გამაბანკის“ საქმეს იძიებს გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახური, რომელსაც სათავეში უდგას ვაჟა ჯანყარაშვილი. მისი თქმით, პოსტსაბჭოურ სივრცეში „გამაბანკის“ საქმეს ანალოგი ვერ მოეძებნება. ტრიალებდა ასობით მილიონი დოლარი და ამ ფინანსურ მაქინაციებში ჩაბმული იყვნენ როგორც უცხოური კომერციული ბანკები, ისე ჩვენი ფიქტიური ფირმები. გავრცელებული იყო ე.წ. „ჰაერის სესხების“ ფაქტები, რაც ფულის გათეთრების პირდაპირი საშუალებაა. თანხებს არ იკითხავთ? „გამაბანკის“ ერთ-ერთი სატელიტი, ფიქტიური ფირმის ანგარიშზე სამი წლის მანძილზე გადარიცხულია 300 მილიონ დოლარზე მეტი. ეს ფირმა, პრაქტიკულად, ქადაგიშვილებს ეკუთვნოდა და შავი ფულის გარეცხვას ემსახურებოდა. აი, ასეთ ფინანსურ მაქინაციებს ატრიალებდნენ ერთი ოჯახის წევრები, რომლის უფროსი ერთხანს საქართველოს ერთ-ერთ უმაღლეს ხელისუფალსაც კი წარმოადგენდა.

ახლა ირკვევა, რომ ამ უმაღლეს ხელისუფალთაგან ასეთ ფინანსურ მაქინაციებს ბევრი ატრიალებდა, ამავე პრესკონფერენციაზე თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ დაპატიმრებულია საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე გიორგი კაკუბერი. ამ თანამდებობებზე იგი მუშაობდა 1998-2000 წლებში. მას უშუალოდ ევალებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში წასამართი თანხების გაკონტროლება. ჰოდა, 1999 წელს ერთი მილიონი ლარი არამიზნობრივად გახარჯა, შემდეგ კი „მაგთიკომთან“ დადო კაბალური ხელშეკრულება, რითაც ბიუჯეტი ორი მილიონი ლარით აზარალა!

იგებ ამისთანა ამბებს და ენა აღარ გემორჩილება. როცა საქართველოს მოსახლეობა შიმშილით კვდებოდა, ბევრი მილიონებს ასე აგდებულად ეთამაშებოდა. ვინც ხალხს უნდა მომსახურებოდა, ამ ხალხს წიხლსაც ის აჭერდა და ლუკმასაც ის ართმევდა. სადამდეც მიგვიყვანა ამისთანა მიდგომამ, ზედ გვეტყობა ყველას!

**ზონდო გულიაშვილი.**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

ნატალია რატიანი, სოხუმი. „იზვესტია“, 5 ოქტომბერი.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# პირველი ალტერნატიული არჩევნები აფხაზეთში სკანდალით დასრულდა

**არჩევნების მეორე დღეს, ორშაბათს, სოხუმში ნამდვილი მოსკოვური ამინდი იყო – წვიმა და სიცივე – თუმცა, ამანაც ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა არჩევნების წინასწარ შედეგებზე. „აფხაზეთში გამართულ არჩევნებში გავიმარჯვე მე“, – განაცხადა ორშაბათს „ჩერნომორენერგოს“ ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა, რომელიც მოსკოვის ფავორიტის – აფხაზთა ამჟამინდელი პრემიერის რაულ ხაჯიმბას მთავარი მეტოქეა. ბაღაფშის შტაბის წარმომადგენელმა ალექსანდრე ანქვაბმა აღნიშნა: „ბაღაფშს ხმა მისცა რეგისტრირებული ამომრჩევლების 51 პროცენტმა“. თუმცა, ხაჯიმბას შტაბში ამტკიცებენ, რომ არჩევნები „ძალზე უხეში დარღვევებით“ მიმდინარეობდა.**



მთელი ვნებათაღელვა ორშაბათს ატყდა: წინასწარი მონაცემებით, რომელიც ბაღაფშის შტაბმა გამოაცხადა, სწორედ მათმა კანდიდატმა გაიმარჯვა აფხაზეთის პირველ ალტერნატიულ არჩევნებში – ხმათა 51 პროცენტი. მათი მონაცემებით, ხაჯიმბას მხარს უჭერდა ამომრჩეველთა 52,8 პროცენტი. როგორც ხაჯიმბას შტაბის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, გალის რაიონში, „პირდაპირ საარჩევნო უბნებში აშკარად ეწეოდნენ აგიტაციას სერგეი ბაღაფშის სასარგებლოდ“. თვით გალის რაიონის მცხოვრებლებიც – ძირითადად, ქართველი ამომრჩევლები – კვირას არ მალავდნენ, რომ ხმებს მისცემდნენ ხაჯიმბას მოწინააღმდეგეს – სერგეი ბაღაფშს.

ბაღაფშის შტაბის მონაცემებით, რომლებიც ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს, გალის რაიონში მას ხმა მისცა 8665 ამომრჩეველმა. თუმცა, აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემებით, ამ რაიონში ხმის უფლება აქვს მხოლოდ 3 ათას კაცს, რომლებმაც ოფიციალური რეგისტრაცია გაიარეს.

არჩევნების დაწყების წინ ასეთ სკანდალს არაფერი მოასწავებდა.

ერთ-ერთი უბნის შესასვლელთან მოხუცებული ქალი მომიახლოვდა და მითხრა: „დღეს ვერ გეტყვით, თუ ვის მივეცი ხმა, მაგრამ მერწმუნეთ, დღეიდან ქვეყანაში ყველაფერი შეიცვლება“.

როგორც ჩანს, ამაში აფხაზთა ამჟამინდელი პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბაც არის დარწმუნებული. – მან კანდიდატს ხმა მისცა თავის სახლში და არც ხალხის მისამართით გაუკეთებია რაიმე მიმართვა. რაც შეეძლო აფხაზეთისთვის, არძინბამ უკვე გააკეთა. „აფხაზეთის ისტორიაში,– დარწმუნებულია იგი, – გადაიშლება ახალი ფურცელი, მაგრამ ამისთვის საჭიროა დიდი სიფხიზლე და ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვა“. აფხაზეთის მოსახლეობა (რუსები, აფხაზები, ქართველები და სომხები) ვერ შეაჩერა ვერც წინასაარჩევნო შავმა პიარმა, ვერც მთავარი კანდიდატის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებამ, ვერც სოლიდურმა კონცერტმა რუსი პოპ-ვარსკვლავების და პოლიტიკოსების მონაწილეობით, რომლებიც დაუფარავად აცხადებდნენ: „აფხაზეთი რუსეთის ინტერესების ზონაა“ და ხალხს მოუწოდებდნენ მიეცათ ხმა მოქმედი პრემიერის რაულ ხაჯიმბასთვის, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სოჭში მიიღო თვით რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. ყოველივე ამის მიხედავად, ეს ადამიანები გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებში. თითოეულმა მათგანმა მისცა ხმა იმ კანდიდატს, რომელიც მისთვის უფრო სასურველი იყო.

– გულახდილად რომ ვთქვათ, აფხაზეთს ორი ტურისთვის არც ძალები და არც სახსრები არ ეყოფა, – განუცხადეს არჩევნების დაწყების წინ „იზვესტიას“ დამოუკიდებელმა მეთვალყურეებმა. – შავი პიარი მეორე ტურში, – თუ, რა თქმა უნდა, იგი გაიმართება, – უფრო მეტი იქნება და ჩვენი ხალხი ამას ვეღარ გაუძლებს.

**რუსეთელთა გასაგონად!**

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია

**აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტმა გუშინ დილით კენჭი უყარა რეზოლუციას, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას.**

რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია ამერიკის კონგრესის მისწრაფება – შემდგომშიც დაეხმაროს საქართველოს „ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის კონსოლიდაციაში“.

რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ ათწლეულის განმავლობაში – 1992-დან 2002 წლამდე – აშშ-მ საქართველოს 1,1 მილიარდი დოლარის მოცულობის ფინანსური დახმარება გაუწია, რაც მთელ ევრაზიაში ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

გარდა ამისა, ამერიკელი კონგრესმენები საქართველოს „ყველა პოლიტიკურ სეგმენტს, სოციალურ სექტორსა და ინსტიტუტს დიალოგისა და ეროვნული შერიგებისკენ მოუწოდებენ“.



## ამერიკა აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არასდროს ცნობს!

**აშშ აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცნობს და მოელის, რომ აფხაზეთის ნებისმიერი ხელმძღვანელობა კონფლიქტის მოგვარებისთვის მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნდება.**

ამის შესახებ ჟურნალისტებს ვაშინგტონში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილემ ადამ ერლიმ განუცხადა.

მისი თქმით, აშშ მხარს უჭერს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისადმი საერთაშორისო მიდგომას, რომელიც პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

ვინც უნდა იყოს აფხაზეთის ხელმძღვანელობაში, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მოლაპარაკებათა პროცესს უახლოეს ხანში დაუბრუნდება. საქართველოსთან და ეუთოსთან ერთად, აშშ-ს განზრახული აქვს განაგრძოს ერთობლივი ძალისხმევა, რათა მრავალმხრივ საფუძველზე, მხარი დაუჭიროს ამ საკითხის მოგვარების შესახებ მოლაპარაკებას – განაცხადა ადამ ერლიმ.

# აფხაზეთს ახლა თავისი „პუტინი“ ჰყავს

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

სემიონ მიხოვი, 5 ოქტომბერი.

**ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ აფხაზეთში პრეზიდენტის არჩევნების სავარაუდო შედეგების განჭვრეტა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ყველა კანდიდატი ერთ პრინციპს ერთგულობდა: რესპუბლიკის დამოუკიდებლობა „ქართული მეტროპოლიისგან“ და ასპროცენტიანი ორიენტაცია რუსეთთან პარტნიორობაზე.**

მაგრამ სწორედ ასეთი ადვილად განჭვრეტადი ვითარება შეიცავდა ინტრიგას. პრეზიდენტობის ხუთივე კანდიდატს შეეძლო მოეპოვებინა თავიანთი მრავალრიცხოვანი ნათესავებისა და მშობლიური კუთხის მცხოვრებთა მხარდაჭერა. ყოველივე ამის შედეგად დაახლოებით 140 ათასი ამომრჩეველი ხუთ სექციად განაწილდებოდა და საჭირო იქნებოდა მეორე ტურის დაწყება, რაც საკმაოდ ძვირი და საშიშია ამ ღარიბი, მაგრამ შეიარაღებული და ჯერ კიდევ უღიარებელი რესპუბლიკისთვის.

– არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ გაიმარჯვებს, მთავარია, რომ ჩვენ ავტომატები არ დავუმიზნოთ ერთმანეთს, – მითხრა ტაქსის მძღოლმა რაულმა.

ამისივე ეშინოდათ აფხაზეთში მცხოვრებ 24 ათას პენსიონერსაც, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ხატივით ლოცულობდნენ პუტინის პორტრეტზე, როცა 60-რუბლიანი დახმარების ნაცვლად დაიწყეს სრულფასოვანი რუსული პენსიების მიღება.

საქართველოსთან კავშირურთიერთობაში დადანაშაულება გახდა მთავარი არგუმენტი კანდიდატების წინასაარჩევნო ბრძოლაში. აფხაზთა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, სახალხო პარტიის ლიდერი იაკუბ ლაკობა, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია და სახელმწიფო კომპანიის „ჩერნომორენერგოს“ გენერალური დირექტორი სერგეი ბაღაფში – ყველა ეს ადამიანი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ვეტერანია. ძნელია, ისინი დავადანაშაულოთ ქართველებთან რაიმე ფარულ თანამშრომლობაში.

არჩევნებში გამარჯვების ნომერ პირველი კანდიდატი გახდა ყოფილი სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი და აფხაზეთში ანალოგიური სტრუქტურის ხელმძღვანელი რაულ ხაჯიმბა. ჯერ ერთი, იგი მემკვიდრის ამ როლზე, „აკურთხა“ წინა პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ, და მეორეც, სწორედ იგი „სრულიად მოულოდნელად“ შეხვდა სოჭში ამ ერთი თვის წინათ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს. ხალხში ხაჯიმბა მაშინათვე მონათლეს „კრემლის კანდიდატად“, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თვით ხაჯიმბაც დიდად არ შეწინააღმდეგებია ამას. როგორც აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია ამტკიცებს, წინასწარი მონაცემებით, სწორედ ხაჯიმბამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 56 პროცენტი.

აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნებზე საქართველოს რეაქციის განჭვრეტაც არ არის ძნელი. თბილისში არ ცნობენ არც ახალ და არც ძველ პრეზიდენტს, თუმცა, მეამბოხე რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის მოხდენა საქართველოს არ შეუძლია. არჩევნების შემდეგ კი რუსეთის პოზიცია აფხაზეთში, ალბათ, კიდევ უფრო განმტკიცდება. ყოველ შემთხვევაში, ათწლიანი შესვენების შემდეგ აღდგენილი მოსკოვ-სოხუმის მატარებელი გუშინ გრაფიკის დაცვით გავიდა.

მარია მარკოვა, „მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 5 ოქტომბერი.

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

# მოსკოვმა ზედმეტად გამოიდო თავი?

**აფხაზეთის ახალმა მეთაურმა „ვარდების რევოლუციის“ სურნელი მოიტანა**

**კვირას აფხაზეთში გაიმართა პრეზიდენტის არჩევნები. აფხაზთა უცვლელმა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ, ბოლოსდაბოლოს ვიღაცას უნდა დაუთმოს ადგილი. რა თქმა უნდა, ახალი მეთაური მოკლებული იქნება აფხაზთა წინანდელი ბელადის ქარიზმას და ავტორიტეტს. არძინბას ტოლფასი ფიგურა აფხაზეთში არ არის. აქ იგი უდიდეს გმირად მიაჩნიათ, თბილისში კი – სამხედრო დამნაშავედ...**

ახლა წყდება ასეთი საკითხი: ვინ გახდება აფხაზეთის ახალი ლიდერი – პირველი პრეზიდენტის „ოჯახთან“ დაახლოებული კაცი, თუ ოპოზიციის კანდიდატი? მაგრამ, პრეზიდენტად ვინც უნდა გახდეს, ეს არც რუსეთისთვის და არც საქართველოსთვის არაფერს შეცვლის. აფხაზეთში დღეს არ არის თუნდაც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც გაბედავდა და ხმამაღლა მოუწოდებდა თანამემამულეებს საქართველოსთან გაერთიანებისთვის, რადგან პრეზიდენტად არჩევისთვის ასეთი ადამიანის შანსი ნულის ტოლი იქნებოდა. ოპოზიციონერთა შორის რუსეთთან დაახლოების არც ერთი მოწინააღმდეგეც არ არის. ამიტომ, შესაძლოა, მოსკოვმა აშკარად ზედმეტად გამოიდო თავი, როცა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ უჭერს მხარს მმართველი კლანის წარმომადგენელს – ამჟამინდელ პრემიერს რაულ ხაჯიმბას. ეს ისეთივე ვარიანტია, რომელიც უკვე ვნახეთ ინგუშეთსა და ჩეჩნეთში: სავსებით განჭვრეტადი, საიმედო და მოსკოვისთვის მოსახერხებელი კაცი, რომელმაც სპეცსამსახურებში მუშაობით გაიკეთა კარიერა, თუმცა, აშკარად არ ჰყოფნის ქარიზმა და დამოუკიდებლობა იმისთვის, რომ გახდეს ნამდვილი ლიდერი.

ამავე დროს, ოპოზიციამ უკვე გამოაცხადა, რომ არჩევნების შედეგები გაყალბებულია და სინამდვილეში გაიმარჯვა ბაღაფშმა. არაოფიციალური ინფორმაციით, სოხუმში გაიმართა ოპოზიციის მომხრეთა მიტინგი, რომელზეც ბაღაფშმა გამოაცხადა თავისი გამარჯვების შესახებ. საქართველოში ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ამ მოვლენებს. თუ თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება უკიდურეს ფორმებს მიიღებს და ქუჩის დემონსტრაციებში გადაიზრდება, ამით უთუოდ ისარგებლებენ თბილისელი „ყვავილების რევოლუციების“ ოსტატები.

**(იბეჭდება შემოკლებით).**
**მოამზადა**
**სიმონ კილაძე.**

**სხვა გაზეთიდან**

# სალომე ზურაბიშვილი:

# საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში დათბობა ჯერ არ დაწყებულა

(პირველი გვერდიდან)

ვფიქრობ, რომ ჩემი წინადადება სათანადოდ აღიქვეს. გარდა ამისა, ბატონი ლავროვი დამპირდა, რომ ვიზიტად ჩამოვიდოდა საქართველოში. ამ ვიზიტის ვადები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის, მაგრამ მე მას შევთავაზე გვწვეოდა ოქტომბრის დამლევს: ამ დროს გაიმართება რუსეთის კულტურის დღეები საქართველოში.

**– ვლადიმერ პუტინი თუ აპირებს თბილისში ჩამოსვლას?**

– პრეზიდენტი ვერ ჩამოვა საქართველოში მანამ, სანამ არ იქნება რეალური შანსი მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ხელმოწერისათვის. თუ ლავროვის ვიზიტი თბილისში შედგება, ეს კარგი ნიშანი იქნება. მაშინ კი უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოში პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრის შესახებ.

**– ზოგიერთი ქართველი პარლამენტარი თქვენ, როგორც საფრანგეთის, ზოგიერთ საკითხში რუსეთის მოკავშირე ქვეყნის მოქალაქეს, გადანაშაულებთ მოსკოვის მიმართ ზედმეტ ლოიალობაში...**

– მას შემდეგ, რაც გავხდი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, მე ლოიალური ვარ მხოლოდ ამ ქვეყნის მიმართ.

**– თქვენ მონაწილეობდით სუუამის (საქართველო-უკრაინა-უზბეკეთი-აზერბაიჯანი-მოლდავეთი) საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში. თუ აქვს ამ სტრუქტურას განვითარების პერსპექტივები? ზოგიერთი ექსპერტი ამ ორგანიზაციას „სწრაფ აღსასრულს“ უწინასწარმეტყველებს. ხომ არ დაკარგავს იგი ერთ-ერთ თავის „უ“-ს – უზბეკეთმა, როგორც ცნობილია, უარი თქვა მოეწერა ხელი სუუამის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნის შესახებ შეთანხმებისათვის?**

– ჯერ ერთი, საერთაშორისო ორგანიზაციის არსებობის ასეთი მოკლე დროის განმავლობაში, რთულია ვიმსჯელოთ მის პერსპექტივებზე. ამჟამად სუუამი მუშაობს ორ პროგრამაზე – ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ტრანსპორტის განვითარება. ცნობილია, რომ ამ პროგრამების განხორციელებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა იკისრა ამერიის შეერთებულმა შტატებმა. ორივე პროგრამა ძალზე აქტუალურია. შესაძლოა, ამერიკის შეერთებული შტატები წინათ იდეოლოგიური თვალსაზრისით უდგებოდა ამ ორგანიზაციას, მაგრამ, სადღეისოდ ჩემი აზრით, ამერიკელთა მიდგომა წმინდა პრაგმატული ხასიათისაა. რაც შეეხება უზბეკეთს, თუ მას მართლაც სურს გაემიჯნოს სუუამს, ამაში მე კატასტროფას ვერ ვხედავ. ეს მისი ნებაა.

**აქტუალური საკითხი**

# ველოდოთ თუ არა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში სასიკეთო ცვლილებას?

(პირველი გვერდიდან)



ზაფხულში ხაჯიმბა თავად ვლადიმერ პუტინმა მიიღო. ამ შეხვედრის ამსახველი ფოტოები აფხაზეთში წინასაარჩევნო პლაკატებად გავრცელდა. ხაჯიმბას სახელს უკავშირდება აფხაზეთის მოქალაქეებისთვის რუსული პასპორტების მიცემა. სერგეი ბაღაფშს ქართველი ცოლი ჰყავს, ამასთან, როგორც აღვნიშნე, არძინბას ოპოზიციაა, მიუხედავად ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, მას მხარი აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა დაუჭირა.

მოგეხსენებათ, აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც გასულ კვირას ჩატარდა, სულ ხუთი კანდიდატი იყრიდა კენჭს. ლიდერობენ ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა და „ჩერნომორენერგოს“ ყოფილი ხელმძღვანელი სერგეი ბაღაფში. აფხაზეთის ცესკოს მონაცემებით, ხაჯიმბა ხმების 52,84 პროცენტით იმარჯვებს, ხოლო ბაღაფშმა 33,58 პროცენტი მიიღო. ამ ინფორმაციას არეულობა მოჰყვა, ბაღაფშის მხარდამჭერებმა საპროტესტო მიტინგები გამართეს. მათი აზრით, ბაღაფშმა ხმების 51 პროცენტი მიიღო. არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადება ჭიანურდება, ხმის დათვლის პროცესი ჯერაც მიმდინარეობს, შედეგები უახლოეს დღეებში გამოცხადდება. ხაჯიმბაც და ბაღაფშიც აღიარებენ, რომ არჩევნები უხეში დარღვევებით ჩატარდა. სეპარატისტული ხელისუფლება ექსცესებისა და დაპირისპირებების არსებობას უარყოფს, თუმცა, ამის უარყოფა ძნელია. საინტერესოა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ოპოზიციის კანდიდატს სერგეი ბაღაფშს უჭერს მხარს და არა არძინბას ფავორიტს ხაჯიმბას, რომელიც მთლიანად არძინბას კლანთან ასოცირდება. ეს ფაქტი, ალბათ, იმაზე მიუთითებს, რომ, თუ აფხაზური საზოგადოება ბოლო ათწლეულის განმავლობაში ერთიანობას ინარჩუნებდა, დღეს უკვე ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხისადმი განსხვავებული დამოკიდებულება აქვს.

რას ფიქრობენ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე, ამ არჩევნების შემდეგ უნდა ველოდოთ თუ არა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში რაიმე ცვლილებას?

**თემურ მჟავია, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე:** „ჩვენ ოფიციალურად განვაცხადეთ, რომ არ ვცნობთ არჩევნების ლეგიტიმურობას და ამ აზრს იზიარებს ყველა ის საერთაშორისო ორგანიზაცია და მისია, რომელიც აფხაზეთში მუშაობს. საქართველოსთვის არა მგონია რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში. ვინც არ უნდა მოვიდეს, უკანონო პრეზიდენტი იქნება, მაგრამ რაკი იგი რეალურად არსებობს, პრაქტიკულად უნდა ვაღიაროთ, რომ ის დე ფაქტო არსებობს, ისევე, როგორც მათ უნდა აღიარონ ჩვენი უფლება აფხაზეთზე. ამ უფლების რეალიზაცია ჩვენ უნდა მოვახერხოთ და თანაც ისე, რომ დროში არ გაიჭიმოს. ამას თან უნდა ახლდეს სამართლებრივი ნაბიჯები. არადა, იძულებული ვიქნებით, გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რათა დავიბრუნოთ ის, რაც გვეკუთვნის“.

**ზურაბ კოკაია, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:** „მე ამ არჩევნებისგან აბსოლუტურად არაფერს არ ველი. თუ გავიდა ხაჯიმბა, მისი სახით უფრო სერიოზული მტერი გვეყოლება, თუ გაიმარჯვებს ბაღაფში, შესაძლოა მოლაპარაკებების ახალი სტადია დაიწყოს, თუმცა ეს მოლოდინიც რაღაც ბუნდოვანია. რას უნდა ველოდოთ მისგან, ჯერჯერობით ამაში გარკვეული არა ვარ. არსებობს ასეთი სიტყვა „სისხლის გადასხმა“. თუ ბაღაფშისთვის სისხლი არ გადაუსხამთ, სხვა საკითხია. მაგრამ შეიძლება ბაღაფშსაც გადაუსხეს სისხლი. ამდენად ისიც შეიძლება რუსეთის ძალიან დიდი მარწუხების ქვეშ მოექცეს. უფრო მეტს გეტყვით, ვინც ბაღაფშისგან ელოდება, ვთქვათ, რამე დადებითს, შეიძლება იმედი გაუცრუვდეს და იგი სულ სხვანაირი სახით წარმოგვიდგეს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს არ არის არჩევნები, მე ამ არჩევნებს საერთოდ არ ვცნობ. ეს არის კლანების თვითდამკვიდრების მცდელობა.

დარწმუნებული ვარ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ირაკლი ალასანიას მოსვლის შემდეგ აფხაზეთთან მიმართებაში ბევრი რამ შეიცვლება. საერთოდ ახალი ხელისუფლების ხედვა ამ პრობლემის მიმართ იქნება (და არის კიდეც) განსხვავებული, უფრო აქტიური, გლობალური. აქამდე სიტყვა გლობალური და აფხაზეთის სტრუქტურები აბსოლუტურად სხვადასხვა კანონზომიერება იყო. ჩვენ აფხაზეთთან საინფორმაციო ომი წავაგეთ. ამის შედეგია, რომ იქ ეს უკვე მეორე საპრეზიდენტო არჩევნები დაუბრკოლებლად ჩატარდა. ვერ დაგიკონკრეტებთ, ახლა როგორი იქნება აფხაზეთთან დაკავშირებით ჩვენი გლობალური პოლიტიკა. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ნოემბრის რევოლუციის შემდეგ საერთოდ საქართველოს ხედვა შეიცვალა. ცოტა სხვა ურთიერთობები უნდა დავიწყოთ (არის კიდეც დაწყებული). არსებობს კიდევ ერთი რამ, რასაც ჰქვია კაცური ხედვა, კაცური სიტყვა, კაცური ხელის ჩამორთმევა. ეს ყოველთვის გვაკლდა, შესაბამისად გვაკლდა ნდობის ფაქტორი. ლაპარაკობდნენ ერთს, აკეთებდნენ მეორეს, ასე იქცეოდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. დღეს ჩვენ პრობლემას ახლებურად უნდა შევხედოთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები შედეგიანი“.

გავრცელებული ინფორმაციით, გალის მოსახლეობამ ხმა სერგეი ბაღაფშს მისცა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური მხარის მონაცემები, თითქოს გალში 60 000 ადამიანი ცხოვრობს, სინამდვილეს არ შეეფერება. მოსახლეობა იქ მუდმივად გადაადგილდება. ეს ციფრი არჩევნების არალეგიტიმურობის „დასაფარად“ სპეციალურად არის გაბერილი, აქაოდა, არჩევნებში მონაწილეობა 60 000 ქართველმა მიიღოო. სეპარატისტების ამ ტყუილზე საერთაშორისო ორგანიზაციები არ წამოეგნენ. ეუთო და გაერო დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ და დაგმეს აფხაზეთის უკანონო არჩევნები.

**მზია გელენავა.**

**კონფლიქტის ზონა**

# აკი, შეხმატკბილებულად ვიცხოვროთო?

## გაეროს ბავშვთა ფონდი – სამაჩაბლოს

**სასწავლო წელი დაიწყო და, ლიახვისა და ფრონეს ხეობების – კონფლიქტის ზონის სოფლებს – გაეროს ბავშვთა ფონდის დიდი სატვირთო მანქანები მიადგა. ფონდმა სკოლებს სასკოლო ნივთები, სოფლის ამბულატორიებს კი – მედიკამენტები ჩაუტანა.**

ცხინვალის შესასვლელთან ოსმა „საზღვრისდამცველებმა“ მანქანების ქარავნის და მასთან ერთად იქ მყოფი ეუთოს დამკვირვებლების, სამხარეო ადმინისტრაციის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ჟურნალისტების წინაშე ძველი, ნაცნობი სცენა გაითამაშეს: შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს მიხეილ ქარელს ქალაქში შესვლაზე უარი უთხრეს.

საერთოდ, ცხინვალის ხელისუფლებას რწმუნებულის მიმართ მუდმივად გართულებები აქვს.

სიტუაცია რომ არ დამძიმებულიყო, მიხეილ ქარელმა შემოვლითი გზით წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ მას სოლიდარობა გამოუცხადეს გაეროს ბავშვთა ფონდის, ეუთოს, კულტურის სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ყველანი შემოვლითი გზით ერედვიდან გადავიდნენ თამარაშენში, იქიდან კი მანქანების ქარავანი დიდი ლიახვის სოფლებისკენ გაემართა.

* * *

იმ დღეს კი მოსკოვში, ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე უაღრესად ავტორიტეტული – ოთხმხრივი შეხვედრა მიმდინარეობდა, სადაც ოსური მხარე ყელგამოწვდილი იხვეწებოდა – კონფლიქტის ზონაში ოსებმა და ქართველებმა შეხმატკბილებულად ვიცხოვროთო.

ბედის ირონია თუ გინდა, ეს არის!

**გურამ პავლიაშვილი,**
**„სრ“ მიმომხილველი.**

ჭორი და სინამდვილე

# ვის ესიზმრება ორი ათასი ევრო?

## ანუ, როგორ მოგზაურობენ გარდაცვლილები და როგორ მშობიარობენ... დედაბრები... ოთხ თვეში ორჯერ

**ამ ბოლო დროს საქართველოში დევნილები ნელ-ნელა მნიშვნელოვანი ამბების მომსწრენი ხდებიან. იმის გათვალისწინებით, რომ სასტუმრო „ივერია“ უკვე დაიცალა ამ ადამიანებისგან, საზოგადოებაში უფრო მძლავრად დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ მალე მათ დევნილის სტატუსსაც მოუხსნიან. თურმე, როგორც ამბობენ, საქართველო ვერასდროს გახდება ევროკავშირისა ან ნატოს წევრი ქვეყანა, თუკი მას დევნილები ეყოლება...**

**ამასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზეც, თუ რამდენს გადაუხდიან თითოეულ დევნილს. ამბობენ, რომ ეს თანხა თითოეულ სულზე იქნება 2.000 ევრო.**

**როდესაც ვიკითხე ინფორმაციის წყარო, დევნილებმა ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემა დამისახელეს, თუმცა, ვერ მიანიშნეს ზუსტი მისამართი. ამიტომ მივაკითხე, უშუალოდ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ეთერ ასტემიროვას, რომელმაც ამ ფაქტს სრული დეზინფორმაცია უწოდა.**



— ეს ყველაფერი ძალიან ორგანიზებულად ხდება, თითქმის ყველა რეგიონში დადიან ვითომც სამინისტროს წარმომადგენლები და ითხოვენ ხელის მოწერას, რომ 2000 ევროს საფასურად არ დათმონ სტატუსი. მე უკვე ვთხოვე საინფორმაციო საშუალებებს, გამოაცხადონ, რომ ეს არის სრული დეზინფორმაცია.

თანაც, ძალზე საინტერესოა, რომ ეს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი დსთ-ს მასშტაბით მცხოვრებმა დევნილებმაც შეიტყვეს და უკვე საზღვარგარეთიდან რეკავენ... დაიწყო სრულმასშტაბიანი კამპანია მათთვის სტატუსის მიცემის მოთხოვნით, ვინც დღემდე საერთოდ არ იყვნენ დევნილებად გაფორმებული... თუმცა, ეს შესაძლოა, ახალ აღრიცხვიანობასთანაც იყოს დაკავშირებული.

**— საიდან შეიძლება მოდიოდეს ეს დეზინფორმაცია?**

— წარმოდგენა არა მაქვს, რადგან არც ერთ სამთავრობო სტრუქტურაში ეს საკითხი არ დასმულა. ზოგის თქმით, ეს მსოფლიო ბანკის თუ ევროკავშირის წარმომადგენლებმა გაავრცელეს... მე შევხვდი მათაც. ისინი განცვიფრებული დარჩნენ.

**— აბა, საიდან მოდის, რა მიზანი აქვს?**

— მგონი, ეს არის პირდაპირ მიმართული აქცია სახელმწიფოს წინააღმდეგ, რამაც შეიძლება არეულობაც კი გამოიწვიოს, ის მიმართულია ჩვენი სამინისტროს წინააღმდეგაც, რადგანაც აღრიცხვიანობას ვატარებთ და უკვე ხუთი ათასი დევნილი, რომლებიც არასდროს არსად ყოფილა რეგისტრირებული, ახლა გამოჩნდა. ზუსტად უნდა შევამოწმო და შევადარო, თუ როდის აქვთ მათ პასპორტები აღებული. საკონსულოდან უკვე მომაწოდეს სიტყვიერი ინფორმაცია, რომ ჩვენგან აღებულ სიებში არც ერთი ასეთი პიროვნება რეგისტრირებული არ არის. ესენი არიან, უბრალოდ, „ახალი“ ხალხი, რომლებიც საკონსულოებში იღებენ პასპორტებს და შემდეგ ამის მეშვეობით სურთ დევნილის სტატუსის და შესაბამისად, 2.000 ევროს „განაღდება“.

**— ქალბატონო ეთერ, რა შედეგები მოიტანა ახალმა აღრიცხვამ. მართლა შემცირდა თუ არა დევნილთა სიები? იყო თუ არა გაყალბებები?**

— აღრიცხვიანობა დღემდე არ შეწყვეტილა, თუმცა, საბოლოო ციფრი მალე გვექნება. რვა დეკემბრამდე გაგრძელდება ახალი აღრიცხვა.

თუ რეგისტრაციამდე დაფიქსირებული იყო 262.672 დევნილი, დღეის მონაცემებით, აღრიცხული გვყავს 233.370 დევნილი. მათგან კერძო სექტორში ცხოვრობს 131.327, ორგანიზებულად განთავსებულია 102.043 დევნილი.

იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით პირველად აღრიცხვაზე აყვანილია 5287 პიროვნება, რომელთა შორისაც ახალშობილია 1070, არასრულწლოვანია – 2182, სრულწლოვანი – 2035. ეს რიცხვი კიდევ შეიცვლება იმიტომ, რომ ყოველდღე შემოდის ახალი მასალები.

**— რამდენი დევნილი იმყოფება კონფლიქტის ზონებში?**

— განცხადებების საფუძველზე კონფლიქტის ზონაში, გალის რაიონში და ცხინვალის რეგიონში იმყოფება 987 დევნილი, რომელთაც ვერ მიიღეს დევნილის სტატუსი გამოუცხადებლობის გამო; ზოგი ამბობს, რომ ავად არის და იმიტომ ვერ მოდის და ასე შემდეგ... საქართველოდან გასულია 8.309 კაცი, ისინი, ვინც განცხადება დაგვიწერა. ესეც დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კეთილსინდისიერად დაიწერა განცხადებები.

სამინისტრომ უკვე დაიწყო საპასპორტო მონაცემების გადამოწმებაც. პროცესში აქტიურად არის ჩართული შინაგან საქმეთა სამინისტროს სავიზო-საპასპორტო სამმართველო. მოგვაწოდეს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ბაზა, რომელიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეაჯერა იქ არსებულ დევნილთა საპასპორტო მონაცემთა ბაზასთან. აღმოჩნდა 4.777 პიროვნება, რომელთა მონაცემები არ ფიგურირებს სავიზო-საპასპორტო სამმართველოს მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში.

**— ვინ არიან ეს პიროვნებები?**

— აღნიშნული პირები მოვიძიეთ მათი ოჯახების მიხედვით. საბოლოო ჯამში, ეს რიცხვი გაიზარდა 6.522-მდე, რადგან მათ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, რომელთაც პასპორტები არ სჭირდებათ. ეჭვი გვაქვს, რომ ეს არის არასწორი მონაცემები და ამიტომაც მასალები გადაეცა უშიშროების სამინისტროს, სადაც ყველაფერს უკვე ამოწმებენ.

**— რა დარღვევები გხვდებოდათ ყველაზე მეტად აღრიცხვიანობის დროს?**

— რეგიონების მიხედვით ცალკე ოჯახებად იყვნენ რეგისტრირებულნი არასრულწლოვანნი. ასეა ბევრ რაიონში. როგორ შეიძლება არასრულწლოვანი დევნილი ოჯახის უფროსი იყოს? 1126 ასეთი ცალკე ოჯახია აღრიცხული! და მათზე წლების მანძილზე ირიცხებოდა სახელმწიფო ფულადი შემწეობა... ეს მონაცემებიც შესასწავლად გადავეცით შესაბამის ორგანოებს, გასარკვევია, ვინ იღებდა სინამდვილეში ამ თანხებს...

წლების განმავლობაში ძალზე უკონტროლო სიტუაციაა გარდაცვლილთა აღრიცხვასთან დაკავშირებითაც. აღმოვაჩინეთ გარდაცვლილთა „მიგრაციაც“... ერთი რაიონიდან მეორეში.

ეჭვს იწვევს ახალშობილთა საეჭვოდ გაზრდილი ციფრიც. 3252 ახალშობილი მარტო წლეულს შეემატათ დევნილებს. ხომ დამაფიქრებელია? ჩვენ ხომ ისედაც ვიცით, რომ უფრო ნაკლებია შობადობა, ვიდრე გარდაცვლილთა რაოდენობა? ახლა ვადგენთ იმის მონაცემებს, თუ რამდენი დევნილია გარდაცვლილი ერთი წლის განმავლობაში. ამას ხომ აფხაზეთის ტელევიზიაც ყოველკვირეულად გადასცემს? რა აჯობებდა იმას, რომ უფრო მეტი ახალშობილი გვყოლოდა, მაგრამ აქ არის დიდი კორუფციის წყარო. ერთ ფაქტს გეტყვით მხოლოდ: ერთ 65 წლის ქალბატონს ჯერ ვითომ გოგონა ეყოლა, ოთხი თვის შემდეგ კი – ვაჟი. ასეთი შემთხვევებიც არის. ზოგჯერ, გაუთხოვარ ქალბატონებსაც „ჰყავთ“ მიწერილი შვილები... ეს სისტემა ახლა აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ამას, ალბათ იუსტიციის სამინისტრო მიაქცევს ყურადღებას, რათა ყველას არ ჰქონდეს საშუალება გასცეს როგორც დაბადების, ასევე გარდაცვალების მოწმობები...

**— ვინ ანიჭებს პიროვნებას დევნილის სტატუსს?**

— ჩვენთან მოდის მეორადი მასალა, როდესაც ადგილობრივი სტრუქტურები აძლევენ დევნილის სტატუსს. პრაქტიკულად, პასპორტები გაიცემა აფხაზეთის საპასპორტოებში, თუმცა, ახლა ისინი დაკეტილია. გასარკვევია, საიდან არის გაცემული ამდენი პასპორტი. ლეგალიზებულია ის პასპორტები, რომელთა მიხედვითაც ახლად დგებიან აღრიცხვაზე და ამიტომ ჩვენ უფლება აღარა გვაქვს, მოწმობები არ გავცეთ. მარტო წლევანდელი აგვისტოს მონაცემებით, გაცემულია 194.193 პასპორტი...

**— დაბოლოს, ცოტა უხერხულია დღეს ამაზე საუბარი, მაგრამ რა იყო ძველი მინისტრის, ბატონ ვალერი ვაშაკიძის დაკავების მიზეზი?**

— ბატონ ვალერისთან წლების მანძილზე კარგი, თბილი დამოკიდებულება მქონდა. მას ვიცნობდი ჯერ კიდევ აფხაზეთის ომიდან. მერე, როცა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გახდა, ხშირად გვქონდა ურთიერთობა. მაშინ მე აფხაზეთის სტრუქტურებში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი. პირველად გაჩენილ დევნილებს ჩვენი კომიტეტი აგზავნიდა რაიონებში, აბინავებდა. ამას ვაკეთებდით 1992 წლის 3 დეკემბრიდან. ამიტომ ჩემი თანამშრომლები აღწერდნენ აფხაზეთიდან გადმოსულ დევნილებს. პირველად ჩვენმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელსაც სახლში კომპიუტერი ჰქონდა, შეიტანა დევნილთა მონაცემები, რომლებიც გაჩნდნენ ჯერ გაგრის და შემდეგ, სოხუმის დაცემის დროს. ჩვენ გვქონდა მონაცემები, რამდენი იყო ქალი, ან მამაკაცი, ვინ სად გავამწესეთ და სხვა. ის პირველი მონაცემები დევნილებისა გადავეცით ვალერი ვაშაკიძეს. ვთანამშრომლობდით და მე მას ვიცნობდი, როგორც ემოციურ და პატიოსან ადამიანს. ჩემთვის მტკივნეული იყო მისი დაკავების ფაქტი. მიზეზი კი დევნილის სტატუსის უკანონო მინიჭებაა დაახლოებით 2000 პიროვნებისთვის.

* * *

აქამდე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ორი ნაწილად იყო გაყოფილი. ნაწილი რუსთაველის გამზირზე, ნაწილიც – ნაძალადევის გამგეობის შენობაში იყო განთავსებული. სამუშაო პირობები ჰქონდათ ძალიან ცუდი. ამჟამად კი სამინისტრომ ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მშენებლობის სამინისტროში დაიდო ბინა. სამ სართულზე გადანაწილდა თანამშრომელთა მთელი კონტინგენტი. აქ, როგორც თანამშრომლები ამბობენ, უფრო მოხერხებულია. სამინისტროს აპარატში 145 კაცია დასაქმებული.

შენობაში რემონტია. ქალბატონი ეთერი თვითონვე მათვალიერებინებს ოთახებს, რომელსაც თანამშრომლები ასუფთავებენ და აწესრიგებენ, აქ შესანიშნავი საკონფერენციო და მისაღები დარბაზებიცაა... ფანჯრიდან გავიხედე, სიმბოლურად, ზუსტად სამინისტროს წინ არის აღმართული სასტუმრო „აფხაზეთის“ იავარქმნილი შენობა, როგორც კვალი ძველი, ძნელი წარსულის.

ადრე მნახველს ყოველთვის გულს ტკენდა მისი შეხედვა. მაგრამ ახლა ისე აღარ, რადგან ქართველები უკვე გულდაჯერებულნი არიან სიმართლესა და გამარჯვებაში.

**ესაუბრა**
**ლია ჭილლაძე.**

ცხელი თემა

# რატომ გააქტიურდა რუსეთი?

**(პირველი გვერდიდან)**

**— რა თქმა უნდა, ჩვენს ინტერესებში შედის, კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდეს ყველა მოსაზღვრე ქვეყანასთან და ეს, უპირველესად, ეხება რუსეთს, დიდ და ძლიერ სახელმწიფოს. ჩვენ გვესმის, რომ მას აქვს ობიექტური პრობლემები და ინტერესები თავის საზღვრებს გარეთაც, მაგრამ სხვა საქმეა, რა სახის არის ეს ინტერესები და როგორი მეთოდებით ცდილობს მის რეალიზებას. ჩვენ მზად ვართ, გავითვალისწინოთ რუსეთის ლეგიტიმური ინტერესები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დემოკრატიულ განვითარებასა და ევროპულ არჩევანს არ ეხება. სხვა ინტერესებსა და ნაბიჯებს კი ადეკვატურად შევაფასებთ და მწვავე რეაგირების მოხდენასაც არ მოვერიდებით.**

საქართველო ხვალ ევროსაბჭოში დებატების დროს ეცდება, ევროპელებს დაანახოს, რა როლს ასრულებს დღეს რუსეთი საქართველოში მიმდინარე პროცესებში. სათქმელი ნამდვილად ბევრი გვაქვს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აფხაზეთის არჩევნებიც საკმაოა რუსული პოლიტიკის ცხადად წარმოსაჩენად.

**— დაახლოებით, ორი თვის წინათ ვლადიმერ პუტინი აფხაზეთის მაშინდელ დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრს რაულ ხაჯიმბას შეხვდა. ეს, ფაქტობრივად, მხარდაჭერის დემონსტრირება იყო როგორც, ზოგადად, აფხაზური სეპარატიზმის, ისე, კონკრეტულად, ხაჯიმბას მიმართ. სამწუხაროა, რომ ასეთი დიდი ქვეყნის პრეზიდენტი იმ დონემდე დავიდა, რომ პირისპირ ესაუბრა სეპარატისტული რეჟიმის ერთ-ერთ ლიდერს. ეს ძალიან ცუდი სიგნალია არა მხოლოდ ქართულ-რუსული ურთიერთობებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. რუსეთი, რომლის პრეზიდენტი მხარს უჭერს სეპარატიზმს, სხვა ქვეყნებისთვის საიმედო პარტნიორი არ იქნება. მსოფლიოს დემოკრატიული რუსეთი სჭირდება.**

**ამის გამო აუცილებელი ხდება, ევროსაბჭოს ტრიბუნიდან ყველამ გაიგოს, რა ხდება.**

დღეს ხშირად აღნიშნავენ, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის პირველ ხანებში რუსეთი ჩვენს მიმართ გაცილებით კარგ განწყობას ამჟღავნებდა (აქ აუცილებლად იხსენებენ აჭარის მოვლენებს), შემდეგ კი ძალზე აგრესიული გახდა. დავით ბაქრაძის თქმით, აჭარის მოვლენების დროს რუსეთი, უბრალოდ, იძულებული გახდა, კონსტრუქციულად მოქცეულიყო. ერთსულოვნებით გამოწვეული შეუქცევადი პროცესების დროს აბაშიძის რეჟიმის მხარდაჭერა, მით უფრო, სამხედრო ძალით შენარჩუნება, რუსული პოლიტიკისთვის კატასტროფა იქნებოდა. ამიტომ მოიქცა რუსეთი ისე, როგორც საღად მოაზროვნე მეზობელს შეეფერებოდა და ქართველთა მხრიდან მადლობაც დაიმსახურა. შემდეგ კი, ბატონ დავითის ვარაუდით, რუსეთმა დაინახა, რომ საქართველო წარმატებებს აღწევს და ნელ-ნელა გადის მისი გავლენის სფეროდან, რამაც ის გააღიზიანა და აგრესიულად გაააქტიურა.

**— ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსეთი მეტ პასუხისმგებლობას იკისრებს. ბესლანის მოვლენებმა პრეზიდენტ პუტინს უნდა დაანახოს, რომ რუსეთსა და საქართველოს დიდი საერთო ინტერესი აქვთ – სტაბილურობა კავკასიაში. ეს, რა თქმა უნდა, სეპარატიზმისა და ტერორიზმის მხარდაჭერის გზით ვერ მიიღწევა. სანამ რუსეთის პოლიტიკა საქართველოში სეპარატიზმის მხარდაჭერისკენ იქნება მიმართული, ამ დიდი ქვეყნის სამხრეთი მხარე სტაბილური ვერ იქნება. როცა ჩეჩნურ ტერორიზმზე საუბრობენ, არ უნდა დაივიწყონ, რომ ის ჩეჩნური სეპარატიზმისგან წარმოიშვა. რუსეთი ვერასდროს მოაგვარებს ჩეჩნეთის პრობლემას, ვერ მოერევა ჩეჩნურ ტერორიზმს, თუ აფხაზურ-ოსური სეპარატიზმის მხარდაჭერას თავს არ გაანებებს.**

სანამ ჩვენი დიდი მეზობელი ამ საკითხებზე დაფიქრებულა, აფხაზეთში მისი პოლიტიკის, გარკვეულწილად, ჩავარდნაც შევახსენოთ. მართალია, აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატები ჩვენთან მიმართებაში არაფრით იქნებოდნენ გამორჩეული, მაგრამ, ფაქტია, რომ კრემლს მაინც ხაჯიმბაზე ჰქონდა აქცენტი გაკეთებული.

**— რუსეთს რაულ ხაჯიმბა იმ ყველაზე უკეთ მართვად პიროვნებად მიაჩნია, რომელიც უსიტყვოდ შეასრულებს მითითებებს. ამიტომაც უჭერდა მას მხარს. მაგრამ ხაჯიმბას არჩევნებზე დიდი პრობლემა შეექმნა, რაც რუსეთის პოლიტიკის უსუსურობაზე მიუთითებს. ამან კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სეპარატიზმის მართვა შეუძლებელია, ამის იმედი რუსეთს არ უნდა ჰქონდეს. ვინმეს წინააღმდეგ სეპარატიზმს ისე ვერ წარმართავ, რომ ერთხელაც შენ არ შემოგიბრუნდეს. ამის მაგალითად ბასაევიც კმარა.**

20 ოქტომბერს დანიშნულ დსთ-ს სამიტზე საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს. შეიძლება თუ არა, „დათბობა“ დაიწყოს? ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით რთულია, მაგრამ დავით ბაქრაძე რუსულ პოლიტიკაში გარკვეული კორექტივების შეტანას მაინც მოელის. მით უფრო, რომ, მისი აზრით, პრეზიდენტი პუტინის გარემოცვა საქართველოს შესახებ დამახინჯებულ, მათთვის სასურველ ინფორმაციას აწვდის. მიხეილ სააკაშვილისგან სიმართლის მოსმენას, თუნდაც ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რაც შეეხება დებატებს ევროსაბჭოში, ეს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისა არ იქნება. ჩემი თანამოსაუბრე დარწმუნებულია, რომ ევროპის ქვეყნების მიერ გამოთქმული კრიტიკა გარკვეული წნეხი იქნება რუსეთისთვის. თუმცა, მე პირადად, მეეჭვება, ჩვენმა ძლიერმა და თავდაჯერებულმა მეზობელმა ევროპას ყური ათხოვოს.

**— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გადამწყვეტ ფაზაში შედის, თუ ჩვენ, საბოლოოდ, შევძელით რუსეთის გავლენის სფეროდან გასვლა და ევროპაში ჩვენი ადგილის მოპოვება, ეს პრობლემის დასრულება იქნება. რუსეთს ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ თავისი გავლენის შენარჩუნებას მოახერხებს, მაგრამ როგორც კი ამის იმედი გადაეწურება, თავის პოლიტიკას გადახედავს, ბალტიის ქვეყნები ამის შესანიშნავი მაგალითია. რუსეთი მათს წარმატებას ყოველგვარი საშუალებით ებრძოდა, მაგრამ როგორც კი ეს ქვეყნები ნატოში შევიდნენ, პოლიტიკა მკვეთრად შეცვალა.**

ასეა, რუსეთი ურიგდება უკვე მომხდარ ფაქტს, არსებულ რეალობას. იმედი გვაქვს, საქართველოს შემთხვევაშიც ასე იქნება. ახლა მთავარია, წარმატებულად ვიაროთ ევროპაში სრულფასოვანი ადგილის დასამკვიდრებლად.

**რუსუდან გახარია.**

ინფორმაცია

ტესტირება

### ეს რა პროკურორები გვყოლია!

**იუსტიციის საბჭოს ინფორმაციით, პროკურორების საკვალიფიკაციო ტესტირება გამოცდაზე გასულ პრეტენდენტთაგან მხოლოდ 59-მა პროცენტმა ჩააბარა.**

**როგორც ინტერ-პრესს იუსტიციის საბჭოში განუცხადეს, გამოცდის ჩაბარების მსურველი 1130 იურისტი იყო, ტესტირებაზე 961 გამოცხადდა. 571-მა დადებითი შეფასება მიიღო, ხოლო 391 ჩაიჭრა. ტესტირების დროს 3 იურისტი დისკვალიფიცირებული იქნა.**

**პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რეგისტრირებულთაგან გამოცდაზე 85 პროცენტი გამოცხადდა, 41 პროცენტი ჩაიჭრა და 59 პროცენტმა ტესტირება გაიარა. იურისტს სწორი პასუხი 100 კითხვიდან 85-სთვის უნდა გაეცა. ის იურისტები, რომლებმაც პროკურორთა საკვალიფიკაციო გამოცდა ვერ ჩააბარეს, პროკურორის თანამდებობაზე არ დაინიშნებიან.**

SOS!

### კოტე გაბაშვილის სამართლიანი შენიშვნა

**პარლამენტარი კოტე გაბაშვილი პოლიციისგან დედაქალაქში ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის მოწესრიგებას ითხოვს.**

**— გასაგებია, რომ საგზაო პოლიცია კორუმპირებულია, მაგრამ ის, რაც ქალაქში ხდება, წარმოუდგენელია – ვისაც სად და როდის მოუნდება, იქ გადადის, – აღნიშნა გაბაშვილმა.**

**მისი თქმით, პოლიციას „ტოტალიზატორებთან“ და კაზინოებთან ავტომანქანის გასაჩერებელი ადგილებიც მოსაწესრიგებელი აქვს.**

**— ღამით კაზინოს წინ ვერ გაივლი, საპატრულო მანქანა კი დგას და არაფერს აკეთებს, თითქოს ეს ასეც უნდა იყოს, – აღნიშნა გაბაშვილმა.**

მებაჟეები

### დანაშაული სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს

**ორი დღის წინათ დაკავებულ ლაგოდეხის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის სამ მებაჟეს – დიმიტრი ჯოხაძეს, მათე ჯალიაშვილს და შალვა არჯევანიძეს თელავის რაიონულმა სასამართლომ სამთვიანი წინასწარი აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა.**

**კახეთის საოლქო პროკურატურამ და შს კახეთის მთავარმა სამმართველომ ცვლის უფროსი დიმიტრი ჯოხაძე, ინსპექტორები – მათე ჯალიაშვილი და შალვა არჯევანიძე 2 ოქტომბერს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს.**

**ლაგოდეხის საბაჟოდან კონტრაბანდული გზით განუბაჟებელი საქონელი ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალიდან ლილოს ბაზრობაზე ხვდებოდა, რაც სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე არსებულ დარღვევებს უკავშირდება.**

**დაკავებული მებაჟეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 332-ე მუხლით აღიძრა, რომელიც სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.**

**ინტერ-პრესი.**

აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

# ყვავილი ჭურვზე ძლიერი იარაღია კეთილი ნების ადამიანთა ხელში

**„გვახსოვდეს აფხაზეთი“! „აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი“! – ნიადაგ ვკითხულობთ ამ სიტყვებს.**

**აფხაზეთი – უზომო, უკიდეგანო დარდი!**

2004 წლის 27 სექტემბერი. ეს არის თარიღი, რომელიც 300 ათასი ჩვენი თანამემამულის სამშობლოში უსამშობლოდ გატარებულ თერთმეტ წელიწადს განსაზღვრავს. თერთმეტჯერ 365 დღე, ამდენივე ტკივილიანი, თეთრად გატარებული ღამე.

ამ დღეებში აფხაზეთის დაკარგვის მიზეზებმა გაიჟღერა. ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ ამ მიზეზთა შორის, გათიშულობასთან ერთად ერთ-ერთ უპირველესად ღალატი დაასახელა! ეს ჩვენ აუცილებლად უნდა გვცოდნოდა და ახლა ვიცით: საქართველოს გამთლიანება ვერ მოხერხდება სიცრუის, სიყალბის, ფაქტების დამახინჯების თუ მიჩქმალვის ხარჯზე!

სოხუმის ხსენებისას თვალწინ მუდამ მზიანი მხარე წარმოგვიდგება, მხარე, სადაც ქართველობა იზრდებოდა, შრომობდა. დღეს კი დაკარგული სოხუმი მხოლოდ მოგონებისა და ოცნების საგნად არის ქცეული. გვჯერა, რომ ჩვენ მას დავიბრუნებთ, მაგრამ როდის? როგორ წარიმართება აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქართულ-აფხაზური ურთიერთობა?

ეს კითხვა, ცხადია, ყველაზე მეტად არ ასვენებს აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, რომელმაც თავი შეაფარა საქართველოს სხვადასხვა მხარეს, თბილისს.

ნამდვილად რთული პრობლემის წინაშე ვდგავართ. თავდაპირველად, ალბათ, საჭიროა მხარეებს შორის მოლაპარაკება გაგრძელდეს, თანაც ისე, რომ დიალოგი გულახდილი, საფუძვლიანი და ურთიერთკომპრომისული იყოს. კონფლიქტი მხოლოდ ერთი მხარის სურვილით არასოდეს მოგვარებულა, ამდენად, აქაც ორმხრივი სერიოზული ძალისხმევა იქნება საჭირო. თავისი სიტყვა უნდა თქვას კონფლიქტის ზონაში მცხოვრებმა სამოქალაქო საზოგადოებამ, არასამთავრობო სექტორმა. მშვიდობიან თანაცხოვრებას ხომ ბუნებაში ალტერნატივა არ აქვს – ადრე თუ გვიან, როგორც კაცობრიობის განვითარების ისტორია გვასწავლის, ნებისმიერი სისხლისმღვრელი ომი ჯერ ზავით, ხოლო შემდეგ შემორიგებით დასრულებულა. ნებისმიერი თანამედროვე საზოგადოება ომს ვერ ან არ მიესალმება. დღესავით ნათელია, რომ ეს მხოლოდ ცალკეულ „ინდივიდთა“ პირადი ანგარებითი ინტერესებით არის ნაკარნახევი – სადაც ომია, იქ ხომ მავანნი დიდ ფულს შოულობენ.

მართალია, სეპარატიზმისგან, გენოციდისა და ტერორიზმისგან პლანეტის განკურნების, ცხელ წერტილებში დაძაბულობის განელების ქმედითი რეცეპტი თანამედროვე კონფლიქტოლოგიაში ჯერ ისევ არ არსებობს, როგორც, ვთქვათ, ონკოლოგიაში კიბოს საწინააღმდეგო ელექსირი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება წარსულში, საუკუნეთა მანძილზე თანაცხოვრების ნათელი გამოცდილება და დღეს წრფელი გულით გაწვდილი მარჯვენა.

ყვავილი ჭურვზე უფრო ძლიერი იარაღია კეთილი ნების ადამიანთა ხელში!

**ირაკლი ბალათურია,**
**ლევან ნარიმანიძე,**
**სტუდენტები.**

რეფორმა

# კომერციამ ვეტერინარიამდეც შეაღწია

**ვეტერინარული კანონის შექმნის სათავეები ჯერ კიდევ XV-XVI საუკუნეებიდან მოდის, როცა სხვადასხვა ქვეყანაში ოფიციალურად ახორციელებდნენ უმარტივეს ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობით მეფენი ცდილობდნენ გზა გადაეკეტათ დაავადებათა გავრცელებისთვის. ასეთ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა მკვდარი ცხოველების გატყავების აკრძალვა, ლეშის დამარხვის აუცილებლობა, ცხოველების დაკვლის დროს სხვადასხვა წესის დაცვა...**

**მსოფლიო ვეტერინარიის განვითარებაში, მისი მარეგულირებელი აქტებით შექმნაში გარკვეული როლი საქართველომაც შეასრულა. დღეისთვის 5 ათეულზე მეტი სხვადასხვა ფორმის, შინაარსისა და მოცულობის დოკუმენტია ცნობილი, რომლებიც ამ პროფესიის სიძველეზე მიუთითებს.**

ვეტერინარია უტყვ პაციენტებს ემსახურება. მათ განსხვავებული სნეულებანი აწუხებთ, თუმცა ადამიანისა და ცხოველის საერთო დაავადებათა რიცხვი ამჟამად თითქმის 200-მდეა, მათგან 150 ინფექციური, ხოლო 50-მდე ინვაზური წარმოშობისაა. ვეტერინარულ კეთილსაიმედოობას აღწევენ მხოლოდ ის ქვეყნები, სადაც განუხრელად სრულდება კანონითა და მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან დაკავშირებით, როგორი სიტუაციაა ჩვენს ქვეყანაში?

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი თავისი 640-მდე ორგანიზაცია-დაწესებულებებითა და დაახლოებით 2467 საშტატო ერთეულით დღეისთვის ერთადერთი საშემსრულებლო და, ამავე დროს, სახელმწიფო მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე ორგანოა. ქვეყანაში შექმნილი ფინანსური სიძნელეების გამო განსახორციელებელი აუცილებელი ვეტერინარული ღონისძიებებიდან სახელმწიფო მხოლოდ რამდენიმე დაავადებას – ცოფს, ჯილეხს, თურქულს, ბრუცელოზსა და ტუბერკულოზს აფინანსებს – ამასაც – ნაწილობრივ. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სწორედ ამის შედეგია ჩვენს ქვეყანაში არასტაბილური ეპიზოოტიური სიტუაციის კიდევ უფრო გართულების საშიშროება, რამაც, შესაძლებელია, დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენოს მოსახლეობას.

ყოველივე ამისა და აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ევროგაერთიანების ექსპერტების რეკომენდაციებზე დაყრდნობით შემუშავდა პროგრამა ვეტსამსახურთა რეფორმისთვის.

როგორც ვეტერინარიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, ქვეყნის სახელმწიფო ვეტერინარულ სამსახურში სრულმასშტაბიანი რეფორმის განხორციელებით, რეორგანიზაციით, რესტრუქტურიზაციითა და პრივატიზაციის პროცესების შესაბამისად მოხდება ამ სტრუქტურაში სახელმწიფო მაკონტროლებელი და სამეურნეო აღმასრულებელი ფუნქციების გამიჯვნა. პროექტის მიხედვით ვეტდეპარტამენტს სახელმწიფო პოლიტიკას, კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელების ფუნქცია დარჩება, ხოლო სამეურნეო საქმიანობა რაიონებში, ქალაქებში, სოფლად ვეტსამსახურების, ვეტლაბორატორიების, აგრარულ ბაზრებთან და ბაზრობებთან მოქმედ ვეტერინარული სანექსპერტიზოს ლაბორატორიების განსახელმწიფოების შედეგად შესაქმნელ კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირის ვეტერინარულ სამსახურებს უნდა გადაეცეს. „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანია, აგრეთვე, კანონპროექტი „ვეტერინარ ექიმთა სახელმწიფო სერტიფიცირების წესის შესახებ“, რომელიც, აგრეთვე, განსაზღვრავს კერძო ვეტერინარულ სამსახურებში დასაქმებულ ვეტერინარი ექიმების სერტიფიცირების საკითხს.

დღემდე ვეტერინარიის შესახებ კანონის თანახმად საქართველოში მოქმედ ყველა ბაზარსა თუ ბაზრობაზე სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის ვეტსანექსპერტიზოს ლაბორატორიები მოქმედებს, მაგრამ საკითხავია, რამდენად გამართულად მუშაობენ ეს ლაბორატორიები? ეს პრობლემა, კარგა ხანია, საზოგადოების ინტერესის არეში მოექცა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის დავით მესხიშვილისა და მისი მუშაკების შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ თითქმის ყველგან დარღვეულია სანიტარიული ნორმები, ამიტომ ლაბორატორიათა მუშაობა კრიტიკას ვერ უძლებს. ყოველივე ამის შესახებ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ არაერთჯერ წერდა.

**— რა სიტუაციაა დღეს და რეფორმის განხორციელება რას შეცვლის ხსენებული ლაბორატორიების მუშაობაში საერთოდ?** – ამ შეკითხვით მივმართე ვეტერინარიის დეპარტამენტის გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებთან ბრძოლის სამმართველოს უფროსს კარლო მაღლაკელიძეს.

— ჩვენდა სამწუხაროდ, – თქვა მან, – ბოლო წლებში ბაზრებისა და ბაზრობების ხელმძღვანელები, რომლებსაც კანონი აკისრებთ ვეტსანექსპერ- [redacted] ლაბორატორიების უზრუნველ- [redacted] კეთილმოწყობილი შენობა-ნა- [redacted] ებით, საკომუნიკაციო სისტე- [redacted], დაკისრებულ მოვალეობას არ [redacted] ასრულებენ. უფრო მეტიც, სრუ- [redacted] არ ზრუნავენ ლაბორატორი- [redacted] ამართული მუშაობისთვის. სწო- [redacted] ამით აიხსნება ამ ლაბორატო- [redacted] ს მუშაობაში არსებული ხარ- [redacted]. სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ [redacted] რატორიებში დასაქმებული ზო- [redacted] თი სპეციალისტი უპასუხისმგებ- [redacted] ეკიდება საკუთარ საქმეს, მო- [redacted] ობას. შედეგად კი იმას ვიღებთ, [redacted] შესაძლოა, ბაზრის თუ ბაზრო- [redacted] ახლზე გასაყიდად შეუმოწმე- [redacted] პროდუქცია მოხვდეს. ეს კი რა [redacted] თხესთანაცაა დაკავშირებული, [redacted] ასთვის ნათელია.

[redacted] ს გარდა, სახელმწიფო ვეტერი- [redacted] ლი სამსახური წლების მანძილზე [redacted] ვინანსდება სათანადოდ, რომ [redacted] ბორატორიების და, საერთოდ, [redacted] ნაში არსებული ვეტსამსახურის [redacted] რიალურ-ტექნიკური ბაზის გა- [redacted] ზესებაზე იზრუნოს. დღეს ეს ლა- [redacted] ტორიები კეთილმოუწყობელი, [redacted] ონტოა და ვერანაირ სტანდარ- [redacted] ვერ აკმაყოფილებს. თანამშრომ- [redacted] 20-25 წლის წინათ შეძენილი [redacted] ლებული აპარატურით უხდე- [redacted] უშაობა. ასეთ პირობებში სინ- [redacted] ლებას, საკვლევი მასალის გა- [redacted] ლევას დიდი დრო სჭირდება და [redacted] რატურით შეიარაღებული სპე- [redacted] ისტები, რა თქმა უნდა, ვერ [redacted] ნ დილის საათებიდან ბაზარ- [redacted] მოსული პროდუქციის შემოწ- [redacted], არადა, თანამედროვე აპარა- [redacted] თ ერთი ანალიზის ჩატარებას [redacted] ენიმე წუთი თუ დასჭირდება. [redacted] ლა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს ამ სამსახურის მუშაობაზე. არის შემთხვევები, რომ დახლზე შეუმოწმებელი პროდუქცია ხვდება, რაც სავალალო შედეგით შეიძლება დასრულდეს.

ის. მე-4 გვ.

ინფორმაცია თემაში



**სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის მოთხოვნით ე. წ. დეზერტირების ბაზარში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. სუპერმარკეტის დირექტორის ინფორმაციით, აუცილებლად შეიცვლება სანიაღვრე და კანალიზაციის მოძველებული სისტემა, განახლდება ვეტლაბორატორია. აღსანიშნავია, რომ კეთილმოწყობის სამუშაოებს ბაზრის ხელმძღვანელობა საკუთარი ხარჯებით ასრულებს. ასევე თავისივე ხარჯებით შეიძენენ ვეტლაბორატორიისთვის აუცილებელ უახლეს ტექნიკასაც.**

⊙ სახელოვანი მამულიშვილები

# ტაშს იყო გულდაწყვეტილი ხალხის საყვარელი მსახიობი

**— ცოტას აიაღმართებთ, ბატონო და, იქვე, ხელმარჯვნივაა ჩვენი ტარასიჩის ბინა, — მიმასწავლა გრიგოლ ტყაბლაძის მისამართი ჭიათურის ავტოსადგურში ჩამოსულს შუა ხნის, ხმელ-ხმელი სახის იმერელმა. ყურს ესიამოვნა: „ჩვენი ტარასიჩი" ისე ამოთქვა ამ კაცმა, რომ სახელოვანი თანაქალაქელისადმი უზარმაზარი სითბო დაიტია.**

სითბო და სიყვარული არც საქართველოს სხვა კუთხეებში აკლდა გრიგოლ ტყაბლაძეს, მაგრამ ამას ჭიათურელები მაინც განსაკუთრებით გამოხატავდნენ. რა გასაკვირია — მთელი ცხოვრება ამ ქალაქში გაეტარებინა, აქაური თეატრი წარმოუდგენელი იყო ორი „ტანდემის" — გრიგოლ ტყაბლაძისა და მიხეილ ვაშაძის გარეშე. ორი ბრწყინვალე მსახიობი და კიდევ სხვები და სხვები, განსაკუთრებულ ხიბლსა და მიმზიდველობას მატებდნენ ჭიათურის თეატრს, მთელ ქალაქს, სადაც, ერთ დროს, კულტურული ცხოვრება ჩქეფდა. აქაურები დიდის ამბით ემზადებოდნენ ხოლმე თეატრში წასასვლელად. პრემიერაზე ხომ ტევა არ იყო დარბაზში.

ყველაფერ ამას, იმ დღეს დინჯად, სვენებ-სვენებით (უკვე ავად იყო) მიამბობდა ბატონი გრიგოლი, ვისთვისაც ზემო იმერეთის ამ კოლორიტულ ქალაქში სახელდახელოდ ჩამოვედი (კარგა ხნის სურვილი ავისრულე), რომ შემდეგ მკითხველისთვის შეძლებისდაგვარად მომეთხრო ქართული აქტიორული სკოლის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელზე.

... მერე თითო ჭიქა თხელი იმერული ღვინოც შევსვით, ოჯახის დიასახლისის — ქალბატონ ელენე ხარბანიდის გამომცხვარი ყველგადმომდინარე ხაჭაპურიც ვიგემეთ. ეეე... ასე არ ვიცოდი მეო, მომერია ავადმყოფობაო... და ღვინოს ნელ-ნელა წრუპავდა, თითქოს გემოს უსინჯავდა.

— მართლაც განსაკუთრებული მასპინძლობა იცოდა ჩვენმა ოჯახმა, — **მეუბნება ქალბატონი ივეტა ტყაბლაძე — გრიგოლ ტყაბლაძის ქალიშვილი, თეატრალი, ფილოლოგი, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის თეატრალური სექტორის პედაგოგი,** — უამრავი სტუმარი დადიოდა — ჭიათურელები, საჩხერლები, ქუთაისელები... ცხადია — თბილისელები... მამა ხომ ყველას უყვარდა. აღარაფერს ვამბობ ოჯახის წევრებზე: იგი ჩვენი — ორი ქალიშვილის — ღმერთი იყო, სიძეები დიდ პატივს სცემდნენ, შვილიშვილები მის სახელს ფიცულობდნენ... არავითარი ოჯახის საქმე მას არ ეკითხებოდა. ეს სიმძიმე დედამ იკისრა. იგი ბერძნის ქალი იყო — ჭიათურაში ჩამოსული მარგანეცის მრეწველის ქალიშვილი. 15 წლისა გაჰყოლოდა მამას. კარგა ხანს არ აპატიეს მშობლებმა. ახალგაზრდებიც თეატრში ცხოვრობდნენ თურმე, ერთ პატარა ოთახში. მერე, როგორც ხდება ხოლმე, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, ცხოვრება თავის გზით წავიდა, მე და ნეტა (ჩემი და) თბილისში ვსწავლობდით, რა თქმა უნდა, ჭიათურაში ხშირად ჩავდიოდით. მამას მიწვევები ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა თეატრიდან, თბილისშიაც შეეძლო გადმოსვლა, გნებავთ, რუსთაველში, გნებავთ, მარჯანიშვილში, ანდა, კინოსტუდიაში, მაგრამ იგი ჭიათურას ვერ ღალატობდა. ერთხელ მხოლოდ, ოლქობის დროს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში დაჰყო ერთი სეზონი და სულ კეთილ მოგონებად ჰქონდა იპოლიტე ხვიჩიასთან, შოთა პირველთან და სხვებთან გატარებული დრო.

**— საერთოდ თუ იყო, ქალბატონო ივეტა, კმაყოფილი თავისი ბედით, ხელოვნებაში გატარებული წლებით?..**

— დამერწმუნებით, რომ პერიფერიის თეატრებში, ვთქვათ, ქუთაისში, გორში, თელავში, ზუგდიდში, მახარაძეში, სოხუმში, ბათუმში... ბევრი არ იყო გრიგოლ ტყაბლაძის დონის მსახიობი. შვილი ვარ და, სხვანაირად არ გამიგოთ. ეს აღიარებულია ქართველი თეატრმცოდნეებისა და



თეატრის მოყვარულების მიერ. ჰოდა, რატომ უნდა ყოფილიყო ბედის უმადური? 200-ზე მეტი მთავარი და ეპიზოდური როლი ჰქონდა შესრულებული თეატრში. თვითონ იყო რამდენიმე დადგმის რეჟისორი („რკინის პერანგი", „მარინე", „ფიქრის გორა", „სხვისი ჩრდილი")...

1957 წლიდან მოღვაწეობდა კინემატოგრაფში და, ცხადია, აქედან გახდა უფრო პოპულარულიც. აბა, „საბუდარელი ჭაბუკიო", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიო", „მაია წყნეთელიო", „მაცი ხვიტიაო".... „უყაიმო თამაში", „მიქელა" და მრავალი სხვა... დარწმუნებული ვარ, ამ სათაურებს რომ წაიკითხავს, ბევრს გაახსენდება განსახიერებული როლებიც. იწვევდნენ და იწვევდნენ კინორეჟისორები... წარმოიდგინეთ, ვასო გოძიაშვილიდან დაწყებული, ვინ არ გასინჯა ბატონმა რეზო ჩხეიძემ ერეკლე მეფის როლზე „მაია წყნეთელში" და, ბოლოს, მაინც მამა აიყვანა. მოვარდა ალიონზე ცხონებული გოჩა აბაშიძე (ჩემი კურსელი იყო თეატრალურზე): „დაგვამტკიცეს, დაგვამტკიცეს, ტარასიჩი და მე დაგვამტკიცეს მაია წყნეთელშიო"! თუმცა, ერთ რამეზე მაინც წყდებოდა გული: რეზო ჩხეიძის „ნერგებში" დამტკიცებული იყო მთავარ როლზე. ავადმყოფობდა იმ დროს. გადაღებებზე, ზოგჯერ, მანქანით დაატარებდნენ. მერე რამდენიმე თვე ჩაწვა და, ბატონი რეზო იძულებული იყო, რამაზ ჩხიკვაძე აეყვანა. „ჩემზე იყო ზედგამოჭრილიო", იტყოდა ხოლმე. ხომ გახსოვთ „მიქელა"? ელდარ შენგელაიას ერთ-ერთი პირველი ფილმი. აქ მიქელას როლის შესრულებისთვის პრემიაც კი მიიღო მამამ. ერთი სიტყვით, ბედს არ ემდუროდა...

* * *

რა დროც უნდა გავიდეს, თაობებს მოხიბლავს ქართველი გლეხკაცის ორი გენიალური სახე — სერგო ზაქარიაძის — გიორგი მახარაშვილი და გრიგოლ ტყაბლაძის — საჩინო.

როგორ ბუნებრივად, როგორც უზადოდ გადმოსცემენ ისინი მიწას მიჯაჭვული ქართველი კაცის ხასიათს. ხომ ტრაგიკულია გიორგი მახარაშვილის ბედი, არანაკლები ტრაგიზმი ახლავს საჩინოს ბედ-იღბალს — უნდა აიყაროს იმ მიწიდან, რომელიც მამა-პაპის ოფლსა და სისხლს გაუპოხიერებია, უნდა დატოვოს მშობლიური კერა და ვითომ „უკეთესი ცხოვრება" დაიწყოს შუახანს გადაცილებულმა კაცმა. ჩვენი პატარა ქვეყნის ტრაგედია იყო, აბა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ გაუთავებელ ექსპერიმენტებს? — ხან მთიდან ბარში ჩამოსვლა, ხანაც მთაში მთიელის დაბრუნება... ზუსტი შტრიხებით ქმნის გრიგოლ ტყაბლაძე საჩინოს რთულ ფსიქოლოგიურ სახეს. საერთოდ, იგი, ჩემი აზრით, „სახით მეტყველ" მსახიობთა რიგს განეკუთვნება, რაც ძალზე იშვიათია (რა ვქნა, ქან გაბენი გამახსენდა). ეს ისე, თორემ, გრიგოლ ტყაბლაძე თხემით ტერფამდე ქართველია, ხან შუმი იმერელია, ხან ენამოსწრებული გურული, ხან დახვეწილი ინტელიგენტი... ვეებერთელა თვალებში კეთილი ღიმილი რომ ჩაუდგება და საოცრად მახლობელი ხდება.

მას იმდენად უყვარდა ჭიათურა, რომ, დაიბარა: ჩემი საფლავი აქ უნდა იყოსო. სურვილი აუსრულეს. თუმცა, სასაფლაოზე ისეთ ადგილას არის დაკრძალული, რომ მისვლა ჭირს. გზას შეკეთება უნდა. წარმოუდგენელია, რომ ჭიათურის თეატრის წინ — ცნობილ სკვერში გრიგოლ ტყაბლაძის ბიუსტი არ იდგეს, ანდა, თეატრის ფოიეში ერთ-ერთი კუთხე არ ჰქონდეს დათმობილი ფოტო-მასალას, რომელზეც აღბეჭდილი იქნება მსახიობის შემოქმედების უმთავრესი მოვლენები. ეს სჭირდება ჭიათურის თეატრის ისტორიას, ამ ქალაქის ახალ თაობას. მალე გრიგოლ ტყაბლაძის დაბადების 100 წლისთავი შესრულდება. ჰოდა, იმედი გვაქვს, რომ ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა ყველაფერს იღონებს, რათა ცარიელი დაპირებები (წინა ხელმძღვანელთა) საქმედ აქციოს.

ასეთი საქვეყნო ადამიანები, განა ყველა ქალაქს ჰყავს, თქვე კაი ხალხო!..

**ვილენ მარდალეიშვილი.**



**სურათებზე: კადრი ფილმიდან „საბუდარელი ჭაბუკი" (გოგიტა — იმედა კახიანი, საჩინო — გრიგოლ ტყაბლაძე; კადრი ფილმიდან „ძაღლი" (ბაბუა — გრიგოლ ტყაბლაძე).**

⊙ დედაქალაქი

# არქიტექტორთა და დამფინანსებელთა ტანდემი მეიდანში...

(პირველი გვერდიდან)

ღმერთის წყალობით, დამკვეთნი და დამფინანსებელნიც ქართველები — ზაზა ნიშნიანიძე და გიორგი პეტრიაშვილი გახლავან. ქართველები-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ბოლო ხანს უცხოელმა ინვესტორებმა „გადაძოვეს" თბილისქალაქი და უფულო ქართველები სესხით, ვალით და უზარმაზარი რისკის ფასად თუ რაიმეს შეიძენენ და თანდათან გაამშვენიერებენ, ათმაგად სასიხარულოა.

ამ სიხარულს კარგად აუღო ალღო საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა და უკვე ტრადიციად ქცეულ არქიტექტურის საერთაშორისო დღეზე (წლეულს 1 ოქტომბერს აღინიშნა), საპატიო სიგელებით დააჯილდოვა როგორც არქიტექტორები, ისე შემკვეთი ინვესტორებიც.

— სრულიად ნიშანდობლივია, რომ ჩვენი გასართობი ცენტრის პრეზენტაცია ამ დღეს ემთხვევა და „მეიდნის" პირველი სტუმრები არქიტექტორები ბრძანდებით, — თქვა გიორგი პეტრიაშვილმა. ამ რესტორნის გარდა, მეორე სართულზე მალე გვექნება კულტურული შეხვედრების ბარ-რესტორანი, უკვე დასრულდა ღია კაფე ბავშვებისთვის. რადგან მეიდანი ქართველებით, სომხებით, აზერბაიჯანელებით დასახლებული უბანია, მენიუშიც, ძირითადად, ქართული, სომხური და აზერბაიჯანული კერძები დომინანტობს. ბუნებრივია, მუსიკალური ნომრებიც ამ სამი ერის ფოლკლორის, თანამედროვე ესტრადის ნიმუშებს წარმოგვიდგენს.

— მეიდანში ჯერ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს. კარგა ხანია დაიწყო ძველი სამკერვალო ფაბრიკის ულამაზესი შენობის რეკონსტრუქცია, — გვეუბნება არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი, — პერსპექტივაში აქ სანაპირო ქუჩას, ჭადრების კენწეროს სიმაღლეზე, დეკორატიული გადასასვლელი (დახურული ხიდი) გადაჰკვეთს და მტკვარში ჩადგმულ ორიგინალურ ნაგებობასთან მიგვიყვანს. ძველ თბილისელებს ახსოვთ მეტეხის ხიდის გვერდით, მტკვარში მართლაც იდგა პატარა ნაგებობა. ახლა, მერწმუნეთ, ბევრად უფრო ნატიფი და ტურისტთათვის მიმზიდველი „ფიქრთ გასართველი" ადგილი გვექნება.

... ვიდრე მეიდნის ხილულ მშვენიერებას საპატიო სიგელებით და სახელდახელო წახემსებით აღვნიშნავდით, რამდენიმე საათით ადრე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ, დსთ-ს არქიტექტორთა კავშირების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა დავით აბულაძემ, ცენტრალურ ოფისში (დავით აღმაშენებლის 89/24) წლის საუკეთესო სადიპლომო ნამუშევრებისთვის გამორჩეული სტუდენტი-







დიპლომანტები დიმიტრი გაჩეჩილაძე (ხელმძღვანელი მერაბ გუჯაბიძე), სოფო გიგინეიშვილი (ხელმძღვანელი შოთა ბოსტანაშვილი), გიორგი ხმალაძე (ხელმძღვანელი მერაბ ჩხენკელი), სოფო გასვიანი (ხელმძღვანელი ნანა ქუთათელაძე), დავით ბოსტანაშვილი (ხელმძღვანელი ვახტანგ დავითაია) და ეკატერინე თევდორაძე (ხელმძღვანელი ოთარ ნახუცრიშვილი) დააჯილდოვა.

არქიტექტურის და არქიტექტორების შესახებ წლის საუკეთესო წიგნებისთვის დიპლომები დაიმსახურეს კოკა ამირეჯიბმა, ვაჟა აფციაურმა, გივი ბერიძემ, თ. გუგუშვილმა, ლადო ვარდოსანიძემ, მ. თუმანიშვილმა, ზურაბ კიკნაძემ, თამაზ გიორგაძემ, ჰამლეტ მოსულიშვილმა.

არქიტექტურისა და არქიტექტორების შესახებ მასმედიაში წლის საუკეთესო პუბლიკაციისთვის გამარჯვებულნი გახდნენ ლადო ვარდოსანიძე (სამეცნიერო სტატია) და ოთარ ნახუცრიშვილი (პუბლიცისტიკა).

წლის საუკეთესო არქიტექტორული (უკვე განხორციელებული) არქიტექტურული ნამუშევრისთვის დიპლომები დაიმსახურეს ნიკა შავიშვილმა, გიორგი მირიანაშვილმა, თეიმურაზ კლდიაშვილმა, ვ. კახიანმა, რევაზ დურგლიშვილმა, კოკა ამირეჯიბმა.

ღირსების ორდენები გადაეცათ დამსახურებულ არქიტექტორებს ელენე ქვარცხავას და გელა ჯაფარიძეს; საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მედლის მფლობელნი, — არქიტექტურაში განსაკუთრებული წვლილისთვის, — ღვაწლმოსილი არქიტექტორები თინათინ ჩიჩუა და გიორგი ჩახავა გახდნენ.

ქართველ ხუროთმოძღვართა ამ პროფესიულმა დღესასწაულმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენი არქიტექტორები არ ხუმრობენ და ერთმანეთის ღვაწლსაც ჯეროვნად აფასებენ.

**სპარტაკ ქოზულია.**

**სურათებზე: განახლებული შარდენის ქუჩის ხედები; რესტორან „მეიდნის" შესასვლელი სანაპირო ქუჩის მხრიდან.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

⊙ პატივგება

# მასწავლებლებს პარლამენტში საჩუქრები გადაეცათ

**ხუთ ოქტომბერს მასწავლებელთა საერთაშორისო ორგანიზაციების „განათლების ინტერნაციონალისა" და „იუნესკოს" ეგიდით მთელი მსოფლიო მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს დევიზით: „ქვეყანას კვალიფიციური მასწავლებლების მოზიდვა და შენარჩუნება სჭირდება".**

ჰყავნან თუ არა საქართველოს კვალიფიციური მასწავლებლები? რა პირობებში უწევთ მათ მუშაობა? რა ღონისძიებებს გეგმავს საქართველოს ხელისუფლება კვალიფიციური პედაგოგების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად? რა ცვლილებებს ითვალისწინებს განათლების სისტემის რეფორმა? როგორ ხვდება საქართველოს ხელისუფლება მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს? ამ საკითხებთან დაკავშირებით განათლების მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა და მასწავლებელთა თავისუფალმა პროფკავშირმა „სოლიდარობამ", შრომის სასახლეში პრესკონფერენცია გამართა. საქართველოდან ეს ორივე ორგანიზაცია 2000 წლიდან ბრიუსელში მასწავლებელთა საერთაშორისო პროფორგანიზაციის „განათლების ინტერნაციონალის" წევრია (გენერალური მდივანი ფრედ ოლივერი). პროფესიულ ორგანიზაცია „განათლების ინტერნაციონალი" ძალიან დიდი ორგანიზაციაა, მასში 150 ქვეყანაა გაერთიანებული. მათი ძირითადი მიზანია „პროფესიონალი მასწავლებლების მოზიდვა და შენარჩუნება".

— დღეისათვის საერთაშორისო ეკონომიკურმა, სოციალურმა და კულტურულმა გარემომ უდიდესი ცვლილებები განიცადა, მაგრამ მიუხედავად ამისა, განათლება კვლავაც რჩება პროფკავშირული მოძრაობის უაღრესად ეფექტურ იარაღად. ისიც უნდა ითქვას, რომ განათლების სისტემაში არსებული პრობლემები და მისი გამომწვევი მიზეზები უფრო გაიზარდა. განათლების სისტემისაგან მშობლები და მასწავლებლები მეტს მოელიან და უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებენ მას, ვიდრე წარსულში, — განაცხადა საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ **მანანა კობახიძემ.**

5 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტში შედგა შეხვედრა. პედაგოგები ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, — მესტიიდან, სამაჩაბლოდან, ქუთაისიდან, სამეგრელოდან, სულ 235 მასწავლებელი, იმდენი, რამდენიც საქართველოს პარლამენტარი ჰყავს.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა და განათლების და მეცნიერების მინისტრმა კახა ლომაიამ დამსახურებულ მასწავლებლებს მიულოცეს ეს ულამაზესი დღესასწაული და სხვადასხვა სახის საჩუქრებით დააჯილდოვეს. შემდეგ კი პედაგოგები განათლების სამინისტროში მიიწვიეს, სადაც მათ კახა ლომაიამ უმასპინძლა.

დღე ლამაზად და მშვიდობიანად დასრულდა. მადლიერი პედაგოგები შინ დაბრუნდნენ, ეს მშვენიერი დღე დაიმშვენეს და გაითავისეს.

⊙ რეფორმა

# კომერციამ ვეტერინარიაშიც შეაღწია

(მესამე გვერდიდან)

მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა სხვა სავაჭრო ობიექტებშიც მაღაზიებში, სადაც ასევე მეცხოველეობის, ცხოველური წარმოშობის ნედლი, არაქარხნული წესით დამზადებული პროდუქტი იყიდება. მათს ვეტერინარულ კონტროლს კონკრეტულად კანონი არ განსაზღვრავს. მართალია, ვეტსამსახურის მოთხოვნის შესაბამისად მაღაზიების და სხვა სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელობას ხელშეკრულებით უნდა ჰყავდეს აყვანილი ვეტერინარი სპეციალისტი, რომ პროდუქციის ვეტერინარული კეთილსაიმედობა შეამოწმოს, მაგრამ ეს საკითხი არ არის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცეული და, აქედან გამომდინარე, არც კონტროლის სრულყოფილი მექანიზმი არსებობს.

**— რა უნდა გაკეთდეს სიტუაციის გამოსასწორებლად?**

— მიღებულია სამთავრობო გადაწყვეტილება. პრაქტიკულად, მზად არის კანონპროექტი, რომელიც პირველი მოსმენით უკვე განიხილა პარლამენტმა. ის ითვალისწინებს ქვეყნის ვეტსამსახურის ძირეულ რეფორმას, რაც, რა თქმა უნდა, შეეხება ხსენებულ ლაბორატორიებსაც, ანუ ბაზრებს, ბაზრობებს, მეცხოველეობის პროდუქტების და ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებს, სავაჭრო და კვების (სასადილო, რესტორანი) ობიექტებს, სადაც შედის ცოცხალი, არაქარხნული წესით დამზადებული პროდუქცია.

რეფორმის შედეგად ამ ობიექტებში სახელმწიფო ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიის ნაცვლად, ამოქმედდება თავად ბაზრის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შემავალი ვეტსანზედამხედველობის ლაბორატორიები. ისინი ბაზრისა თუ სხვა ობიექტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შევლენ, აკრედიტაციას გაივლიან საქსტანდარტის და სახელმწიფო ვეტერინარიის სამსახურებში, მიიღებენ ლიცენზიას, დაასაქმებენ მხოლოდ ლიცენზირებულ ვეტერინარ სპეციალისტებს. ყველა ღონისძიებას, რასაც დღეს სახელმწიფო ვეტერინარული სამსახური ახორციელებს, კერძო ვეტსამსახურები შეასრულებენ, კონტროლსა და ზედამხედველობას კი სახელმწიფო ვეტსამსახური იტვირთავს.

ბაზრებსა და ხსენებულ სხვა ობიექტებში თუ არ იქნება ასეთი ფორმით ორგანიზებული ვეტერინარულ-სანიტარიული სამსახური — ლაბორატორია, ასეთ ობიექტებს შემდგომში მუშაობის უფლება არ მიეცემათ, ანუ, მათ ფუნქციონირებას სწორედ ლაბორატორიები განსაზღვრავს.

ლაბორატორიამ, როგორც აღვნიშნე, უნდა გაიაროს აკრედიტაცია, რაც მოიცავს თანამედროვე აპარატურის ნუსხას, რომლითაც უნდა აღიჭურვოს, და დაკომპლექტდეს. ეს კი ნიშნავს, რომ ვეტერინარული კეთილსაიმედოობის განსაზღვრის ხარისხი 100-პროცენტიანი გახდება, გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ობიექტის ხელმძღვანელობა თავად იქნება პასუხისმგებელი შეუმოწმებელი პროდუქციით ვაჭრობაზე. დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში რეფორმა ითვალისწინებს, აგრეთვე, სერიოზული სანქციების შემოღებას — დაწყებული — ლიცენზიის გაუქმებით, საჯარიმო სანქციებით, დამთავრებული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით.



**რეფორმის განხილვა კარგა ხანია აქტიურად მიმდინარეობს. მას თავად ობიექტთა მეპატრონეებიც ეთანხმებიან. გვჯერა, ის დადებით შედეგს მოგვცემს — ნებისმიერ ობიექტში გამოირიცხება შეუმოწმებელი, არაკეთილსაიმედო პროდუქციის მომხმარებელზე მიყიდვის შემთხვევა.**

**ამბობენ, რომ ყველა რეფორმა კარგია, თუ ის კარგად დამთავრდება. ვნახოთ.**

**ნაზი იმნაიშვილი.**

⊙ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შეღავათებით სარგებლობენ თბილისის საპატიო მოქალაქეები და მისი გარდაცვალების შემთხვევაში შეღავათი ვრცელდება თუ არა მეუღლეზე?**

**ნესტან კორინთელი.**

— ქ. თბილისის საპატიო მოქალაქეები გათავისუფლებული არიან საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადისგან, ბუნებრივი აირის უფასო მოხმარება განესაზღვრებათ 40 კუბ. მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას — 60 კუბ. მეტრის ოდენობით.

თბილისის საპატიო მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში შეღავათები ვრცელდება მის მეუღლეზე.

**— ვცხოვრობ თბილისში; ვარ პერსონალური პენსიონერი. ვიღებ პენსიას თვეში 17 ლარის ოდენობით.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა პენსია გაზრდილი ოდენობით და რა შეღავათებით ვსარგებლობ?**

**კარლო ციციშვილი.**

— პერსონალურ პენსიონერებს პენსია ენიშნებათ 20 (თბილისელებს — 21) ლარის ოდენობით და თუ ისინი დედაქალაქში ცხოვრობენ, როგორც ყველა დანარჩენ პენსიონერს, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ემატებათ თვეში 3 ლარი.

— ელექტროენერგიის უფასო მოხმარება განესაზღვრებათ თვეში 30 კვტ. სთ-ის ოდენობით, ხოლო თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირი ცხოვრობს — 45 კვტ. სთ-ის ოდენობით;

— დედაქალაქში მცხოვრები პერსონალური პენსიონერები, ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე, მთლიანად თავისუფლდებიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, ხოლო 50 პროცენტით მოხმარებული სასმელი წლის გადასახადისგან;

— ბუნებრივი აირის უფასო მოხმარება განესაზღვრებათ 20 კუბ. მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას — 30 კუბ. მეტრის ოდენობით;

— სარგებლობენ ტრამვაი-ტროლეიბუსით უფასოდ მგზავრობის უფლებით, ხოლო მეტროპოლიტენით მგზავრობისთვის ეძლევათ კომპენსაცია 5 ლარის ოდენობით თვეში.

**— მყავს ძმა — I ჯგ. ინვალიდი (მხედველობით), იღებს სოციალურ დახმარებას 22 ლარის ოდენობით.**

**გთხოვთ მაცნობოთ, გარდა ამ დახმარებისა, სარგებლობენ თუ არა რაიმე შეღავათით უსინათლო I ჯგ. ინვალიდები?**

**ნუცა ქურდაძე.**

— უსინათლო I ჯგუფის ინვალიდები სარგებლობენ შემდეგი შეღავათებით:

— არ იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით, თუ მათი წლიური შემოსავალი არ აღემატება 3000 ლარს;

— დედაქალაქში მცხოვრები I ჯგ. უსინათლო ინვალიდები, ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე, მთლიანად თავისუფლდებიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანასა და მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადისგან;

— ბუნებრივი აირის უფასო მოხმარება განესაზღვრებათ 40 კუბ. მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას — 60 კუბ. მეტრის ოდენობით;

— ამ კატეგორიის მოქალაქეებს, როგორც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ასევე თბილისში ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე უვრცელდებათ შეღავათი შემდეგი ოდენობით: ელექტრონული სატელეფონო სადგურების მომხმარებელთათვის 0,90 ლარი, კოორდინატული და დეკადურ-ბიჯური სატელეფონო სადგურების მომხმარებელთათვის — 0,70 ლარი.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.**

◎ თარგმანი — ახალი სიცოცხლე

# ჯემალ ინჯიას პოეტური გმირობა,

## ანუ პორტუგალიელი კამოენსი რუსთაველს ქართულად ამოუდგა გვერდით



*არა მარტო სიჭაბუკე და ლექსია ერთი, არამედ სიჭაბუკე და ოცნებაც ერთია. ამ ოცნების წყალობით კი არ არსებობს ისეთი მთები, რომელთაც ახალგაზრდა კაცი ვერ გაანგრევს, და ისეთი ზღვა თუ ოკეანე, რომელთაც ვერ გადაცურავს. მეც ოდესღაც მეოცნებებოდა: ოდესმე მეთარგმნა დიდი ინგლისელი ბაირონი და ასევე დიდი პორტუგალიელი კამოენსი. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ერთი ოცნება ვერ ავიხდინე. ისე, მახსოვს, ცნობილ რუს მთარგმნელს ვილგელმ ლევიკს წერილით მივმართე და მან თითქმის მთელი კამოენსი პწკარედად გამომიგზავნა, რომელ პწკარედსაც ძალიან დიდხანს „ვეპარებოდი“, თუმცა ამაოდ. ბოლოს და ბოლოს კამოენსის ზღვაში შესაცურად ხელმოცარულმა, უფრო სწორად, იმედგადაწურულმა, სწორედ ეს პწკარედი შევთავაზე შარშან ჩემს მეგობარ ჯემალ ინჯიას, ჩინებულ პოეტს, ყუათიანი სიტყვის ოსტატს, რომლის თხზულებებსაც უკანასკნელ ხანს ოთხ ტომად სცემს გამომცემლობა „ქართლი“. ქართული პოეზიის თაყვანისმცემელთ კარგად იციან ჯემალ ინჯიას პოეტური სიტყვის ფასი. ამ თაყვანისმცემელთა შორის, ბუნებრივია, მეც ვიგულისხმები და დღეს, როცა ჯემალმა თითქმის მთელი კამოენსი გაასრულა, მართლაც უზომოა ჩემი სიხარული, იმდენად უზომო, რომ ყველასთვის მინდა ამ სიხარულის გაზიარება. ოღონდ მანამ უპრიანად მიმაჩნია თავად კამოენსზე ორიოდე სიტყვის თქმა, რათა მკითხველმა თვალსაჩინად წარმოიდგინოს, რა მთა „გაანგრია“ და რა ზღვა „გადაცურა“ მთარგმნელმა.*

*ჩვენი ქართული ენციკლოპედიის მე-5 ტომში, რომელიც 1980 წელს არის გამოსული, კამოენსზე დაბეჭდილია ესპანური ენიდან ცნობილი მთარგმნელის მერი ტიტვინიძის მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ცნობა. ამ ბევრის დამტევ პატარა ცნობაში ვკითხულობთ, რომ პორტუგალიის აღორძინების უდიდესი წარმომადგენელი კამოენსი (1525-1580) დაბადებულა გაღარიბებული აზნაურის ოჯახში. ლექსების წერა 15-16 წლისას დაუწყია. ახალგაზრდა კაცს გზა გაუკვლევია სამეფო კარისკენ, სადაც შემდეგ დიდებულთა რისხვა დასტეხია და სასახლიდან გაუძევებიათ. შორეულ ქვეყნებში 17 წლის ხეტიალის შემდეგ, 1570 წელს სამშობლოში დაბრუნებულა, პოეტის მთავარი ქმნილება — პოემა „ლუზიადები“ (გამოქვეყნდა 1572 წელს) მსოფლიო მნიშვნელობის რენესანსულ ეპიკურ ძეგლად არის მიჩნეული. ამ ნაწარმოებით კამოენსმა განიზრახა შეექმნა „ოდისეასა“ და „ენეიდას“ ბადალი ეროვნული ჰეროიკული პოემისა, რომელიც განადიდებდა პორტუგალიელი ლეგენდარული მეფის ლუზას შთამომავლებს და ასახავდა ვასკო და გამას მოგზაურობას. პოემის ცოცხალმა, სხარტმა ენამ განამტკიცა საერთო ეროვნული ენის ნორმები და დიდი როლი შეასრულა რენესანსული რეალისტური მიმართულების ჩამოყალიბებაში. მართალია, პოემის სიუჟეტი მითოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული, მაგრამ პოემას განუყოფელი კავშირი აქვს სინამდვილესთან, და ეს გარემოება თხზულებას პოეტური დოკუმენტის სახეს აძლევს. საყურადღებოა, რომ კამოენსი თავის პოემაში ხშირად ახსენებს კოლხეთსა და იბერიას, პარალელებს ავლებს პორტუგალიის ისტორიასა და არგონავტების მითში მოთხრობილ ამბავს შორის; მესამე თავში ლაპარაკობს კავკასიაში პომპეუსის ლაშქრობის შესახებ. მეშვიდე თავში ევროპის ქრისტიან ხალხს მოუწოდებს დაიცვან ქართველი ერი ოსმალო და სპარს დამპყრობელთაგან. მესამე თავში კი მედეას „იასონის გრძნეულ მეუღლეს“ უწოდებს...*

*ერთ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში ჯემალ ინჯიამ კამოენსის თითქმის ათი ათასი სტრიქონი თარგმნა, როგორც იტყვიან, დღე და ღამე გაასწორა, ანუ არც ჭამა-სმა ახსოვდა, არც ძილი. ერთი სიტყვით, მთლიანად პორტუგალიაში გადაინაცვლა და XVI საუკუნეში იცხოვრა, გაკამოენსდა, უფრო ზუსტად კი, კამოენსი ღირსეულ ქართველ კლასიკოს პოეტად აქცია.*

*ყველას გვახსოვს, რა აღფრთოვანებაც მოჰყვა გრიგოლ აბაშიძის პეტეფსა და დავით წერედიანის ვიიონს. ის აღფრთოვანება არც დღეს განელებულა და არც განელდება არასოდეს. ჩემი ფიქრით, ამ აღფრთოვანებაში შემოდის ჯემალ ინჯიას მართლაცდა მაწიერად თარგმნილი კამოენსიც. ღმერთმა ნუ ქნას, ვცდებოდე.*

ჩემი და ჯემალის საუბრის მთავარი თემაა უკვე ქართული კამოენსი.

**— როგორც ვიცი, ჯემალ, ჯერ სონეტებით დაიწყე. ჩემი არ იყოს, შენც „ეპარებოდი“, თუ პირდაპირ შეუტიე?**

— ლუის დე კამოენსის ას სონეტზე ზუსტად ვერ გეტყვით რამდენი დრო დამეხარჯა, პოემა „ლუზიადები“ კი ერთ წელიწადში ვთარგმნე — 2003 წლის აგვისტოდან 2004 წლის აგვისტომდე.

**— რა შეიძლება ვთქვათ ამ სონეტებზე?**

— კამოენსის სონეტი არის ამ უძველესი და ურთულესი ფორმის კლასიკური ვარიანტი. როცა ლაპარაკია კლასიკურ ვარიანტზე, საქმეში ჩაუხედავ მკითხველს რაც არ უნდა გაუკვირდეს, არ იგულისხმება შექსპირის სონეტები. პორტუგალიელმა პოეტმა, რომელიც ითვლება ამ ქვეყნის რენესანსული ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე მბრწყინავ შუქურად, თავისი შემოქმედებით დაამტკიცა, რომ ათვისებული ჰქონდა მსოფლიო ვერსიფიკაციული გამოცდილება. იგი სონეტის და ოქტავის უძლიერეს ოსტატად გვევლინება. აღარაფერს ვლაპარაკობ ნაწარმოებთა შინაარსობრივ მხარეზე. ფორმა და შინაარსი კამოენსის პოეზიაში შესანატრ უნისონს ქმნიან, გვაოცებს მწერლის ერუდიცია, ენციკლოპედიური ცოდნა, განსწავლულობა ფილოსოფიაში, მითოლოგიაში, ასტრონომიასა თუ გეოგრაფიაში.

ჩემთვის, როგორც ქართველი მთარგმნელისთვის, განსაკუთრებით სასიამოვნო იყო იმ პოეტური სტრიქონების გადმოღება, რომლებიც ქართულ თემებს ეხება. რასაკვირველია, კარგი იყო, რომ კამოენსის მთარგმნელს პირდაპირ პორტუგალიურიდან ეთარგმნა მასალა და არა შუალედური ენიდან, მაგრამ, როგორც მოგეხსენება, სონეტების ნაწილი ზუსტი რუსული პწკარედიდან გადმოვთარგმნე... და ერთიც — ჯერჯერობით, რაც შემეძლო, ის გავაკეთე — მკითხველს იმის საშუალება მაინც მიეცემა, რომ ჩასწვდეს კამოენსის პოეზიის სიღრმეს.

ღმერთმა ქნას, სხვა თარგმანებიც გამოჩნდეს.

პორტუგალიური ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსის სახელი ცნობილი იყო ჩვენი წინაპრებისთვისაც. გიორგი ერისთავი, მაგალითად, კამოენსს ბაირონის გვერდით მოიხსენიებს პიესა „დავა“-ში, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი გაზულუქებულ ევროპულ არისტოკრატიას ასე მიმართავს: „თქვენთან არ იყო, კამოენსი მოკვდა მშიერი?!“

**— „ლუზიადებზე“ რას იტყოდი?**

— კამოენსი მრავალმხრივი მწერალია. ზემოთ, როგორც მოგახსენეთ, ჯერ მისი ასი სონეტი ვთარგმნე, შემდეგ კი უზარმაზარი პოემა „ლუზიადები“ (8 816 სტრიქონი). აქ მარტო სათარგმნი მასალის უბრალოდ მოცულობაზე არ არის ლაპარაკი. უწინარესად პოემის სირთულეს ვგულისხმობ და ამდენად, გავჩერდი, თორემ სონეტები კიდევ აქვს პოეტს. მე ისინი შევარჩიე, რომლებიც, ასე ვთქვათ, „ჯიგარს ხვდებოდა“. ეს, ძირითადად, სატრფიალო ლირიკაა, უარყოფილი სიყვარულის მარადიული კოშკიდან დარეკილი.

**— უარყოფილი სიყვარულის კოშკიდან ბევრი სხვა „გაწბილებული“ პოეტის ხმაც იმის.**

— ამ კოშკიდან მოგვესმის ბაირონის, ბარათაშვილის ნაღვლიანი ზარების ჰანგი. ამ სამრეკლოდან გვესაუბრება კამოენსი: ***„მზე შუადღისას რომ დაგვაფრქვევს სხივთა სიცხოვლეს ან გაზაფხულზე ირიჟრაჟებს ვარდისფრად დილა, მე უხალისოდ მივაშურებ მდინარის პირას — როგორ მიყვარდა, გავიხსენებ, როგორ ვიცხოვრე“...***

**— „ლუზიადებზე“ გეკითხებოდი.**

— რის თქმა შეიძლება „ლუზიადების“ ირგვლივ. არის მონუმენტური ეპოსი. ვასკო და გამას საზღვაო ექსპედიციის მოგზაურობის ფონზე გადმოცემულია ისტორია პორტუგალიისა. ლუზიტანია, თავდაპირველი სახელწოდება ამ ქვეყნისა, იბერიული მოდგმის ტომებს გულისხმობს. ლუზიტანელები იბერები იყვნენ (პირენეის ნახევარკუნძულზე იბერების არსებობა, ვფიქრობ, თქვენი გაზეთის განათლებულ მკითხველებს არ უნდა აოცებდეს), შემდგომში იმ ლეგენდარული ეთნარქის (ლუზას შთამომავლებმა, იგივე ლუზიადებმა, ჩამოაყალიბეს ერი, რომელმაც შექმნა სახელმწიფო პორტუგალია. პორტუგალიელები, ვითარცა ბასკები, ისტორიულ ჭრილში ჩვენს ნათესავებად მოჩანან, თუმცა კამოენსი ამის შესახებ არ ლაპარაკობს. სამაგიეროდ სონეტებშიც და პოემაშიც ბევრგან გვხვდება მედეა, ფაზისი, კოლხიდა, არგონავტები, „ლუზიადების“ მეშვიდე თავის ორი ოქტავა კი აუღელვებლად ვერ წავიკითხე... ავტორი მრისხანედ მიმართავს ევროპის იმ ქრისტიანული საზოგადოებრიობის მესვეურებს, რომლებმაც მუსულმანური ექსპანსიის ზვარაკად ჩათვალეს ბერძენი, სომეხი, ქართველი ქრისტიანი.

**„რად გიყურებენ ქართველები**
**იმედის თვალით**
**ანდა სომხები, ან ბერძნები და**
**თქვენ კი სდუმხართ**
**მაშინ, როდესაც სულ უცოდველ მათ**
**შვილებს ძალით**
**აიძულებენ საძულველი ყურანის**
**ზუთხვას.**
**აღარ ანთია თქვენში ძველი**
**სიქველის ალი,**
**ამას გიფასებთ და არაერთ**
**მუსულმანს უთქვამს**



**თქვენთვის მადლობა, რომ**
**ღალატობთ საკუთარ მოყვასს,**
**მტერს კი სიამით უხახუნებთ**
**ლოყაზე ლოყას“.**

პოემის რუსული თარგმანი ოლგა ოვჩარენკოს ეკუთვნის. ჩემი მხრივ უტაქტობად მიმაჩნია ამ ნაშრომის ავკარგზე ლაპარაკი. ისე კი, მადლობის მეტი რა მეთქმის — პწკარედთან ერთად ეს თარგმანიც რომ არ მქონოდა ხელთ, მე ამხელა სამუშაოს ალბათ, ვერ შევასრულებდი.

***უთუოდ სწორი უთქვამთ, ქებას ნახვა სჯობსო. მალე ალბათ ჯემალ ინჯია რომელიმე პერიოდულ გამოცემაში, ანდა სულაც ცალკე წიგნად გამოაქვეყნებს ამ ჭეშმარიტად დიდ ევროპელს და ვნახოთ, ბოლო სიტყვა მაინც მკითხველზეა, რომელსაც, სამწუხაროდ და სავალალოდ, პოეზიისთვის მაინცდამაინც არა სცხელა.***

ესაუბრებოდა
**გურამ გოგიაშვილი.**



# ჩეჩნეთის პრეზიდენტი მოვალეობის შესრულებას შეუდგა

**ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალუ ალხანოვმა, რომელიც 29 აგვისტოს აირჩიეს ამ თანამდებობაზე, დაიწყო დაკისრებულ უფლებამოსილებათა შესრულება.**

ალხანოვის პრეზიდენტად გამოცხადების ცერემონია მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში გაიმართა. ტერორისტული აქტების განხორციელების საფრთხის გამო წინასწარ მოამზადეს სამი ადგილი ამ ცერემონიის გასამართავად. არც ის იყო გამოცხადებული, თუ კონკრეტულად რომელი დღისთვის გაიმართებოდა იგი.

ცერემონიას ესწრებოდნენ სამხრეთის ფედერალურ ოლქში პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენლად, ამ ცოტა ხნის წინათ დანიშნული დიმიტრი კოზაკი და ჩეჩნეთის მეზობელი რეგიონების ლიდერები.

როგორც ინტერფაქსის სააგენტო აღნიშნავს, პრეზიდენტმა დადო ფიცი „ჩეჩნეთის მრავალეროვნული მოსახლეობის წინაშე“.

ცერემონიის დროს გამოყენებული იყო ჩეჩნეთის ახალი სიმბოლიკა. რესპუბლიკის დროშა და გერბი ჩეჩნეთის სახელმწიფო საბჭომ სექტემბერში მიიღო. ინტერფაქსის მონაცემებით, ცერემონია რესპუბლიკის ბიუჯეტს 3 მილიონი რუბლი დაუჯდა.

როგორც მოელიან, ინაუგურაციის შემდეგ ალხანოვი გაემგზავრება სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე, რომელზეც განიხილავენ რუსეთის პოლიტიკას ჩეჩნეთში.

ალუ ალხანოვმა ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას მიაღწია კრემლისა და ეგრეთ წოდებული „კადიროვის გუნდის“ მხარდაჭერის წყალობით. ეს გუნდი აერთიანებს მიმდინარე წლის მაისში მოკლული ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის აჰმად კადიროვთან დაახლოებულ პირებს.

პრეზიდენტის არჩევნებმა ჩეჩნეთში სამართალდამცველებისა და დასავლეთის მთავრობათა მხრიდან კრიტიკა დაიმსახურა, რადგან, კანდიდატები, რომლებსაც შეეძლოთ ალხანოვისთვის კონკურენციის გაწევა, ჯერ კიდევ რეგისტრაციის სტადიაში ჩამოაშორეს საარჩევნო მარათონს, თვით ალხანოვს კი ჰქონდა ყველა „ადმინისტრაციული რესურსი“ თავისი კამპანიის ორგანიზებისთვის.

მოელიან, რომ ინაუგურაციის შემდეგ ალხანოვი არ განახორციელებს სერიოზულ ცვლილებებს თავის მთავრობაში.

იტარ-ტასსის სააგენტოს ინფორმაციით, სერგეი აბრამოვი შეინარჩუნებს ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრის პოსტს, რამზან კადიროვი კი — პირველი ვიცე-პრემიერისას.

როგორც იტყობინებიან, სწორედ უმცროსმა კადიროვმა გადასცა ალხანოვს პრეზიდენტის მოწმობა № 2. პირველი მოწმობის მფლობელი იყო აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი კადიროვი.

# თუ არსებობდა კავშირი სადამ ჰუსეინსა და „ალ-ყაიდას“ შორის?



**ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა გამოთქვა დაეჭვება „ალ-ყაიდასთან“ სადამ ჰუსეინის კავშირის არსებობის თაობაზე.**

არადა, სწორედ ეს საბაბი გამოიყენა ბუშის ადმინისტრაციამ ერაყში სამხედრო შეჭრის გამართლების მიზნით.

რამსფელდმა ასეთი განცხადება გააკეთა ნიუ-იორკში, საერთაშორისო კავშირურთიერთობის საბჭოს სხდომაზე.

„გასულ წელს მე მოვისმინე ყველაზე მოულოდნელი პასუხი ამ კითხვაზე სადაზვერვო სამსახურების წარმომადგენელთაგან, — თქვა დონალდ რამსფელდმა. — თანაც, მზვერავთა შორისაც არსებობს განსხვავებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ერაყის ყოფილი პრეზიდენტის თანამშრომლობა „ალ-ყაიდასთან“.

პენტაგონის მეთაურმა აგრეთვე დასძინა, რომ არა აქვს ამის უტყუარი მტკიცებულებანი.

რამსფელდის ასეთი კომენტარი ეწინააღმდეგება ბუშის ადმინისტრაციის მიერ წინათ გაკეთებულ განცხადებებს.

და ამჯერად თუ რამსფელდმა თქვა ის, რასაც ფიქრობს, ეს ნიშნავს, რომ ბუშის ადმინისტრაცია თანდათანობით შორდება თავის წინანდელ პოზიციებს.

როგორც ცნობილია, რამსფელდი წინათ აცხადებდა, რომ ჰქონდათ „ალ-ყაიდასა“ და სადამ ჰუსეინს შორის კავშირურთიერთობის დამადასტურებელი უტყუარი ინფორმაცია.

ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი კი კიდევ უფრო შორს წავიდა, — იგი აღნიშნავდა, რომ ერაყის ყოფილი ლიდერი აძლევდა თავშესაფარს ტერორისტული ქსელის წევრებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრალდების ეს პუნქტი იყო ერთ-ერთი მთავარი საბაბი, რომელიც ბუშის ადმინისტრაციამ გამოიყენა ერაყის პრეზიდენტის დამხობისთვის.

# მოკლედ

**ავსტრალიაში ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აპირებენ შექმნან სასწავლებელი ჯაშუშებისთვის. როგორც ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯონ ჰოვარდმა განაცხადა, დაგეგმილია შეიქმნას ჯაშუშთა სასწავლებელი, რომელშიც მზვერავებს მოამზადებენ. ავსტრალიელ ჯაშუშებს შეასწავლიან არაბულ და ინდონეზიურ ენებს, და მათი მთავარი ამოცანა იქნება ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა ავსტრალიაში და ქვეყნის მიმდებარე ტერიტორიებზე.**

* * *

**ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოჩნდა ახალი პოსტერები, რომლებიც ეძღვნება ტელედებატებში ჯორჯ ბუშის გამოსვლას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ამ პოსტერებზე გამოსახულია ბოცვერ ბაგზე ბანის შესახებ გადაღებული ცნობილი მულტსერიალის ერთ-ერთი პერსონაჟის — სულელი მონადირის — ელმერ ფუდის სახით.**

* * *

**ბრაზილიაში პირველმა კლონირებულმა ძროხამ ხბო მოიგო. ხბო, რომელსაც გლორია შეარქვეს, ამ ქვეყანას 12 სექტემბერს მოევლინა. „ახალშობილის“ წონა 38 კილოგრამს შეადგენდა, ახლა გლორია დღეში საშუალოდ კილოგრამს იმატებს. პირუტყვები მეცნიერების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.**



* * *

**იტალიელმა მებადურებმა ჩაშალეს ნატოს წვრთნის პროგრამა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობა იძულებული გახდა, შეეწყვიტა ყოველწლიური მანევრები, რომელშიც მონაწილეობენ ნატოს წევრი 11 ქვეყნის ხომალდები და სამხედრო-საზღვაო ქვედანაყოფები. ამის მიზეზი გახდა ის, რომ იტალიელმა მებადურებმა შეძლეს თავიანთი ტრაულერებით გაერღვიათ დამცავი კორდონები, რომლებიც სპეციალურად იყო ზღვაში აღმართული.**



* * *

**შვედეთში დაასახელებენ ფიზიკაში 2004 წლის ნობელის პრემიის ლაურეატს. გასული წელი ნამდვილად ტრიუმფული გამოდგა ამ ნომინაციაში რუსი მეცნიერებისთვის: პრემია მიენიჭათ ერთბაშად ორ რუს მეცნიერს — ალექსეი აბრიკოსოვს და ვიტალი გინზბურგს, აგრეთვე, ბრიტანელ ფიზიკოსს ენტონი ლაგეტუს.**



**განცხადება სს „თბილისის სადღესასწაულო ცენტრის“ ლიკვიდაციის შესახებ**

**სააქციო საზოგადოების „თბილისის სადღესასწაულო ცენტრი“** აქციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება (2002 წ. 10 აპრილს საერთო კრებაზე) საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ.

დაინტერესებულმა პირებმა ინფორმაციისათვის მოგვმართონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი № 3. ტელ: 92 26 68.

**სს „თბილისის სადღესასწაულო ცენტრის“ სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე გოგი ჯაოშვილი.**

**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

**დაფინანსების წყარო**
**სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტი**

მესტიის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს მესტიის რაიონში მიმდინარე წელს სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების (სასოფლო გზები, წყალსადენები, ხიდები, ნაპირსამაგრი ჯებირები და სხვა საინჟინრო კომუნიკაციები) აღდგენის სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამშენებლო ფირმებს და კომპანიებს.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: დ. მესტია, მესტიის რაიონის გამგეობა. ტელ: 899-14-06-67.

**სატენდერო კომისია.**

„2004 წლის 9 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სექტემბრის თვეში განსახორციელებელ დაგვა-დასუფთავების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე“.

გამგებელი გიორგი ხახნელიძე.

◎ აღიარება

# ვინ არის 2003 წლის საუკეთესო მეცნიერი ქალი?

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ამერიკიდან ამანათი მოვიდა. ამერიკული ტრადიციისამებრ დიპლომზე ქართველი მეცნიერისა და ღირსეული პიროვნების მაყვალა ნათმელაძის გვარი ოქროსფერი მელნით იყო ამოტვიფრული.**

**დიპლომი გვატყობინებს, რომ ამერიკის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა სერიით „ვინ ვინ არის“ — „პროფესიონალი და საქმიანი ქალის“ პროგრამით „2003 წლის საუკეთესო მეცნიერ ქალად“ ღვაწლმოსილი ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს უახლესი ისტორიის აღიარებული მკვლევარი მაყვალა ნათმელაძე გამოაცხადა.**

იმასაც მიუთითებდნენ, რომ ამის შესახებ ამერიკის ინსტიტუტი ინფორმაციას თავისი პუბლიკაციების მე-9 გამოცემაში დაბეჭდავდა.

საქართველოს საისტორიო საზოგადოება დიდი ხანია კარგად იცნობს მაყვალა ნათმელაძეს. ის ჯერ კიდევ უნივერსიტეტიდან გამოირჩეოდა თავისი სამეცნიერო შესაძლებლობებით.

ასპირანტურის წარმატებით დასრულების შემდეგ იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში იწყებს მუშაობას. ამ კოლექტივთან არის დაკავშირებული მისი, როგორც მეცნიერი-შემოქმედის და პიროვნების ფორმირების პროცესი. უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან მან განყოფილების ხელმძღვანელის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას მიაღწია.

უაღრესად დიდია მისი დამსახურება საქართველოს უახლესი ხანის ისტორიის კვლევის საქმეში. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ურთიერთობების ურთულესი პრობლემები, დიდი სამამულო ომის მრავალფეროვანი თემატიკა. ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, რომელთა შორის არაერთი მონოგრაფიაა. არის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების თანაავტორი (პროფესორ ნიკოლოზ სტურუასთან ერთად).

საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესით მიიღო ბოლო წლებში მის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის (თურქების, ქურთების, ჰემშინების) პრობლემებს მიუძღვნა. ამ წიგნმა მოკლე ხანში ორ გამოცემას გაუძლო და უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ნაშრომი გამოიცა აშშ მაკარტურების ფონდის ხელშეწყობით.

პროფესორი მაყვალა ნათმელაძე ისტორიკოსთა ახალგაზრდა კადრების ჩინებული აღმზრდელია. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 11 საკანდიდატო და 4 სადოქტორო დისერტაცია. აღსანიშნავია მისი აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო, საკავშირო თუ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. მისი მოხსენებები მუდამ გამოირჩეოდა საქმის ღრმა ცოდნით, საყურადღებო მეცნიერული ინტერპრეტაციით, საინტერესო დასკვნებით. სულ ახლახან დამსახურებულმა



მეცნიერმა გამომცემლობას ჩააბარა თავისი მორიგი ნაშრომი „საქართველოს უახლესი ისტორია“ (თანაავტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე დაუშვილი), რომელშიც არის ცდა სრულიად ახლებურად გაშუქდეს საქართველოს ბოლო — 80-წლიანი ისტორიული განვითარების პროცესი.

გულისხმიერი და მოსიყვარულე, კოლეგიალური, ღირსეული პიროვნება თანამშრომლებში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს. ინსტიტუტის დირექცია გულით ულოცავს პროფესორ მაყვალა ნათმელაძეს საერთაშორისო აღიარებას, გამარჯვებებს უსურვებს მომავალ შემოქმედებით მუშაობაში.

**დავით მუსხელიშვილი,**
**აკადემიკოსი;**

**ალექსანდრე დაუშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

# ინდონეზიის პრეზიდენტისთვის არჩევნების შედეგები „მისაღებია“

**პრეზიდენტის არჩევნების შედეგები „უნდა მივიღოთ“, — განაცხადა ინდონეზიის მოქმედმა პრეზიდენტმა მეგავატი სუკარნოპუტრიმ. თუმცა, მას ჯერჯერობით არ უღიარებია, რომ არჩევნებში დამარცხდა.**

ორშაბათს ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ინდონეზიის უშიშროების სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა, გენერალმა სუსილო ბამბანგ იუნდჰოიონომ გაიმარჯვა პრეზიდენტის არჩევნებში, მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების 61 პროცენტი, როცა სუკარნოპუტრის მომხრეთა რაოდენობა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 39 პროცენტს არ აღემატებოდა.

იუდჰოიონომ სუკარნოპუტრის მთავრობა ჯერ კიდევ არჩევნებამდე დატოვა. მაგრამ, კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ მან თავი შეიკავა არჩევნებში გამარჯვებაზე რაიმე კომენტარის გაკეთებისგან, რადგან ქვეყნის ამჟამინდელ პრეზიდენტს ჯერ არ უღიარებია თავისი დამარცხება.

ახალმა პრეზიდენტმა ფიცი უნდა დადოს 20 ოქტომბრისთვის.

„დემოკრატიული არჩევნების დროს ვინც უნდა გაიმარჯვოს, ეს ჩვენთვის მისაღები იქნება, რადგან ეს ჩვენი საერთო გამარჯვებაა, — აღნიშნა ქალბატონმა მეგავატი სუკარნოპუტრიმ. — ჩვენ მთელ მსოფლიოს უნდა ვუჩვენოთ, რომ მაღალი მორალის მქონე დიდი ერი ვართ“.

# გენერლის მკვლელობაში ადანაშაულებენ

**ოთხ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეს წაუყენეს ბრალდება ერაყელი გენერლის მკვლელობაში. იგი გარდაიცვალა გასული წლის ნოემბერში დაკითხვის შემდეგ.**

გენერალ-მაიორი აბედ ჰამედ მოჰუში სირიის საზღვრის მახლობლად მდებარე ერაყის ქალაქ ქვაინის სამხედრო ბანაკში იმყოფებოდა.

მოჰუშის სიკვდილმა იმთავითვე აღძრა ეჭვი, რადგან იგი გარდაიცვალა დაკითხვიდან მცირე ხნის შემდეგ.

გამოძიების მონაცემებით, უფროსი უორენტ-ოფიცრები (ეს წოდება შეესაბამება უფროსი პრაპორშჩიკის ჩინს) ჯეფერსონ უილიამსი და ლუის ველსჰოფერი, 1-ლი კლასის სერჟანტი უილიამ სომერი და სპეციალისტი (ეფრეიტორი) ჯერი ლოპერი გენერალს დაკითხვის დროს აწამებდნენ.

ახლა ოთხივე განსასჯელს წაუყენეს მკვლელობის ბრალდება, რის გამოც, თეორიულად შესაძლებელია, მათ სამუდამო პატიმრობაც კი მიუსაჯონ.

ამჟამად ამერიკის ხელისუფლება იძიებს ერაყისა და ავღანეთის სამხედრო საპყრობილეებში პატიმრების სიკვდილის მთელ რიგ საეჭვო გარემოებებს.

ჯერჯერობით არ არის იმის არანაირი მტკიცებულება, რომ ეს შემთხვევები ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული ან ვინმეს გაეცეს ბრძანება პატიმრების მიმართ ასეთი სასტიკი მოპყრობის შესახებ.



⊙ მეგობარ ქვეყნაში

# უკრაინა გზაგასაყარზე

**დემოკრატიას უკრაინაში საარსებო მნიშვნელობა ენიჭება როგორც თვითონ ამ ქვეყნის, ისე ამერიკის ინტერესებისთვის**

The Washington Post

**„ვაშინგტონ პოსტი" (აშშ), 29 სექტემბერი**
**ანდერს ასლუნდი, რუსეთში კარნეგის ფონდის პროგრამის დირექტორი.**

**ამერიკის შეერთებული შტატებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უკრაინაში დაგეგმილ პრეზიდენტის არჩევნების შედეგს, რომლებიც გაიმართება 31 ოქტომბერს, ამერიკაში ანალოგიური არჩევნების გამართვამდე სულ რაღაც ორი დღით ადრე. ამ არჩევნებზე უნდა გადაწყდეს დემოკრატიის ბედი უკრაინაში და განისაზღვროს ქვეყნის გეოპოლიტიკური ორიენტაცია.**

კარგი ახალი ამბავი ის, რომ ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა არ აპირებს კენჭისყრას ახალი ვადით. მას შემდეგ, რაც კუჩმას სახელი დაუკავშირდა 2000 წელს ერთი ჟურნალისტის მკვლელობას, პრეზიდენტის პოპულარობის რეიტინგი მკვეთრად დაეცა და დაახლოებით 7 პროცენტის დონემდე. ცუდი ახალი ამბავი კი არის ის, რომ მისმა ელიტამ და ბიზნესმენებმა, რომლებსაც კუჩმა გამდიდრებაში დაეხმარა, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს ნებისმიერ ფასად დარჩნენ ხელისუფლებაში.

ბრძოლა მიმდინარეობს ძირითადად ორ კანდიდატს შორის. ესენი არიან ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იუშჩენკო და მოქმედი პრემიერი ვიქტორ იანუკოვიჩი. იუშჩენკო სათავეში უდგას „ნაშა უკრაინას" ლიბერალ-კონსერვატიულ ბლოკს, რომელსაც პარლამენტში ადგილების დაახლოებით მეოთხედი აქვს. იგი სარგებლობს ლიბერალისა და დემოკრატის მტკიცე რეპუტაციით, უჭერს მხარს დასავლეთთან ეკონომიკურ ინტეგრაციას.

იანუკოვიჩი არის „დონეცკის კლანის" – უკრაინის ყველაზე მძლავრი სამრეწველო და ფინანსური ჯგუფის ლიდერი. იგი იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს და მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერას, ეყრდნობა რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს. უკრაინის ეკონომიკა ბოლო წლებში სწრაფად იზრდება. აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას იუშჩენკომ დაიწყო ეკონომიკური რეფორმები. უკრაინაში, რომელიც რუსეთზე ბევრად ღარიბია, ეკონომიკური ზრდის ტემპი უფრო მაღალია. 2004 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 12,7 პროცენტს მიაღწია, 2003 წელს კი – 9 პროცენტს. ორივე კანდიდატი ეკონომიკურ ზრდას თავის დამსახურებად მიიჩნევს.

მაგრამ, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ გამართულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, უკრაინელთა მხოლოდ 2 პროცენტმა განაცხადა, რომ კმაყოფილია ცხოვრებით. საყოველთაოდ გავრცელებული აზრია, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგად მოგებული რჩება მხოლოდ რამდენიმე დიდი ქალაქი, უმრავლესობა შემოსავლებს კი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ფენა ღებულობს. სიღარიბე კვლავ გავრცელებული მოვლენაა, გრძელდება სოციალური სფეროს დეგრადაცია.

პოლიტიკური რეჟიმი უკრაინაში ყოველდღიურად სულ უფრო რეპრესი-



ული ხასიათი ეძლევა: სახელმწიფო ერთი მეორის მიყოლებით ხურავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს თითიდან გამოწოვილი საბაბით – იქნება ეს სალიცენზიო თუ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა, თუ უბრალოდ ცილისწამება. იანუკოვიჩის მომხრეები აკონტროლებენ ყველა საერთო-ეროვნულ სატელევიზიო არხს და გაზეთების უმრავლესობას. არჩევნებში იანუკოვიჩის მხარდასაჭერად მობილიზებულია სახელმწიფო აპარატი, საგადასახადო ორგანოები კი ცდილობენ იმ ბიზნესმენთა დაშინებას, რომლებიც იუშჩენკოს მხარდაჭერას ბედავენ. ერთ-ერთი ქალაქის მერის ამ ცოტა ხნის წინათ გამართული არჩევნების დროს მთავრობისათვის ხელსაყრელმა კანდიდატმა ეს პოსტი დაიკავა შედეგების აშკარა გაყალბების გზით, სახელმწიფომ კი არ მოისურვა გაეუქმებინა არ-

ჩევნების შედეგები. იანუკოვიჩის ისიც კი არ სურს, რომ ხელი მოაწეროს შეთანხმებას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

ყველასთვის აშკარაა, რომ რუსეთი ერევა უკრაინის შიდაპოლიტიკურ პროცესებში. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი თითქმის ყოველთვიურად ხვდება ლეონიდ კუჩმას, ამ ცოტა ხნის წინათ კი იგი იანუკოვიჩსაც შეხვდა. ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში პუტინი ცდილობს კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშიროს უკრაინა რუსეთს მრავალი ეკონომიკური შეთანხმების დადების გზით, უკრაინის ექსპორტი რუსეთში კი სწრაფა ტემ-

პით იზრდება. წინასაარჩევნო კამპანიაში ჰეგემონია რუს პოლიტიკურ კონსულტანტებს ეკუთვნით, რომლებიც ყველა დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხით ცდილობენ იუშჩენკოსთვის სახელის გატეხვას.

მაგრამ, სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, იუშჩენკო სერიოზულად უსწრებს მეტოქეს. ერთ-ერთი ბოლო ასეთი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, არჩევნების მეორე ტურის შემთხვევაში, იგი მიიღებს ხმების 42 პროცენტს, იანუკოვიჩი კი – მხოლოდ 36. დიდი რისკის მიუხედავად, სულ უფრო მეტი ბიზნესმენი გადადის იუშჩენკოს ბანაკში, რომლებიც მოითხოვენ ქვეყანაში კანონიერების უზრუნველყოფას. კიევში ამ ცოტა ხნის წინათ მოგზაურობის დროს, იუშჩენკოს ერთ-ერთმა მოადგილემ იური ეხანუროვმა მითხრა, რომ იუშჩენკოს საარჩევნო შტაბს ეჭვი არ ეპარება მის გამარჯვებაში, თუმცა შიშობს, რომ

სახელმწიფო „მოპარავს" იუშჩენკოს გამარჯვებას ხმების დაანგარიშების დროს შედეგების გაყალბების გზით. თანაც, გახურებული საარჩევნო კამპანიის დროს იუშჩენკო, სამწუხაროდ, მოწამლული და თითქმის დადამბლავებული იყო.

უკრაინაში ახლა ხშირად გაიგონებთ ლაპარაკს იმაზე, რომ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს „ხავერდოვანი რევოლუცია", საქართველოში გასული წლის ნოემბერში მომხდარი „ვარდების რევოლუციის" მსგავსი. იანუკოვიჩის საარჩევნო შტაბის მეთაურმა საჯაროდ დაადანაშაულა იუშჩენკოს მომხრეები ასეთი რევოლუციის მომზადებაში. როგორც ამ ცოტა ხნის წინათ გამართული გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რესპონდენტთა 84 პროცენტს მიაჩნია, რომ „არჩევნების შედეგების გაყალბების შემთხვევაში, მოქალაქეებს აქვთ ქუჩაში საპროტესტო აქციების გამართვის უფლება".

რა შეუძლია გააკეთოს შეერთებულ შტატებს უკრაინაში დემოკრატიის მხარდაჭერისთვის?

ჯერ ერთი, პრეზიდენტმა ბუშმა, იმის ნაცვლად, რომ ხოტბა-დიდება შეასხას კუჩმას ერაყში 1650 უკრაინელი ჯარისკაცის გაგზავნის გამო, საჯაროდ უნდა განაცხადოს, რომ დემოკრატიას უკრაინაში საარსებო მნიშვნელობა ენიჭება როგორც თვით ამ ქვეყნის, ისე ამერიკის ინტერესებისთვის.

და მეორეც, არჩევნების დასრულების შემდეგ სიტუაციის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება იმას, თუ როგორ შეფასებას დაიმსახურებს ეს კამპანია – თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები იყო, თუ მათი შედეგები გააყალბეს. უკრაინის არჩევნებში გათვალისწინებულია უცხოელი მეთვალყურეების მონაწილეობა, და ამჯერად შეერთებულმა შტატებმა და მისმა თანამოაზრე ქვეყნებმა იქ გაცილებით მეტი თავიანთი წარმომადგენლები უნდა გაგზავნონ, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა.

ამერიკაში მოქმედებს აქტიური უკრაინული დიასპორა, რომელიც მზად არის გამოყოს ათასობით კვალიფიცირებული მეთვალყურე. უშუალოდ საარჩევნო უბნებში და ეგზიტპოლების შედეგების მიხედვით მიღებულ უტყუარ მონაცემებს შეუძლია მოახდინოს გავლენა უკრაინის ისტორიის მიმდინარეობაზე, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ ასეთ ფაქტს, რომ შეერთებული შტატების მიერ დაფინანსებულ რადიოსადგურებს შეუძლიათ ეს დასკვნები გააცნონ უკრაინის მთელს მოსახლეობას.

⊙ წიგნი

# საყურადღებო ნაშრომი ქართულ ცივილისტიკაში

**ქართული სამართლის მეცნიერება საზოგადოდ და კერძოდ კი, მისი ერთ-ერთი ძირითადი დარგი – ცივილისტიკა განებივრებული არ არის აქტუალური პრობლემების მონოგრაფიული გამოკვლევებით. მეცნიერები ახლა უფრო კანონმდებლობის კომენტარების, სხვადასხვა ტიპის სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, ნორმატიული მასალის ყოველგვარი კრებულების შედგენითა და ემპირიული კვლევა-ძიებით არიან დაკავებული. რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი პრობლემების ფუნდამენტურ კვლევას, იგი იშვიათი გამონაკლისი გახდა. სწორედ ასეთი გამონაკლისია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ შალვა ჩიკვაშვილის გამოკვლევა „პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის", რომელიც გამომცემლობა „მერიდიანმა" დასტამბა 2003 წელს.**

ეს ნაშრომი ცნობილი ცივილისტის პირველი გამოკვლევა როდია, რომელიც მორალური ზიანის სამართლებრივ პრობლემებს ეძღვნება. მას წინ უძღოდა რამდენიმე მონოგრაფია.

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ნაშრომის სტრუქტურა. მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადთეორიულ პრობლემებს დათმობილი აქვს მონოგრაფიის პირველი ოთხი თავი. ნაშრომის მეხუთე თავი სპეციალურად ეძღვნება ცალკეული სამართალდარღვევისთვის მორალური ზიანის კომპენსაციის განსაზღვრის თავისებურებებს, კერძოდ, მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრას სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევისას, ფიზიკური პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის უფლების შელახვისას, იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობისა და პირადი საიდუმლოების უფლებათა დარღვევისას. ამასთან, ნაშრომს თან ერთვის საკანონმდებლო აქტებიდან ამონარიდები და სასარჩელო განცხადებათა ნიმუშები მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაც კიდევ უფრო ზრდის ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას. პროფესორ შ. ჩიკვაშვილის ნაშრომი სამაგიდო წიგნადაც შეიძლება გამოდგეს მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის. დარწმუნებული ვარ, ამ წიგნში ისინი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე წამოჭრილ ყველა კითხვაზე იპოვნიან დასაბუთებულ პასუხს.

მორალური ზიანისთვის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი სასამართლო პრაქტიკის პირმშოა. თუ სამართლებრივი დოქტრინა და კანონმდებლობა დიდი ხნის მანძილზე არ ცნობდა არამატერიალური, მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობასა და აუცილებლობას, სამაგიეროდ საერთო სამართლის ქვეყნებში, სახელდობრ, ინგლისში სასამართლოებმა დაამკვიდრეს იგი. კომპენსაცია ამ შემთხვევაში წარმოადგენდა ერთგვარ „სასჯელს" სამართალდამრღვევისთვის, ხოლო დაზარალებულისთვის კი გარკვეულ დაკმაყოფილებას.

მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხმა რომაულ სამართალში დასრულებული სახე ვერ მიიღო. ამიტომ კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, სადაც დიდი იყო რომაული სამართლის გავლენა, ამ ინსტიტუტის აღმოცენება შედარებით გვიან მოხდა და რამდენადმე განსხვავებული მიმართულება მიიღო. ფეოდალურ ქართულ სამართალშიც არსებობდა პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თუმცა აქაც სასამართლო პრაქტიკამ დაასწრო კანონმდებლებს და მორალური ზიანის ანაზღაურების საყურადღებო პრეცედენტები შექმნა.

საბჭოური კანონმდებლობა არ ცნობდა მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. აქ ძირითადად გადამწყვეტი იყო იდეოლოგიური ფაქტორი. კერძოდ, ეს ინსტიტუტი უცხო იყო სოციალისტური მართლშეგნების, სოციალისტური ზნეობისა და სამართლისათვის. ამასთანავე, მიუთითებდნენ მორალური ზიანის ფულადი გამოხატულების შეუძლებლობაზეც. მორალური ზიანისთვის პასუხისმგებლობის ზომებში უპირატესობა სისხლის სამართლებრივ სანქციებს ენიჭებოდა.

მიუხედავად ამისა, საბჭოურ პერი-




ოდში მაინც არსებობდა ამ ინსტიტუტის მომხრე მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც ასაბუთებდნენ მორალური ზიანის ანაზღაურების საკანონმდებლო წესით შემოღების აუცილებლობას. გასული საუკუნის 20-იან წლებში ამ იდეას მხარს უჭერდა ქართველი ცივილისტი გ. რცხილაძე, რომელმაც 1928 წელს ქართულ პერიოდიკაში გამოაქვეყნა მეტად საინტერესო წერილი „მორალური ზიანის ანაზღაურება". 60-70-იან წლებში კი რუს მეცნიერებთან ერთად ქართველი ცივილისტებიც (მათ შორის ამ წერილის ავტორი) ცდილობდნენ ამ პრობლემის დადებითად გადაჭრის თეორიულ დასაბუთებას. პროფესორი შ. ჩიკვაშვილი მეცნიერული კეთილსინდისიერებით აღნიშნავს ამ ფაქტს და ცივილისტური აზრის განვითარების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის.

მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის შემოღება მხოლოდ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც საბჭოური კანონმდებლობის ნაცვლად მიღებულ იქნა თანამედროვე სამოქალაქო კოდექსი და სხვა საკანონმდებლო აქტები. როგორც ვხედავთ, მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი სრულიად ახალი ფენომენია ჩვენი კანონმდებლობის, მართლშეგნებისა და სასამართლო პრაქტიკისთვის. ამიტომ მისი მეცნიერული შესწავლა უაღრესად საშური საქმეა. ამ თვალსაზრისით, პროფესორ შ. ჩიკვაშვილის ნაშრომი „პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის" მნიშვნელოვნად ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც შეინიშნება ამ პრობლემასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის მეცნიერულ დამუშავებაში. შედარებითი მეთოდის გამოყენების მეოხებით ამ ნაშრომში უხვად ვხვდებით პრაქტიკულ წინადადებებს ამ სფეროში კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის თაობაზე.

მორალური ზიანის განსაზღვრისას ავტორი უმთავრეს ცნებით ნიშნად მიიჩნევს სულიერ და ფიზიკურ ტანჯვას, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად განიცდის პირი. მორალური ზიანი შეიძლება დადგეს როგორც არამატერიალური, ისე მატერიალური სიკეთის ხელყოფის გამო, თუმცა მას ფულადი ეკვივალენტი არ მოეძებნება. მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის შესაფერისი კომპენსაცია არ არსებობს. ფულადი ანაზღაურება მხოლოდ სუროგატია და არა პირდაპირი სარეპარაციო საშუალება. მიუხედავად ამისა, იგი უნდა ანაზღაურდეს.

მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ პირს, ვისაც უშუალოდ მიადგა ზიანი და განიცადა ფიზიკური და სულიერი ტანჯვა. საკითხისადმი ასეთ მიდგომას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი გამორიცხავს მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების მქონე სუბიექტთა წრის ყოვლად დაუშვებელ გაფართოებას, როცა მორალური ზიანის ანაზღაურების დანიშნულება დაკარგავდა აზრს.

მორალური ზიანის ანაზღაურებამ უნდა შეასრულოს მიყენებული ზიანის კომპენსაციის, დაზარალებულის შელახული უფლებების აღიარების, კერძო და ზოგადი პრევენციის ფუნქციები. ავტორი სამართლიანად ხაზს უსვამს ამ შემთხვევაში სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკომპენსაციო ფუნქციას და სწორად მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის პასუხისმგებლობის გამკაცრებას არ შეუძლია შეცვალოს მორალური ზიანის ანაზღაურების აუცილებლობა.

მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ ფულადი ფორმით და განსაზღვრული ოდენობით, ქონებრივი ზარალისგან დამოუკიდებლად მაგრამ როგორ გავზომოთ ფულით ტკივილის სიმწვავე და ტანჯვის სიმძიმე? – კითხულობს ავტორი და იქვე დასძენს: ამ კითხვაზე კანონმდებლის მზა რეცეპტი არ არსებობს, ეს უკვე მოსამართლისა და სასამართლოს საქმეა. მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი და სხვა საყურადღებო გარემოებები. ამასთან ერთად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და სულიერი ტანჯვის ხარისხი. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულისა და მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა.

პროფესორ შ. ჩიკვაშვილის აზრით, შესაძლებელია შემუშავდეს გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც დაეხმარებიან სასამართლო ორგანოებს მიყენებული მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების საქმეთა განხილვისას „გონივრული და სამართლიანი" ანაზღაურების დადგენაში. ამ მხრივ იგი პერსპექტიულად მიიჩნევს დანაშაულისა და სასჯელის ცნობილი თანაფარდობის კონსტრუქციის გადმოტანას მორალური ზიანის ოდენობის (ზომათა) სკალის შემუშავებისთვის.

დარწმუნებული ვარ, რომ პროფესორ შ. ჩიკვაშვილის ნაშრომს „პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის" დიდი ყურადღებით გაეცნობიან სწავლული და პრაქტიკოსი იურისტები, მასმედიის მუშაკები, იურიდიული ფაკულტეტების პედაგოგები, ასპირანტები და სტუდენტები, სამართლისა და მორალის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი.

**ჯონი ხეცურიანი,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.**

⊙ ფიქრები

# „პესიმისტის ჩანაწერები"



**რაულ ჩილაჩავა**

### დაშრეტილი ცოდნის წყარო

სწავლა სიბერემდისო! – ამბობს ქართული ანდაზა. მართლაც, რაა დასაძრახი იმაში, რომ ხანმოწეული ადამიანიც ეწაფებოდეს ცოდნას. მით უფრო, რომ საამისოდ მუდამ როდია საჭირო სასწავლებელში სიარული. თავად ცხოვრება, ადამიანებთან ურთიერთობა ისედაც გასწავლის ბევრ რამეს. დასანანი ის არის, რომ ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო ცოტა დრო გრჩება დაგროვებული ცოდნის გამოსაყენებლად. ამასთანავე, გეჩვენება, რომ კატასტროფულად მცირდება მათი რიცხვი, ვისგანაც შეგიძლია რაიმე ისწავლო. სოკრატე ამბობდა თურმე, ვერაფერს ისწავლი კაცისგან, რომელიც არ მოგწონსო. გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ დღითი დღე იშვიათად მომწონს ვინმე, რაც იმის დასტურია, რომ ბუნებრივი ცოდნის წყარო თვალს და ხელს შუა იშრიტება.

### გამოცდილება

ბავშვი შეიძლება იყოს გონიერი, მიხვედრილი, ჭკვიანი, მაგრამ არა ბრძენი. თანდაყოლილ გონიერებას, მიხვედრილობასა და ჭკუას სიბრძნედ წლების მანძილზე დაგროვებული პირადი გამოცდილება აქცევს. გამოცდილება არის ერთადერთი რამ, რომლის მასწავლებელი მხოლოდ ცხოვრებაა და მას ვერც ერთი უნივერსიტეტი, აკადემია თუ სიყმაწვილეში ბრწყინვალედ დაცული დისერტაცია შეგძენს. მხოლოდ განსწავლულობასთან შერწყმული ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქმნის საკუთარი სიბრძნის ბაზისს, რომელსაც თვითონაც დაეყრდნობი და სხვასაც უწილადებ. ვწერ ამას და სადღაც წაკითხული მახსენდება: „გამოცდილება გათამაშების შემდეგ შეძენილი ლატარიის ბილეთია" (მარიზ კერლენი).

### ძალის კანონი და კანონის ძალა

კაცობრიობის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა განუწყვეტელი კონფლიქტი ძალის კანონისა და კანონის ძალას შორის. სამწუხაროდ, მეტწილად იმარჯვებს ის, ვინც საკვანძო მნიშვნელობის სიტყვად „ძალას" მიიჩნევს, მაგრამ გულუბრყვილოთათვის მას, როგორც წესი, კანონის სახელით მოიხსენიებს.

### მულტფილმის სიბრძნე

უოლტ დისნეის ფილმი „მიკი მაუსი და მისი მეგობრები" იწყება ფრაზით: „ადამიანი მშიერი დაიბადა". არა ვარ დარწმუნებული, რომ ბავშვებს, რომლებსაც იტაცებს ანიმაციური კინოს ხელოვნება, გაეგებათ ეს შთამბეჭდავი ფრაზა, ჩვენი გაუმაძღრობის, განუსაზღვრელი სიმდიდრისკენ ლტოლვის სათავეზე რომ მიუთითებს. მშივრად დაბადებულთ მოხვეჭის ინსტინქტი არ ასვენებთ მაშინაც, როცა რაიმეს მოხვეჭას უკვე აზრი არა აქვს.

### სიმონ ჩიქოვანის ინტუიცია

სიმონ ჩიქოვანის ადრეულ პოეზიაში, როცა იგი ჯერ კიდევ „ცირა, ცაბა, წარბენილის" მოტივებს ერთგულობდა, უეცრად შემოგეფეთებათ დახვეწილი პოეტური სახე: „წვიმის თმებიდან გავიგონებთ ნესტიან ტირილს", შეგძრავთ ადამიანური სიწმინდის სხივფენილი უსათუთესი აღსარება: „მე შენი ტრფიალი მინდოდა და შენი ბავშვობის შენახვაც", მხურვალე თანაგრძნობით აღგავსებთ სასოწარკვეთილი შეძახილი: „ეს ვაგონებიც მონგოლებია და სად მივყავართ შენი რჩეული".

ახალგაზრდა პოეტი ინტუიციით მიხვდა (ინტუიცია ხომ პოეტის უერთგულესი გზამკვლევია სიტყვებისა და ემოციების უსიერ ტყეში!), რომ მისი შემოქმედება მომავალში სწორედ განცდათა სიწრფელისა და სათქმელის მკაფიოდ გამოხატვის გზით უნდა წარმართულიყო.

ოცდათორმეტი წლის სიმონ ჩიქოვანი წერდა:

როგორც შანდალი, დადგა ეზოში
შინდი და შუქი ავარდა შინდის.
მე მომაგონდა ხმა ორფეოსის
და ჰომეროსის თვალებში ბინდი.
მე მომაგონდა ბრმა იადონი...

როგორც მკითხველისთვის ცნობილია, არცთუ ჭარმაგმა სიმონ ჩიქოვანმა პირადად გამოსცადა ჰომეროსის თვალებში ჩამდგარი ბინდის საშინელება და თავად იქცა ბრმა იადონად. ინტუიციას მისთვის, სამწუხაროდ, არც აქ უღალატია.

### ჩხირკედელაობა

მე ყოველთვის მიკვირდა და მიკვირს იმ პოეტებისა, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ უჭკნობ შედევრებს ჰქმნიან. ისინი არც კი ფიქრობენ, რომ ის ადგილი, რომელზეც დგანან, იქნებ მწვერვალი სულაც არ იყოს. ჩემთვის უფრო ახლობელი, გასაგები და მისაღებია ბორხესის მტკიცება, რომლის აზრითაც, პოეზია მუდამ იდუმალებითაა მოცული, რადგან არასოდეს იცი, ბოლოს და ბოლოს, რა გამოგივიდა. ამიტომაც სათქმელის წინასწარ დაგეგმვა და განსაზღვრა სულაც ჩვეულებრივი ტექსტის შესაქმნელი ჩხირკედელაობა მგონია.

### თავისუფალი დრო და თავისუფალი ლექსი

მავანზე იტყვიან ხოლმე: თავისუფალ დროს ლექსებს წერსო. ეს ტყუილია. ლექსმა არ იცის თავისუფალი დრო. იგი სცნობს მარტო საკუთარ ძალაუფლებას და თუ ისურვა, ტიციანისა არ იყოს, „გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს". სხვათა შორის, მე თუ მკითხავთ, არც თავისუფალი ლექსი არსებობს. თავისუფალი რისგან და ვისგან? ამქვეყნად ყველა და ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული და ის, რასაც ჩვენ თავისუფლებას ვეძახით, იმ ურთიერთ დამოკიდებულებისადმი ჩვენი აგდებული დამოკიდებულებაა.

### პოეზია

პოეზია არა მარტო ლიტერატურული ჟანრია, არამედ ცხოვრებისა და აზროვნების წესიც. ჭეშმარიტი პოეტი შეუძლებელია ლექსებს მხოლოდ სახელისა და ჰონორარისთვის წერდეს. თუ მას კალმისკენ არ უბიძგებს ვაჟასეული „მემღერება და ვიმღერი", თუ მას, როგორც ნიკო სამადაშვილი იტყოდა, სულის კვამლი არ უწვავს თვალებს, ნაღდი ქმნილების დაბადებას არ უნდა ველოდეთ.

ცხადია, დრონი იცვალნენ და პოეზიამაც, როგორც ათასმა რამემ ჩვენს გარშემო, ფერი იცვალა. იგივე ვაჟა ან აკაკი დღეს რომ ცოცხლები იყვნენ, თავიანთ პოემებს აწ უკვე კლასიკად ქცეული სახით ვეღარ დაწერდნენ. ლექსიდან გაქრა სიუჟეტი და, მაშასადამე, პრაქტიკულად ისტორიის კუთვნილებად იქცა პოემა. რაღა ლექსიდან, სიუჟეტი სერიოზული პროზიდანაც გაუჩინარდა და ძირითად სამსახურს მხოლოდ დეტექტივს უწევს. ეს ბუნებრივი ევოლუცია, ჩემი ღრმა რწმენით, სულაც არ უნდა ნიშნავდეს პოეზიის აღსასრულს. პოეზიისა, რომლის უძველესობაზე ერთი განსაცვიფრებელი ფენომენიც მიგვანიშნებს: როცა „სახარება" ძველბერძნულიდან ქრისტეს მშობლიურ არამეულზე თარგმნეს, იგავები, რომლებითაც იგი ხალხს ესაუბრებოდა, ლექსებივით აჟღერდნენ თურმე. არაა გამორიცხული, რომ მაცხოვარი თავის ყველაზე სანუკვარ აზრებს სწორედ ლექსად გამოთქვამდა. ეს კი საფუძველს გვაძლევს შოთას კვალდაკვალ ჩვენც ვამტკიცოთ, რომ პოეზია საღმრთოდ გასაგონი სიბრძნის ერთი დარგია და ამ უჟამო ჟამის შემდეგ მისი ზეობის ხანა კვლავაც დადგება.

### ავტოგრაფის უფლება

ადამიანებს უჭირთ ხოლმე საყოველთაოდ აღიარებულ ავტორიტეტთა უარყოფა, მათზე საჩოთირო აზრის ხმამაღლა გამოთქმა, ვაითუ ხეპრედ და უვიცად ჩამთვალონო. როცა ერთ გაბედულ ვინმეს მიუმართავს პიკასოსთვის, თქვენი ნახატები არ მომწონს, მსგავს რამეებს მეც დავხატავდიო, აღიარებულ ხელოვანს უპასუხია: იქნებ სწორიც ბრძანდებოდეთ, მაგრამ მათ ქვეშ მხოლოდ მე შემიძლია მოვაწეროო გვარი – „პიკასო!"

როგორ მოვიპოვოთ ნაწარმოებქვეშ ექსკლუზიური ხელმოწერის უფლება, როგორ მივაღწიოთ გვარის მაგიურ ზეგავლენას, როცა ავტოგრაფი ნაწარმოების გარეშეც ჰქმნის განუმეორებლობის, სიდიადის რწმენას – აი, თავი და თავი საზრუნავი მათთვის, ვისაც საკუთარი სიცოცხლე ხელოვნების სამსხვერპლოზე სურს მიიტანოს ზვარაკად.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 212, 214, 216-218, 220-224, 230.**

## ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი

**07.30** ალიონი **09.30** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.55** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი **"შემსრულებელი"** **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთ. ტურნირი **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი **"უშიშრები"** **16.30** "ეძიე ქალი"- ლ. დარცმელია **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** "ძველი აფიშა" – "საბრალდებო დასკვნა" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"** **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი **"კარიბის ზღვაზე"** **22.00** "მიამბეთ თქვენზე" - ი. ციციშვილი **00.00** მხ. ფილმი **"წკიპურტები"**

**19.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **19.30** "იმღერე რამე" **20.00** ლერერის შოუ **20.40** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"** **21.35** დრო და ადამიანები **21.50** ბასტი-ბუბუ **22.05** მხ. ფილმი **"ცეცხლთან თამაში"** **1**-ლი ს.

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი **"ეკლები და ვარდები"** **11.00** "ღამის შოუ" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **13.30** მხ. ფილმი **"ასი დღე ბავშვობის შემდეგ"** **15.25** სერიალი **"ბევერლი ჰილზი"** **16.30** სერიალი **"ეკლები და ვარდები"** **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ფოქს კიდსი" **18.45** სერიალი **"ბევერლი ჰილზი"** **19.45** პატრული **20.00** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **22.00** ხალხის პირისპირ **22.45** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი **"შუაღამემდე მოვასწროთ"**. მთ. რ-ში: როდნი დანჯერფილდი, რენდი კუეიდი (**18**). **02.00** პატრული

**07.00** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25, 12.20, 14.30, 03.10** იმედის მელოდიები **08.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი **"ტყუპები"** **11.15** სერიალი **"ყავა და ლუდი"** **12.40, 16.25, 02.40** **ტვ**-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი **"ჩალის ქუდი"** მე-**2**ს. **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.30** ქრონიკა **15.20** სერიალი **"კლონი"** **16.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** თამაში "პოლიციის აკადემია" **18.05** სერიალი **"ტყუპები"** **20.00** სერიალი **"კლონი"** **20.55** სერიალი **"ყავა და ლუდი"** **22.50** "უცნობი საქართველო" **23.20** მხ. ფილმი **"წყვდიადი"** (**18**) (ლ. ოლინი) **01.05**. "აქტიორი" **01.35** სერიალი **"ნეშ ბრიჯესი"**

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი **"ჩენტო ვეტრინე"** **10.30** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი **"ვუპი"** **11.35** კრიმინ. დრამა **"სთშძ** დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** ტელეჟურნალი "მოდა" **13.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი **"მარია ემილია"** **16.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **19.05** სერიალი **"ჩენტო ვეტრინე"** **20.45** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **21.15** სერიალი **"ვუპი"** **21.45** კრიმინ. დრამა **"სთშძ** დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი **"მოუხელთებელი მოწმე"** (უილიამ ჰარტი)

**18.00** მინისერიალი **"გრაფინია დე მონსორო"** მე-**7**ს. **19.10** დოკ. ფილმი **20.20** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი **"ბარონი ნავსადგურიდან"** (**12**)

**13.00** ქართული მუსიკა **15.00** მხ. ფილმი **"რუგანტინო"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი **"მილედი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"მდიდრები და ცნობილები"** **22.30, 00.30** ქართული მუსიკა

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ვიპ-შოუ და კენო (განმ.) **13.00, 19.00** ტვ-შოპი **19.00** სერიალი **"მუსკულები"** (გან.) **19.30** ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.) **20.00** ვიპ-შოუ და კენო **21.00** ტვ-შოპი **22.00** სერიალი **"მუსკულები"** **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** მ. მშვილდაძის შოუ **23.00** დებატები **202**-ზე

**09.05** მელოდია **09.15** ფოტოაპარატები **09.25** "აჩიკუდა" **09.45** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.05** მელოდია **10.35** მობილურები **10.55** დისნეი და მისი მეგობრები **11.15** ტელევიზორები **11.25** მელოდია **11.40** ვიდეოკამერები **12.00** მელოდია **12.20** კომპიუტერული ტექნიკა **18.05** მელოდია **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **18.50** მელოდია **19.00** "აჩიკუდა" **19.20** მობილურები **19.45** მელოდია -"მოკლე შეტყობინებები" **20.20** ტელევიზორები **20.30** "ნა-ნა-ნა" - კარაოკე **21.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **21.50** მელოდია **22.30** პრინტერები **22.40** მელოდია **23.15** ვიდეოკამერები **23.30** მელოდია

◎ ფინანსური პოლიცია

# სხვისას აღრიცხავენ, თავისას — არა!

**ზოგიერთი მეწარმის, ასე ვთქვათ, „საგადასახადო პოლიტიკა", დამწყები ბიზნესმენისთვის მაგალითად ნამდვილად არ გამოდგება. ამის დადასტურებაა შპს „ალიონი", რომლის სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხები გლდანი-ნაძალადევის საოლქო საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებმა შეამოწმეს. საქმე ის არის, რომ ოპერატიულმა სამსახურმა მოიპოვა მასალები, რომელთა თანახმად შპს „ალიონმა" დამატებითი შემოსავალი მიიღო საკონტროლო-სალარო აპარატების გაყიდვიდან. ეს საბუღალტრო დოკუმენტაციაში სათანადოდ არ აისახა. შპს „ალიონის" შემოწმებამ, რომლის დირექტორია გ. აგაჯანოვი, ხოლო ბუღალტერი ფ. ბერუაშვილი, 2002 წლის ივნისიდან 2004 წლის მაისის ჩათვლით პერიოდი მოიცვა.**

ამ საზოგადოების საქმიანობის საგანია საკონტროლო-სალარო აპარატების რეალიზება და მომსახურება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად კი საკონტროლო-სალარო აპარატების მიწოდება 2003 წლის 1 ოქტომბრიდან იბეგრება დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით. სალარო აპარატების რეალიზაციაზე შპს „ალიონმა" 2002 წლის ივლისიდან 2003 წლის 1 ოქტომბრამდე შემოსავალი 7 ათასი ლარით შეამცირა, რის გამოც დღგ-ს ძირითადი თანხა 1.166 ლარი დაერიცხა. ამავე დროს, სალარო აპარატების გამოყენების შესწავლისა და მომსახურების შემოსავალმა 2.779 ლარი შეადგინა, რომელიც ასევე არ აისახა საბუღალტრო დოკუმენტებში. ამის გამო საზოგადოებას დამატებით დაერიცხა ძირითადი თანხა დღგ-ში 463 ლარი. მთლიანად კი — 3.604 ლარი.

ამრიგად, 2002-2004 წლებში მოგების გადასახადის სახით შპს „ალიონს" მთლიანად დაერიცხა 5.170 ლარი.

თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ „ალიონის" ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მაგალითი დამწყებ ბიზნესმენებს სასწავლებლად არ გამოდგება. ამას საზოგადოებაზე კანონდარღვევის შედეგად დარიცხული თანხაც ადასტურებს და შპს-ს ხელმძღვანელთა პოზიციაც. განა არ უნდა სცოდნოდათ, რომ თავადვე აღრიცხვიანობის მაკონტროლებელი მოწყობილობებით მოვაჭრე ორგანიზაციასაც ოდესმე აღრიცხვიანობას შეუმოწმებდნენ?

ვფიქრობთ, რომ უნდა სცოდნოდათ.

ასეა თუ ისე, შპს „ალიონის" ხელმძღვანელის გ. აგაჯანოვის მიმართ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

* * *

გადასახადების გადახდისგან თავის არიდებაში ამხილეს, აგრეთვე შპს „გელა-92", რომლის სამეწარმეო და სამეურნეო საქმიანობის საგანს ნავთობპროდუქტების შესყიდვა-რეალიზება წარმოადგენს. საზოგადოების სამეწარმეო და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხები, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს შუამდგომლობისა და ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს ბრძანების საფუძველზე, ისანი-სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ შეამოწმა.

როგორც გაირკვა, 2003 წელს შპს „გელა-92"-ის მთლიანმა შემოსავალმა 1.000 ლარი შეადგინა. აქედან გამომდინარე, საზოგადოებას დაერიცხა მოგების გადასახადი — ძირითადი თანხა 200 ლარი და 2004 წლისთვის მიმდინარე გადასახადი კიდევ — 200 ლარი.

გარდა ამისა, დადგინდა, რომ 2001 წლის აპრილში საზოგადოებამ დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანით დღგ-ს გადასახადი შეამცირა 1225 ლარით. ამავე დროს 2002 წლის ოქტომბრიდან 2003 წლის ოქტომბრის ჩათვლით შპს „გელა 92"-ს *შემოსავალი საიჯარო გადასახადიდან დღგ-ით არ დაუბეგრია, რაზეც დამატებით კიდევ 250* ლარი დაერიცხა.

საზოგადოებას ასევე წარმოდგენილი არა აქვს 2002-2003 წლების ქონების გადასახადი, რაზეც შესაბამისად დარიცხულია ძირითადი გადასახადი თითოეულ წელზე 204 ლარი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 144-ე მუხლის შესაბამისად, საზოგადოებას ასევე დაერიცხა 2004 წლის მიმდინარე გადასახადი 204 ლარი.

ამრიგად, ისანი-სამგორის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ შპს „გელა 92"-ს მთლიანად დაარიცხა 6.246 ლარი.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების დირექტორი ზ. ციცვაძე თავის ახსნა-განმარტებაში ინსპექციის მიერ შედგენილი აქტის ნაწილს დაეთანხმა, ნაწილს კი — არა, თუმცა, რეალური არგუმენტები ვერ მოიყვანა.

ფინანსურმა პოლიციამ შპს „გელა-92"ის ხელმძღვანელის მიმართაც სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

◎ ფეხბურთი

# წილი ნაყარია

**გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში მოეწყო უეფას თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდის წილისყრა, რომელმაც თბილისის „დინამოს" ერთ-ერთ ყველაზე რთულ კვინტეტში მიუჩინა ადგილი. „ნიუკასლი", „სპორტინგი", „სოშო", „პანიონიოსი" — აი, ქართველ ფეხბურთელთა მომავალი მეტოქეების ნუსხა.** ერთწრიანი ასპარეზობის სტარტზე 21 ოქტომბერს გია გეგუჩაძის გუნდი ინგლისელებს უმასპინძლებს, სადაც თავდასხმაში შირერ-კლუივერტ-ბელამის მრისხანე ტრიო ბრწყინავს. არანაკლებ მძიმე გასვლითი მატჩი გველის II ტურში — მოგეხსენებათ, პორტუგალიურ ვოიაჟებთან ახლო წარსულიდან მწარე მოგონებები გვაკავშირებს, ხოლო „სპორტინგი", ამჟამინდელი კრიზისის მიუხედავად, თავისი ქვეყნის საკლუბო ელიტის წევრად რჩება. III ტურში „სოშო" გვეწვევა, რომელიც საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის ცხრილის მეორე ნახევრის ბინადარია, დასკვნითი შეხვედრა კი ელადაში საშუალო სიძლიერის „პანიონიოსთან" გვექნება. საბერძნეთში თამაში, კარგად იცით, ყველას უჭირს.

გთავაზობთ წილისყრის სრულ შედეგებს.

**„ა" ჯგუფი:** *„ფეიენოორდი", „შალკე", „ბაზელი", „ჰართსი", „ფერენცვაროში".*

**„ბ" ჯგუფი:** *„პარმა", „ბეშიქთაში", „ბილბაო", „სტიაუა", „სტანდარდი".*

**„გ" ჯგუფი:** *„ბრიუგე", „სარაგოსა", „უტრეხტი", „დნეპრი", „აუსტრია".*

**„დ" ჯგუფი:** *„ნიუკასლი", „სპორტინგი", „სოშო", „პანიონიოსი", თბილისის „დინამო".*

**„ე" ჯგუფი:** *„ლაციო", „ვილიარეალი", „მიდლსბრო", „პარტიზანი", „ეგალეო".*

**„ვ" ჯგუფი:** *„რეინჯერსი", „ოსერი", „გრაცერი", „ამიცა", „ალკმაარი".*

**„ზ" ჯგუფი:** *„შტუტგარტი", „ბენფიკა", ზაგრების „დინამო", „ჰერენვეენი", „ბევერენი".*

**„თ" ჯგუფი:** *აეკ, „ლილი", „სევილია", „ალემანია", „ზენიტი".*

**გია პლატონიშვილი.**

◎ ჭიდაობა

# საუკეთესოთა შორის



**ამას წინათ კიშინიოვში (მოლდოვა) დამთავრდა სამბისტთა პირადგუნდური მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საპრიზო ადგილებისთვის 23 სახელმწიფოს წარმომადგენლები იბრძოდნენ. შედეგები უკვე გაუწყეთ. ამჯერად კი გაცნობებთ, რომ სამბოს საერთაშორისო ფედერაციამ ჩემპიონატზე გამოავლინა 10 საუკეთესო არბიტრი, რომელთა შორისაა თბილისელი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ემილ რაში.**

# ტალანტების ძიებისას

**დედოფლისწყაროს სპორტკომპლექსის საჭიდაო დარბაზში დამთავრდა რაიონის გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში დევიზით — „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს". შეჯიბრებაში რამდენიმე ნაკრები მონაწილეობდა.** ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზემო მაჩხაანისა (დავით ნასრაშვილი, ხვთისო მოსულიშვილი, ზურაბ გოგილაშვილი, დიმიტრი სეფიაშვილი, ოთარ ლობჯანიძე, ილია მარტყოფლიშვილი, მათე გობეჯიშვილი, მწვრთნელი — ვაჟა მოსულიშვილი) და არხილოსკალოს (ლევან დავითური, გურამ ჭიკაიძე, ზაზა კობაიძე, ნიკა ბაშარული, გია ჩოხელი, ლაშა ჭიკაიძე, მამუკა ბადრიშვილი, მწვრთნელი — კახა წიკლაური) მოჭიდავეები. დაძაბული ორთაბრძოლა ზემომაჩხაანელებმა მოიგეს 5:3 და რაიონის ჩემპიონობა მოიპოვეს.

**ნანა ჭიჭინაძე,
„სრ" საკ. კორ.**

◎ სიახლე

# უნივერსიტეტში საჭადრაკო სკოლის გახსნასაც აპირებენ

**თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში დამთავრდა 6 და 8 წლის მოჭადრაკეთა დედაქალაქის პირველობა გოგონათა და ვაჟთა შორის. შეჯიბრება გაიმართა შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად. რვაწლიანებში ქულათა მაქსიმალური მარაგით პირველი ადგილი გაგა ბერაძემ დაიკავა. იგი ათწლიანთა შორის საქართველოს ჩემპიონია, ამას წინათ კი ბათუმში გამართულ ტურნირზეც 9-დან 9 ქულით ყველას აჯობა.**

თბილისის ჩემპიონს ორი ქულით ჩამორჩა სანდრო ებრალიძე. 4,5 ქულით მესამე ადგილზე საბა ჭოლოკავა გავიდა.

გოგონებში 5,5 ქულით პირველი იყო დეა გოგიშვილი. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა თეკლა მაჭარაშვილმა. 4 ქულით მესამე ადგილი ნინო ცქიფურიშვილს ხვდა. უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილებით, ჩემპიონებს 50-50 ლარი, ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე გასულთ, შესაბამისად, 30 და 20 ლარი ერგოთ. 20 ლარი დაიმსახურა ექვსწლიანთა შორის გამარჯვებულმა სანდრო ურდულაშვილმა.

პრიზიორებს დიპლომები და ფულადი ჯილდოები გადასცა თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა **ანზორ შარაშენიძემ,** რომელსაც ტურნირის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ.

— ჩვენს უნივერსიტეტში 1200 სტუდენტი სწავლობს, — გვითხრა მან. — ბევრი მათგანი სპორტით არის გატაცებული. მათთვის ხშირად ვმართავთ სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის — სპორტულს, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდების ფიზიკურ წრთობას.

ექვსი და რვა წლის მოჭადრაკეთა საქალაქო პირველობისთვის შემთხვევით არ გვიმასპინძლია. ჩვენი უნივერსიტეტის ბაზაზე გვაქვს ჩვეულებრივი ზოგადსაგანმანათლებლო ცხრაწლიანი სკოლა და კოლეჯი. პარალელურად გვინდა საჭადრაკო სკოლაც გავხსნათ, რომელსაც თავისი დირექტორი ეყოლება და თავისი სასწავლო პროგრამა ექნება. პროფესიონალების დახმარებით ამ საქმეს, ალბათ, წლეულსვე მოვაგვარებთ. ოთახებისთვის სათანადო ფართობი გვაქვს. უკვე შევიძინეთ საჭადრაკო საათები, დაფები და ფიგურები. ძალიან გვინდა, საქართველოში ჭადრაკის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას შევუწყოთ ხელი.



**— საამისოდ სხვა ღონისძიებებიც გექნებათ დაგეგმილი...**

— გაისად დავით აღმაშენებლის სახელობის თასს გავათამაშებთ ორი ათას დოლარზე მეტი საპრიზო ფონდით. მედლების ნიმუშები უკვე შევუკვეთეთ. სასიგნალო ეგზემპლარიც ხელთა გვაქვს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის დახმარებით ამ ტურნირზე სახელოვან დიდოსტატებსა და საერთაშორისო ოსტატებს მოვიწვევთ, შესაძლოა, ეს შეჯიბრება საერთაშორისოც გავხადოთ და საპრიზო ფონდიც გავზარდოთ.

**— თბილისის პირველობაზე რას იტყვით?**

— ნიჭიერი თაობა გვეზრდება. შარშან ოცწლიანთა შეჯიბრებას ვუმასპინძლეთ, ახლა — უმცროსი ასაკის მოჭადრაკეებს. განსაკუთრებით გაგა ბერაძის თამაშით მოვიხიბლე. ვფიქრობ, მისგან ძლიერი დიდოსტატი გაიზრდება. სხვებმაც კარგად იასპარეზეს. თუმცა, იგრძნობა, რომ ჩვენს გოგო-ბიჭებს დახმარება სჭირდებათ. ქართულ ჭადრაკს ღირსეულ ცვლას ჩვენი საჭადრაკო სკოლაც მოუმზადებს...

თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მესვეურთა წამოწყება მისაბაძია. კარგი იქნება, სხვებიც თუ აუბამენ მხარს...

**ვაჟა დანელია.**
**სურათზე: ანზორ შარაშენიძე.**

◎ ახალი სახელები

# ქეთევან ქემოკლიძის ბედნიერი ზაფხული

**წლევანდელი ზაფხული ფეხბედნიერი გამოდგა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტის — ქეთევან ქემოკლიძისა და მისი პროფესორის გულნარა კარიაულისთვის. ჯერ იყო და, ივლისში ქეთინო ქ. ვენაში (ავსტრია) გამართულ ბელვედერეს ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტი გახდა და პარალელურად ბარსელონისა და ლაიფციგის საოპერო თეატრების სპეციალური პრიზიც მოიპოვა, ხოლო სექტემბრის დასაწყისი პირდაპირ ტრიუმფული გამოდგა მისთვის. ქეთევან ქემოკლიძემ პირველი პრემია (გრან პრი) მოიპოვა ვოკალისტთა ერთ-ერთ პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც უკვე 45-ჯერ გაიმართა საფრანგეთის ქ. ტულუზაში.**

უნდა ვთქვათ, რომ ჩემთვის, ისევე როგორც ყველასთვის, ვინც კი იცნობს ქეთევან ქემოკლიძეს, ეს წარმატებები არ იყო მოულოდნელი.

რამდენიმე წელია სიამოვნებით და ყურადღებით ვადევნებ თვალს ქეთინოს აკადემიურ და შემოქმედებით ზრდას შესანიშნავი პედაგოგის გულნარა კარიაულის ხელმძღვანელობით.

სტუდენტურ კონცერტებზე თუ კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლებში მონაწილეობით ქეთინომ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო არა მარტო ჩინებული ვოკალური მონაცემებით (მეცო სოპრანო), არამედ მუსიკალობითა და ვოკალური კულტურით, სამაგალითო შრომისმოყვარეობით.

მაგონდება მისი გამოსვლები არა მარტო სტუდენტურ საანგარიშო კონცერტებზე, არამედ ისეთ მნიშვნელოვან მუსიკალურ საღამოებზე, როგორებიც იყო, მაგალითად, პოპულარული ფესტივალის „შემოდგომის თბილისის" კონცერტები, სადაც მან მონაწილეობა მიიღო პერგოლეზის „სტაბატ მატერისა" და ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის შესრულებაში. მან ჰენდელის „მესიისა" და ბახის „საშობაო ორატორიის", მოცარტის „რეკვიემისა" და „მისსა ბრევისის" შესრულებაშიც მიიღო მონაწილეობა. საოპერო მომღერლის შესანიშნავი სკოლა გაიარა ქეთინომ კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლებში მონაწილეობით, სადაც შეასრულა საპასუხისმგებლო პარტიები ჰენდელის „ამადიჯისა" და ვერდის „რიგოლეტოში" (მადალენას პარტია).

უცხო არ დარჩა ჯერ კიდევ სტუდენტი ქალიშვილისთვის დიდი საოპერო სცენაც. ბათუმის საოპერო თეატრის სპექტაკლში — ვერდის „ოტელოში" მან ემილიას ფრიად რთული პარტია შეასრულა.

ახალგაზრდა, მზარდი მომღერლის შემოქმედებითი გზის პირველ და ბრწყინვალე მწვერვალად მოგვევლინა მისი გამარჯვება ტულუზის საერთაშორისო კონკურსზე, სადაც მან გაუსწრო ათობით მონაწილეს და დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო „გრან პრი" (I პრემია). მას შესანიშნავად უწევდა აკომპანიმენტს საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი კონსერვატორიის აღზრდილი — პიანისტი ნინო ფავლენიშვილი.

ავტორიტეტული ჟიური და მსმენელები ქეთევან ქემოკლიძემ მოხიბლა კლასიკური ვოკალური რეპერტუარის დახვეწილი, მაღალპროფესიული შესრულებით. ჟიურის გადაწყვეტილებაც ერთსულოვანი იყო.

მჯერა, რომ მალე ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი მომღერლის ახალი შემოქმედებითი მიღწევებისა და გამარჯვებების მოწმენი გავხდებით.



**გულბათ ტორაძე,**

**თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი.**

**სურათზე: ქეთევან ქემოკლიძე (ცენტრში) აღმზრდელებსა და კოლეგებს შორის.**

◎ ოლიმპიადა

# ობიექტივში „ათენი-2004"











**1. ოლიმპიური სოფლის კარიბჭესთან.**
**2. ხალიჩაზეა სამი მოქმედი პირი.**
**3. „ეგზოტიკური" გულშემატკივრები.**
**4. ეგვიპტელი „ფარაონი" — ქარამ იბრაჰიმი.**
**5. შენ იცი და შენმა ბიჭობამ.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

◎ კრივი

# ვლადიმირ კლიჩკო რინგს თავს არ დაანებებს

**კვირას ლას-ვეგასში (აშშ) მძიმეწონოსანი მოკრივეების ვლადიმირ კლიჩკოს (უკრაინა) და დევერილ უილიამსონის (აშშ) მატჩის წინ საინტერესო განცხადება გააკეთა კლიჩკოს უფროსმა ძმამ ვიტალიმ: „თუკი ჩემი ძმა დღეს დამარცხდება, იგი კრივს თავს დაანებებს და მუშაობას დაიწყებს ჰოლივუდში, სადაც ფილმებში მონაწილეობის მისაღებად არის მიწვეული".**

ახლა ცხადია, რომ ვლადიმირ კლიჩკო რინგს არ მიატოვებს, თუმცა უილიამსონთან მატჩის შემდეგ იგი უკმაყოფილო იყო. საქმე ის არის, რომ ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველ ორ რაუნდში კლიჩკო უკეთესად გამოიყურებოდა, შემდეგ კი უილიამსონმაც გამოიდო თავი და მეტოქე ნოკდაუნშიც კი გაისტუმრა.

მეხუთე რაუნდში უილიამსონმა მეტოქეს შუბლი გაუხეთქა. ამ აკრძალული ხერხისთვის ამერიკელს წაგება ჩაეთვალა, თუმცა იგი მსაჯებს არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ აუცილებლად შეეცდება, მატჩ-რევანშს მიაღწიოს.

# ვალების „მოყვარული" ტაისონი

**ამერიკელმა მოკრივემ მაიკ ტაისონმა თავის კრედიტორებს 36,6 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს. ორშაბათს გაკოტრების საქმეთა სასამართლომ მოიწონა კრედიტორებთან ურთიერთობის მოკრივისეული გეგმა.**



„რკინის მაიკის" საერთო ვალი 44 მილიონზე მეტია. 14 მილიონი მისმა პრომოუტერმა დონ კინგმა უნდა დაუფაროს, ხოლო დანარჩენი თანხის დაფარვამდე ტაისონმა მთელი თავისი შემოსავლიდან 50-50 პროცენტს უნდა იხადოს.

◎ სკოლა

# რეფორმა კარგია, პროექტი — დასახვეწი

**როგორც საქართველოს მრავალ რაიონში, თერჯოლაშიც მთავარ მიმართულებად განათლების დარგია მიჩნეული. აქაურები სასკოლო რეფორმას იმედის თვალით შეჰყურებენ. რაიონში 21 სკოლამდელი დაწესებულება, ერთი ელემენტარული, სამი დამოუკიდებელი დაწყებითი, შვიდი საბაზო და 23 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, სადაც 6200 მოსწავლე სწავლობს. 864 პედაგოგიდან 70 უმაღლესი კატეგორია აქვს მინიჭებული. წინა წლებისგან განსხვავებით თერჯოლელ პედაგოგებს შრომის საზღაურს დროულად უხდიან.**

სულ რაღაც ორიოდე თვეა, რაც რაიონის გამგებლის მოადგილედ **დარეჯან მემანიშვილი** დაინიშნა, მაგრამ, როგორც განათლების რაიონული პროფკავშირების ყოფილ ლიდერს, სასკოლო მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

ქალბატონი დარეჯანი „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონ-პროექტს მეტად საჭიროდ და დროულად განსახორციელებლად თვლის. ამასთან, შენიშვნებსაც დაუფარავად გვთავაზობს. მიიჩნევს, რომ პროექტის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი უნდა შეიცვალოს, რადგან ამ პუნქტით, ერთსა და იმავე სკოლაში დირექტორის არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ, 6 წლის ვადით, მაგრამ ამ განსაზღვრულ ვადაში ის პერიოდი ითვლება, თუ მანამდე კანდიდატს ეკავა დირექტორის თანამდებობა. ე.ი. არჩევნებში, იმავე სკოლაში, მონაწილეობას ვერ მიიღებს პიროვნება, რომელსაც 12 წლის დირექტორობის სტაჟი აქვს. კანონის ამ მუხლით, განათლების სისტემა დაკარგავს განათლების სისტემის ბევრ კარგ მცოდნეს, გამოცდილ და ერთგულ ხელმძღვანელს. შენიშვნებს კონკრეტული მაგალითებიც ახლავს. ზედა საზანოს, ქვედა ალისუბნის, ლვანკითის, ქვედა სიმონეთისა და ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლის დირექტორები: ზინა ზარნაძე, დემურ ყვავაძე, ეთერ ტურავა, მეთოდე ხუჯაძე და სხვები რაიონის განათლების სისტემაში გამორჩეული დირექტორები არიან. თუ მათ ხელოვნური ბარიერები შეექმნათ და არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღეს, დასახელებული სკოლების კოლექტივები ბევრს დაკარგავენ. გაუგებარია, რატომ უნდა წავიდნენ ისინი სამუშაოდ თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებულ სხვა სკოლებში და რად უნდა გაიუარესონ საცხოვრებელი პირობები!

31-ე მუხლის თანახმად, დირექტორად შეიძლება არჩეული იქნას ნებისმიერი სპეციალობისა და განათლების მქონე კანდიდატი, რაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს მასაც და პედაგოგიურ კოლექტივსაც. ამასთან, პროექტის მიხედვით, დირექტორის და დირექტორის მოადგილის თანამდებობა შეუთავსებელია პედაგოგიურ საქმიანობასთან, გამონაკლისის დაშვება შეიძლება, ოღონდ შესაბამისი ანაზღაურების გარეშე.

... ისევ თერჯოლელთა სასკოლო ცხოვრებას დავუბრუნდეთ, შარშან, თერჯოლის № 1, № 2 და ზედა ალისუბნის საშუალო სკოლებმა გრანტი მოიპოვეს და კარგადაც მოაწყვეს კაბინეტ-ლაბორატორიები. რაიონში კონკურსში გამარჯვებული 43 მოსწავლე დაჯილდოვდა, რესპუბლიკურ ტურში შვიდმა მოსწავლემ გაიმარჯვა. საზანოს არასრული საშუალო სკოლის მოსწავლემ გ. ჩუბინიძემ კი სოროსის პრემია დაიმსახურა.

რაიონში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ მოსწავლეებს.

რაიონის გამგეობა და საკრებულოები უკვე ზრუნავენ ზამთრის სეზონისთვის სასწავლო დაწესებულებების მოსამზადებლად. გულსატკენია, რომ თერჯოლის № 1, № 2, რუფოთის, ჩხარისა და ზოგიერთი სხვა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მეტად უსახურია, რაიონულ ბიუჯეტს კი მათთვის დღემდე ვერ მოუხერხებია მცირედი თანხის გამოყოფა.

თერჯოლის განათლების სისტემა წინა წელთან შედარებით, ახალ სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა.

**სოზარ კუპატაძე,
„სრ" საკ. კორ.**

◎ ჭრელაჭრულა

# მსოფლიო ჩემპიონი — მეოთხედ

**ცნობილმა ფრანგმა შკიპერმა ფრანკ კამასმა ერთდროულად ორი გამარჯვება მოიპოვა — მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი და ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე „მარსელის გრანპრისაც" დაეუფლა.** ფრანკმა თავისი იახტით Growparama II სამოცფუტიან, მრავალკორპუსიან იახტებში გაიმეორა ლეგენდარული წინამორბედისა და თანამემამულის ლოიკ პეირინის მიღწევა. ისიც ოთხჯერ — 1996, 1997, 1999 და 2002 წლებში იყო პირველი, კამასმა კი აქამდე 2000, 2001, 2003 წლებში იზეიმა გამარჯვება.

ახლანდელი ჩემპიონატის პრიზიორები არიან აგრეთვე მიშელ დექუაიე და კარინ ფუკონიე.

# ფულს ფული დაემატება

**მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი, ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი" ძალზე დააინტერესა ამერიკელი სპორტული მაგნიტის მალკოლმ გლეიზერის გადაწყვეტილებამ — 700 მილიონ გირვანქა სტერლინგად (1,79 მილიარდი დოლარია) შეიძინოს ეს გუნდი. კლუბის აღმასრულებელი დირექტორი დევიდ გილი აპირებს თვის ბოლომდე ამერიკელთან შეხვედრას და შესაძლო გარიგებაზე მოლაპარაკებას.**

„მანჩესტერ იუნაიტედს" სხვა პოტენციური მყიდველებიც ჰყავს ირლანდიური დოღების პატრონების ჯონ მანგერისა და ჯეი-პი მაკმანუსის სახით, რომლებიც ახლა კლუბის აქციათა 28,9 პროცენტს ფლობენ.

ზოგიერთ ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ ამერიკელის მიერ კლუბის შეძენა გუნდს ფინანსურ კატასტროფამდე მიიყვანს და ვალებში ჩააგდებს.

75 წლის ამერიკელი მილიარდერი უკვე ფლობს ამერიკული ფეხბურთის ფლორიდულ კლუბს.

გლეიზერი ახლა ამ ინგლისური კლუბის აქციების 19,2 პროცენტის მფლობელია, თუ ის თავის პაკეტს 30 პროცენტამდე აიყვანს, მაშინ, ბრიტანული კანონების მიხედვით, მოვალეა, თავისი წილი 50 პროცენტზე მეტი გახადოს. იმავე კანონმდებლობის მიხედვით ყოველივე ეს კი 60 დღის განმავლობაში უნდა გააკეთოს.

# კარგი გემოვნება ჰქონია

**ტურინის „იუვენტუსის" ფეხბურთელებმა თავიანთ ბაზაზე სტუმრად მიიწვიეს 2004 წლის „მისს იტალია"-კრისტინა კიაბოტტო. შაბათს, „უდინიეზესთან" შეხვედრის წინ, მწვრთნელი ფაბიო კაპელო და მოთამაშეები სწორედ ამ ლამაზმანს მასპინძლობდნენ. როგორც ჭეშმარიტი გულშემატკივარი, კრისტინა გამოწყობილი იყო შავ-თეთრ ფერებში („იუვენტუსის" ფორმა!) როგორც გამოირკვა, ის ამ გუნდს ბავშვობიდანვე ქომაგობს.**



კრისტინა იტალიის ულამაზეს ქალიშვილად სულ ახლახან, 19 სექტემბერს აღიარეს. ბუნებრივია, ამის შემდეგ კოლეჯის 18 წლის სტუდენტი აპენინებზე, ალბათ, ყველა მამაკაცის ყურადღების ცენტრშია. თუმცა რა გასაკვირია, კრისტინას ხომ ლამაზი ტანი, ქერა თმები და ცისფერი თვალები აქვს.

იქაურ პრესას თუ დავუჯერებთ, ლამაზმანი სტუმარი ყველაზე მეტ ყურადღებას იტალიის ნაკრების ფორვარდს ალექსანდრე დელ პიეროს უთმობდა. ვინ იცის, იქნებ ამ შეხვედრით ფეხბურთის სამყაროში ახალ

**სპორტის რედაქცია**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ვერიკო სანაძე-აბზიანიძისა და ლავრენტი სანაძე. გადაღებულია 1915 წელს.

მოგვაწოდა ზურაბ კილასონიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

*ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.*

## გილოცავთ, კოლეგა!

# და რა ქალი!..

სტუდენტობიდან ერთად მოვდივართ, მე გავჭაღარავდი, მუხიგულაშვილს არაფერი ეტყობა. „კომუნისტში" თითქმის ერთად მოვედით – ოცდაათი წელი გავიდა – მუხიგულაშვილს არაფერი ეტყობა... აგერ, თითქმის თხუთმეტი წელიწადია, „საქართველოს რესპუბლიკაში" გვერდიგვერდ ვმუშაობთ, მუხიგულაშვილი ძველებურად გამოიყურება... შენ ვინა ხარ, ტო!.. ეტყობა, მართლა მუხიგულისანი იყვნენ შენი წინაპრები, ჩემო რუსიკო.

მე არ გავამხელ შენს ასაკს, რადგან, მაინც არავინ დამიჯერებს... სულ, ასე ენერგიული და სიცოცხლით სავსე იყავი, ღმერთმა ოჯახი გიჯანმრთელოს – შენი სალოცავი – სალომე და შენი ვაჟკაცი ქმარი – ჩვენი კოლეგა გელა ქოქიაშვილი.

ჩვენი გაზეთის კულტურისა და განათლების რედაქციაში მუსიკალური სფერო შენ გაქვს მონდობილი, შენ გამოგაქვს მზის შუქზე ქართული მუსიკის თუ მუსიკოსების პრობლემები და წარმატებები, ჰოდა, აწიც, შენებურად...

ამ საიუბილეოდ ერთი სალაღობო კი მოუხდებოდა შენს მრგვალ თარიღს და მეც „თათარიახნად" მოგიძღვენი:

**აღმოსავლეთმცოდნეობა**
**ანაცვალე გაზეთს,**
**ვერ ვხვდებოდით, „კომუნისტში",**
**რას ეძებდი ასეთს.**
**მალე შენი სიბეჯითით**
**გააოცე ყველა,**
**როს იპოვნე ჩვენს გაზეთში –**
**სახელი და... გელა.**
**დღეს კი უკვე, ჩვენო „რუსო",**
**უნდა გითხრათ: „ყოჩაღ!"**
**ერთად უვლი, უფრთხილდები,**
**სახელსა და ოჯახს.**
**ამ მილოცვას უერთდება**
**ბევრი მუსიკოსიც,**
**ვინაც იცის კალმის ფასი,**
**ჩვენი რუსიკოსი.**



მაგარია, არა? ჰოდა, ამოჭერი და შეინახე, გულით არის მოძღვნილი.

დროს არ დაემორჩილო, იდღეგრძელე!

**ვილენ მარდალეიშვილი.**
**ბელა დურგლიშვილის მეგობრული შარჟი.**

**რედაქციისაგან: მართლაც გულწრფელად ვულოცავთ ჩვენს შესანიშნავ მეგობარს, კოლეგასა და თანამშრომელს, საუცხოო ადამიანური თვისებებით გამორჩეულ რუსუდან მუხიგულაშვილს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ახალ წარმატებებს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.**

## სამართალი

# „ჭიათურმანგანუმის" დირექტორები დააპატიმრეს

გუშინ საქართველოს უშიშროების სამინისტროს დასავლეთ სამმართველოს თანამშრომლებმა ჭიათურაში სს „ჭიათურმანგანუმის" ამჟამინდელი და ყოფილი გენერალური დირექტორები დააპატიმრეს.

აკაკი გურჯიძეს და როლანდ გოცაძეს უშიშროება თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვაში და სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენებაში ადანაშაულებს.

როგორც ინტერ-პრესს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს უშიშროების სამსახურის უფროსმა შენგელი პერანიძემ განუცხადა, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად მიღებული ზარალი მილიონ ლარამდე აღწევს, თუმცა, გამოძიების შემდეგ, ეს რიცხვი შესაძლოა გაიზარდოს.

დაკავებულები თბილისში გადმოიყვანეს.

**ინტერ-პრესი.**

## ხსოვნა

# კიტა ცაგარეიშვილი



დიდი სამამულო ომის ვეტერანთა კორპუსმა და ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 81 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი სამხედრო ექიმი, ღრმად პატივცემული პიროვნება, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომელი კიტა ცაგარეიშვილი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო მისი ცხოვრების გზა. მთელი მისი საქმიანობა დაკავშირებული იყო შეიარაღებული ძალების სამხედრო-სამედიცინო სამსახურთან და საქართველოს უმაღლესი სამედიცინო განათლების – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კერასთან. დაიბადა 1923 წლის 15 ნოემბერს ხონის რაიონის სოფელ გოჩა ჯიხაიშში. თბილისის № 55-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანიტარიულ-ჰიგიენურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1944 წლის 5 აგვისტოს გაიწვიეს ჯარში და დიდი სამამულო ომის დროს მსახურობდა ფრონტის წინა ხაზზე პოლკის უმცროსი ექიმის თანამდებობაზე.

ომის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში ექიმ-ჰიგიენისტის, ეპიდემიოლოგის, ტოქსიკო-რადიოლოგის (1946-1968 წ.წ.) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო კათედრის ტოქსიკოლოგიის ციკლის უფროსი მასწავლებლის (1968-1983 წ.წ.) თანამდებობებზე. მან კეთილსინდისიერად მოიხადა მხედრული ვალი და სამხედრო სამსახური დაამთავრა პოლკოვნიკის ჩინით, ხოლო 1983 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწე, რექტორატისა და დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

მისი საბრძოლო და შრომითი დამსახურება აღნიშნული იყო 2 ორდენით და 16 მედლით.

ყველგან, სადაც კი მას უმუშავია, თავისი ერუდიციით, პროფესიონალიზმით და ადამიანური თვისებებით გამოირჩეოდა, უდიდესი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა.

ფართო იყო მისი ინტერესების სფერო, დაწყებული მედიცინით, დამთავრებული ლიტერატურით, ხელოვნებით და სპორტით. ეს კოლორიტული პიროვნება ალამაზებდა და ახალისებდა საზოგადოების ნებისმიერი დონის ფორუმებს.

ჩვენგან წავიდა გამორჩეული ადამიანური თვისებების მქონე, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ვალმოხდილი მამულიშვილი, კარგი მეუღლე, მამა და შესანიშნავი ბაბუა, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლების, კოლეგების, მეგობრების და ვეტერანების გულში.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები.**

## ფრთხილად!

# მწყრის ხორცი მომწამვლელია

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სპეციალისტები შემოდგომაზე მწყრის ხორცით მოწამვლის ალბათობას არ გამორიცხავენ და მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.

ცენტრის ინფორმაციით, მწყრის ხორცით მოწამვლის საშიშროებას ფრინველის ხორცში დაგროვებული ტოქსიკური ნივთიერებები განაპირობებენ.

მწყერი საკვებად იყენებს ისეთ მცენარეებს, რომელთა მარცვლები ალკალოიდებს შეიცავს. კერძოდ, თავცეცხლას, კონიოს და ციკუტას მარცვლები შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომელიც ფრინველის ხორცის თერმული დამუშავების დროსაც არ იშლება.

მწყრის ხორცით მოწამვლის შემთხვევაში ადამიანს ზოგადი სისუსტე, გულის უკმარისობა და ღებინება აღენიშნება, უძნელდება სიარული, ეწყება კუნთებისა და მუცლის ტკივილი.

მოწამვლისას ექიმები მოსახლეობას ურჩევენ, პირველ რიგში, ამოირეცხონ კუჭი, გაიკეთონ ინტრავენური გადასხმები და დიდხანს იყვნენ სუფთა ჰაერზე.

**ინტერ-პრესი.**

## გიხაროდენ!

# თამარი – ნანატრი პირველი შვილი



დედოფლისწყაროს პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელმა, ფსიქოლოგმა ქეთევან მჭედლიშვილმა ორი წელიწადია ელექტროინჟინერ ჯემალ მირზაშვილთან ერთად ქართული, ლამაზი ოჯახი შექმნა. ახლახან ქეთევანმა თბილისის ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში იმშობიარა. მოალოგინა ექიმ-გინეკოლოგმა ნოდარ ზალდასტანიშვილმა. ქეთევან მჭედლიშვილი პირველი შვილის დედა გახდა, თავის გოგონას მან დედის, ღვაწლმოსილი პედაგოგის თამარ ქადაგიძის პატივსაცემად მისი სახელი დაარქვა. ახლა მამის, ბატონ ჯემალის სიხარულს არ იკითხავთ? ჯემალ მირზაშვილი სიხარულით ცას ეწია...

ქეთევანის და ჯემალის ოჯახს მომლოცველები არ აკლია... ჩვილის მშობლები მადლობლები არიან ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზმისა და გულისხმიერების, აგრეთვე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის", რომლებიც ჩვილის შეძენით გახარებული ოჯახების სიხარულს გვიზიარებენ, გვაცნობა დედოფლისწყაროდან მირზაშვილების ოჯახმა და ჩვენი გაზეთის საკუთარმა კორესპონდენტმა ნანა ჭიჭინაძემ.

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

# ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

ინგლისური ენის № 1 კათედრის
დოცენტი – 0,5 საშ. ერთ – ფილოლ. მეცნ. კანდ.
უფროსი მასწავლებელი – 0,5 საშტ. ერთ.

გერმანული ენის № 1 კათედრის
პროფესორი – 1,0 საშტ. ერთ. – ფილოლ. მეცნ. დოქტ., პროფესორი.
დოცენტი – 2,0 საშტ. ერთ. – ფილოლ. მეცნ. კანდ., დოცენტი.
უფროსი მასწავლებელი – სამი 0,5 საშტ. ერთ.

შეპირისპირებითი ენათმეცნიერების კათედრის
გამგე – 0,5 საშტ. ერთ. – ფილოლ. მეცნ. დოქტ., პროფესორი.
პროფესორი – 1,0 საშტ. ერთ. – ფილოლ. მეცნ. დოქტ., პროფესორი (გერმანული).

მეორე უცხო ენის კათედრის
დოცენტი – 1,0 საშტ. ერთ – ფილოლ. მეცნ. კანდ., დოცენტი.

ენათმეცნიერებისა და კულტუროლოგიის კათედრის
დოცენტი – 0,5 საშტ. ერთ – ფილოლ. მეცნ. კანდ., დოცენტი.
უფროსი მასწავლებელი – 0,5 საშტ. ერთ (კულტურის თეორია).

რომანულ-გერმანიკული ფილოლოგიის კათედრის
გამგე – 1,0 საშტ. ერთ – ფილოლ. მეცნ. დოქტ., პროფესორი.

ფონეტიკის კათედრის
მასწავლებელი – 1,0 საშტ. ერთ. (გერმანული).

საქართველოს ისტორიის კათედრის
პროფესორი – 0,5 საშტ. ერთ. – ისტორ. მეცნ. დოქტ.

ფსიქოლოგიის კათედრის
უფროსი მასწავლებელი – 0,5 საშტ. ერთ. – ფსიქ. მეც. კანდ.

**საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.**
**მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ.№ 45.**

# განცხადება

საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს მიერ 2004 წლის 9 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოცხადებულ ორ ეტაპიან ღია ტენდერში **„სამშენებლო და საპროექტო ნორმების, წესებისა და სტანდარტების დამუშავება"** მონაწილე ორგანიზაციებიდან გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ასოციაცია „პროფესიონალიზმი მშენებლობაში" – 17 ნორმატიული დოკუმენტი:

**– საინჟინრო გეოლოგიური ძიებანი მშენებლობისთვის. ძირითადი დებულებები;**
**– საინჟინრო გეოდეზიური ძიებანი მშენებლობისთვის;**
**– გეოდეზიური სამუშაოები მშენებლობაში;**
**– უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში;**
**– შენობების და ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოება;**
**– სამშენებლო კლიმატოლოგია;**
**– სამშენებლო თბოტექნიკა;**
**– ბურულები;**
**– საავტომობილო გზები;**
**– მაგისტრალური მილსადენები;**
**– წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები;**
**– გაზმომარაგება;**
**– შენობებისა და ნაგებობების ფუძეები;**
**– ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები;**
**– მზიდი და შემომზღუდავი კონსტრუქციები;**
**– ცემენტები. გამოცდის მეთოდები;**
**– ცემენტები. საერთო ტექნიკური პირობები.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი" – 1 ნორმატიული დოკუმენტი:

**– მშენებლობა სეისმურ რაიონებში**

ზემოაღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციებთან საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



ერთ ქალაქში სინოპტიკოსთა დახვრეტა გადაწყვიტეს იმის გამო, რომ არც ერთი მათეული პროგნოზი არ გამართლდა. ხალხი კმაყოფილებით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას.

სინოპტიკოსებს თვალები აუხვიეს. ჯალათმა იარაღი მოიმარჯვა.

– შეჩერდით, ნუ დახვრეტთ, მათ კიდევ შეიძლება რაიმე სარგებელი მოუტანონ ხალხს, – ისმის მოულოდნელად ბრბოდან.

– რა სარგებელი? – კითხულობს მოსამართლე.

– დახვრეტის ნაცვლად ჩამოვახრჩოთ – მათი ცხედრების რხევით ქარის მიმართულებას მაინც გავიგებთ.

* * *

ანეკდოტების პირველ საერთორუსულ კონკურსზე პირველი ადგილი დაიკავა ცენტრალური ბანკის ფრაზამ: „საბანკო სექტორში სიტუაცია სულ უფრო სტაბილური ხდება და მალე ბანკების კლიენტებს კვლავ არაფერი ექნებათ დასაკარგი".

* * *

მეგობრებს არ ირჩევენ. მათ ახლა ნიშნავენ.

* * *

ივან ივანიჩის ცხოვრებისეული გამოცდილებიდან: „საინტერესო კანონზომიერებაა – როგორც კი ფეხსაცმლით ჩავწვები ლოგინში, მეორე დილით რატომღაც თავი მტკივა"...

* * *

გამოცემისთანავე ბესტსელერად იქცა მარგარეტ ბენტის წიგნი „როგორ ვიპოვოთ ოცნების მამაკაცი და როგორ გავუსწორდეთ იმ ნაძირალას".

* * *

შრომამ ოდესღაც მაიმუნი კაცად აქცია. ამჟამინდელი მაიმუნები კი ძალიან ზარმაცები არიან.

---

მეუღლე ნინო ედილაშვილი, შვილები ანი, გურამიკო, მამა ვარლამ (გურამ) გოგუაძე, დედა ქუქუნა (ამალია) ადეიშვილი, ძმა ანზორ (ბაჩი) გოგუაძე, რძალი ნატო, ძმისწულები მარიამი, სოფო, ბიძა გუმბური (დათო) ადეიშვილი, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი (ერეკლე) გოგუაძე

პანაშვიდი: 5, 6 X, 16 სთ. გამოსვენება: 7 X, 15 სთ. წმ. ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიიდან, მის: ნაძალადევი, მანჯგალაძის (ყოფილი თოფურიძის ქ.).

---

მეუღლე ციური, შვილები ქეთინო, გოგა გურასაშვილები, რძალი ნანი ხუციშვილი, შვილიშვილები ნუგზარი, ლუკა, ძმა ემზარ გურასაშვილი ოჯახით, მძახლები რევაზ და მარიკა ხუციშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ გურასაშვილი

პანაშვიდი 7, 8 X, 16 სთ. გამოსვენება 9 X, 14 სთ. მისამართი: თბილისი, დიდი დიღომი, დემეტრე თავდადებულის 14.

---

ნინელი და ვაჟა მამაიაშვილები ოჯახით სამძიმარს უცხადებენ მადონა და ილია ჭანუყვაძეებს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ქეთევანი, შვილები დიმიტრი, ავთანდილი, მარიამი, დები დოდო, ნანი, მარინა, ცოლისდა ლია, სიდედრი ზეინაბი, მამიდა რუსიკო, ბიძა დავითი, ქვისლი ვაჟა დვალიშვილი, სიძეები, ბიცოლები, დისწულები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

საბა (მამუკა) მიტუშას ძე კალანდაძე

პანაშვიდი 7, 8 X, 17 სთ. დაკრძალვა 9 X, 14 სთ. მის: მოსკოვის გამზირი, ოცხელის 25 ა, ბინა 49.

---

მერაბ ჭრელაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავს შესანიშნავი პიროვნებისა და მეგობრის

ზურიკო აბულაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი და მისი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მსოფლიო, ევროპის და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სააქციო საზოგადოება „სინემა კლუბის" გენერალური დირექტორი

ლერი ანთაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ გრიგალაშვილს გარდაეცვალა ბებია

დაშა კაკაურიძე-გრიგალაშვილისა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტი იუწყება, რომ ამავე კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ გრიგალაშვილს გარდაეცვალა ბებია

დაშა კაკაურიძე-გრიგალაშვილისა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი და მისი კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, ხმის ოპერატორი და დრამატურგი

ზარი კუნცევი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

## დღის კალენდარი 6 ოქტომბრისთვის

ამოდის 07.02
ჩადის 18.34

ამოდის 22.29, ჩადის 16.54

წლის 280-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 86 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

მუცლადღება პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესი. ღირსი ქსანთიპასი და პოლიქსენიასი (109); მოწამე ირაიდა ქალწულისა (დაახლ. 308); მოწამე ანდრიასი, იოანესი და ძეთა იოანესთა – პეტრესი და ანტონინესი (IX).

**დაიბადნენ:**

**1773 – ფილიპ ლუისი**, საფრანგეთის მეფე. გარდაიცვალა 1850 წელს.

**1871 – ზაქარია ფალიაშვილი,** კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1933 წელს;

**1900 – ვერიკო ანჯაფარიძე**, მსახიობი. გარდაიცვალა 1987 წელს;

**1932 – ზაურ ყრუაშვილი,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გარდაიცვალა 1986 წელს.

**1973 – თამაზ ჩუტკერაშვილი**, სპორტსმენი, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში.

**მოვლენები:**

**1768 წელი** – დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი;

**1812 წელი** – ნაპოლეონის არმიამ მოსკოვი დატოვა;

**1889 წელი** – პარიზში გაიხსნა კაბარე „მულენ რუჟი";

**1915 წელი** – ბულგარეთი ომში ანტანტის მხარეს ჩაება;

**1918 წელი** – საფრანგეთის ჯარებმა ბეირუთი გაათავისუფლეს;

**1927 წელი** – ნიუ-იორკში პირველი ხმოვანი ფილმის პრემიერა გაიმართა.

**ღირსსახსოვარი დღე:**

**ეგვიპტე** – შეიარაღებული ძალების დღე.
**ავსტრალია** – შრომის დღე.
**ბარბადოსი** – გაერთიანებული ერების დღე.
**ლერატო** – სპორტის დღე.

**„მედია-ნიუსი".**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
ნომრის რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika